საკითხის ასეთი ფორმულირება ქრისტიანულ მოძღვრებასთან თანხვედრაშია, თუმცა, ირკვევა, რომ საუბარი შეეხება მხოლოდ ადამიანურ და უმრავლესობის მორალს. ბიორგოს აზრით, „აღნიშნული მორალური წარმოდგენები, ... ადამიანს პოზიტიური სოციალიზაციის პროცესში უვითარდება აღზრდის პროცესში..." და „თვითკონტროლი ეს არის უნარი იმოქმედო საკუთარი თავისთვის დადგენილი მორალური სტანდარტებით, ...რომელიც ერთვება ისეთ ქმედებებში, როდესაც არსებობს მორალური კონფლიქტი, ადამიანის მორალსა და საზოგადოების, ანუ საერთო მორალს შორის".[15]

ის ფაქტი, რომ ნორმატიულ ბარიერებში საღვთო მორალზე საერთოდ არ აკეთებს ბიორგო მინიშნებას, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან პოზიტიურ სამართალში, კონვენციური და ინდივიდუალური მორალი აუცილებლობით არ ეთხვევა საღვთო მორალს.

მიუხედავად იმისა, რომ ტ. ბიორგო თეოლოგიური მიდგომების გამოყენებაზე, ნაშრომში მხოლოდ გაკვრით საუბრობს,[16] ნორმატიულ ბარიერებში ნახსენები მორალი, მაინც ვერ გაიგივდება ქრისტიანულ მორალთან.

მეორე მექანიზმს წარმოადგენს „დანაშაულებრივ სოციალურ გარემოში ან აქტივობებში ადამიანის ჩართვის/გაწევრიანების შემცირება". ამ მექანიზმის არსი მდგომარეობს: ა. ადამიანისთვის დანაშაულის ჩადენამდე ხელის შეშლაში, რადგან თუ ადამიანი ერთხელ ჩაიდენს დანაშაულს, მისი მხრიდან განმეორებითი დანაშაულის ალბათობა იზრდება, და ბ. ვინაიდან ციხეში არსებულ სოციალურ გარემოში დანაშაული ნორმალურ და პოზიტიურ მოვლენად განიხილება, დანაშაულის რეციდივის ალბათობა იზრდება, რაც ფიქსირდება ახალგაზრდა ასაკის დამნაშავეებში (საზერლენდი).[17]

საყურადრებოა ის ფაქტი, რომ ბიორგო, ამ პრობლემის გადაჭრას სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში ხედავს,[18] მაშინ როდესაც მეცნიერებისთვის ცხადზე ცხადია, რომ მხოლოდ აღნიშნული პირობების გაუმჯობესება ვერ იძლევა სასურველ შედეგს. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ პირველი ცოდვის ჩადენის ისტორია. ვინმეს შეუძლია ამტკიცოს, რომ ედემის ბაღში, ადამისა და ევას ცხოვრება ეკონომიურად ან სოციალურად არ იყო უზრუნველყოფილი? რა თქმა უნდა, არა. დანაშაულის პირველი მიზეზი, როგორც ცნობილია, იყო ბოროტი ტრანსცენდენტული ძალა, რომელმაც ადამიანში ამპარტავნების ვნება აღძრა. გარდა ამისა, ბიბლიის არაერთი მუხლი ადასტურებს, რომ ცოდვა ხშირად არის ფსევდო კეთილდღეობის შედეგიც (რჯლ. 32, 15; ნეემ. 9, 28; იერ. 48, 11; იეზეკ. 16, 49; 28, 5). ამ ფონზე, აქსიომატურია ის დებულებაც, რომ დაუსჯელობა აღრმავებს ადამიანში ვნების ხარისხს და ცოდვის განმეორებით ჩადენის სურვილსაც, რაც კარგად ვლინდება ლუდომანიაში, ნარკოტიკების მოხმარებაში და ნებისმიერ სხვა ანტისოციალურ ქმედებაში.

ამგვარად, გამოსავალი, უპირველეს ყოვლისა საძებარია, ადამიანის ცოდვილ ბუნებაში და ტრანსცენდეტურ ძალაში, და შემდეგ, ეკონომიკურ და სოციალური პირობების არქონაში, რაც ბიორგოს დანაშაულის პრევენციის მეორე მექანიზმში არ არის საერთოდ ნახსენები და ნაგულისხმევიც.

---

14 ბიორგო ტ., დასახ. ნაშრ., გვ. 43.

15 იქვე, გვ. 43, 45.

16 1. აღნიშნულია, რომ მიკრო დონეზე პრევენციული ღონისძიებების გამტარებლების კვალიფიკაცია და ღირებულებები საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რომელი საშუალებების გამოყენებაა მიზანშეწონილი (პოლიციის ჩარევა, ახალგაზრდა მუშაკები, სასულიერო პირები ან მასწავლებლები)"; 2. „სხვისი ნივთის მოპარვა ჩვენი სინდისისა და ფუნდამენტური მორალური ღირებულებების საწინააღმდეგოა, რომელიც სათავეს იღებს აღზრდიდან და რომელშიც მონაწილეობას იღებს მშობლები სკოლა და სხვა მორალური ინსტიტუტები. „ხსენებული ნორმა მყარად დგას რელიგიურ მორალურ სისტემაშიც. „არ იპარო" – არის ქრისტიანული სამყაროს მეშვიდე მცნება", იხ. ბიორგო ტ., დასახ. ნაშრ., გვ. 29, 72.

17 იქვე, გვ. 47-48.

18 ბიორგო ტ., დასახ. ნაშრ., გვ. 48.

ანალოგიურად შეიძლება გაანალიზდეს დანაშაულის პრევენციის საყოველთაო მოდელის ყველა სხვა დანარჩენი შვიდი მექანიზმიც. თუმცა, ბიორგოს ნაშრომის ყველაზე საყურადღებო მომენტს წარმოადგენს მისი განცხადება, რომ „აღნიშნულ მოდელს აშკარად გააჩნია პრეტენზია წარმოადგენდეს დანაშაულის პრევენციის ყოვლისმომცველ მოდელს“.[19] წიგნში აღნიშნული მოდელი ასევე მოიხსენიება, როგორც „სრულყოფილი მოდელი“.[20]

რელიგიური ფაქტორის გარეშე, შეიძლება თუ არა დანაშაულის პრევენციის რომელიმე მოდელს ჰქონდეს ყოვლისმომცველობის ან სრულყოფილობის პრეტენზია, ამას წარმოაჩენს სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, რომელიც შეეხება რელიგიის გავლენას დანაშაულობაზე.

### 3. რელიგიის გავლენა დანაშაულობაზე ემპირიული კვლევების ანალიზი

რელიგიისა და დანაშაულ(ობ)ის კორელაციის საკითხზე არსებული ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობილი კრიმინოლოგის პროფ. ბ. ჯონსონის შრომები. ავტორი რელიგიის, კრიმინოლოგისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებთან ერთად, იკვლევს რელიგიის გავლენის საკითხებს დანაშაულობაზე და აკეთებს შესაბამის დასკვნებსაც, მაგალითად:

ნაშრომში „რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობა და დანაშაულებრივი ქმედება“ აღნიშნულია, რომ: „ემპირიული მონაცემები ამტკიცებს, რომ რელიგიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ისეთ საზოგადოებებშიც კი, რომლებიც ხასიათდებიან ჩამორჩენილობით, სიღარიბით, გაჭირვებითა და დეზორგანიზაციით (Freeman 1986; Jang და Johnson 2001; Johnson და სხვ., 2000a)“.[21] ირკვევა ისიც, რომ „იმ მტკიცებულებების რაოდენობა, რომლითაც დგინდება, რომ რელიგიურ ცხოვრებას შეუძლია სამართალდარღვევების ფართო სპექტრის შემცირება, როგორც მსუბუქი, ასევე მძიმე დანაშაულებრივი ქმედებებისა, სულ უფრო მატულობს“ (Evans და სხვ., 1996).[22]

ჯონსონი ჯამში აანალიზებს 109 კვლევას. აქედან, 895 პროცენტით, ანუ 97 კვლევით მტკიცდება, რომ რელიგიური მსახურებაში მონაწილეობა, დადებითად აისახება დანაშაულებრივი და დევიანტური ქცევების შედეგებზე, რომ რელიგიურობის ზრდა დაკავშირებულია დანაშაულებისა და სამართალდარღვევების დონის შემცირებასთან. თუმცა, 11 კვლევამ, ვერ გამოავლინა ასეთი კავშირი ან აჩვენა შერეული შედეგები, და მხოლოდ ერთმა კვლევამ დაგვანახა, რელიგიის კავშირი საზიანო შედეგთან.[23]

ამერიკელი ფსიქოლოგის მ. სელიგმანის მსგავსად, ჯონსონიც აკეთებს დასკვნას, რომ: „ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მკვლევარებს გამუდმებით შეჰქონდათ წვლილი ახალი, რელიგია-დანაშაულის ლიტერატურის შექმნაში. დიდი ხანი არ არის გასული, რაც რელიგიასა და დანაშაულობას შორის არსებულ კავშირზე ჩამოყალიბდა კონსესუსი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევებში, რომლებიც იყენებენ აბსოლუტურად განსხვავებულ კვლევის მეთოდებს, ნიმუშებს და სქემებს, მუდმივად ფიქსირდება კავშირი რელიგიურობის ზრდასა (რელიგიურობა, რელიგიური მსახურება ან რელიგიურ მსხურებაში მონაწილეობა) და დანაშაულის ან დელიკვენტობის მაჩვენებლების შემცირებას შორის. აღნიშნული შედეგები განსაკუთრებით თვალშისაცემია ქვეყნის დონეზე მეთოდოლოგიურად და სტატისტიკურად უფრო კომპლექსურ კვლევებში.“[24]

შემაჯამებელ ნაწილში ბ. ჯონსონი აღნიშნავს, რომ „რელიგია მყარი ცვლადია. იგი, როგორც წესი, ასოცირდება დანაშაულის, დელიკვენტობის, ან რეციდივიზმის შემცირებულ ალბათობასთან, და ამის გამო, კრიმინოლოგებმა და სოციოლოგებმა აღარ უნდა მოახდინონ ამის უგულებელყოფა. მისი აზრით, რელიგიური ცვლადის გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს იმას, რომ მკვლევარები აღმოჩნდებიან უძლურნი იმ მოდელების შეფასებაში, რომლებიც მოწოდებულნი არიან ახსნან რელიგიის პირდაპირი თუ ირიბი გავლენა დანაშაულობაზე და სამართალდარღვევაზე“.[25]

[19] ბიორგო ტ., დასახ. ნაშრ., გვ. 19.

[20] იქვე, 41.

[21] Johnson B.R., Religious Participation and Criminal Behavior, ციტირებულია წიგნიდან: Effective Interventions in the Lives of Criminal Offenders (2014). (eds. John A. Humphrey, Peter Cordella), published by „Springer", New York, USA, 7.

[22] იქვე, გვ. 8.

[23] იქვე, გვ. 9.

[24] იქვე.

[25] იქვე.

რაც შეეხება ჯონსონის სხვა ნაშრომს, კერძოდ, „რელიგიური ინსტიტუტების როლი, დანაშაულობასა და დელიკვენტობაზე რეგირების საქმეში“, აღნიშნულია, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, რელიგიურობა ახალგაზრდებს იცავს დანაშაულებრივი ქცევისა და დევიანტური ქმედებებისგან, ხელს უწყობს ადამიანს მოიქცეს დადებითად და/ან ნორმის ფარგლებში. ნაშრომის ასევე ვკითხულობთ, რომ კვლევით მტკიცდება რწმენის, რელიგიისა და რელიგიური ინსტიტუტების საქმიანობის დადებითი როლი დანაშაულობის შემცირებაში, დამნაშავეთა რეაბილიტაციასა და დამნაშავეთა მიმართ სასჯელის მოხდის შემდგომ მზრუნველობაში.[26]

წიგნში „მეტი ღმერთი, ნაკლები დანაშაულობა“, ბ. ჯონსონი ამტკიცებს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა კატასტროფულ დონეზეა და კვლევების მიუხედავად, რომლებიც დაგვანახებს დანაშაულის პოლიტიკის გადაწყვეტაში რწმენაზე დაფუძნებულ სარგებელს, მრავალი „ექსპერტი“ იჩენს საკითხისადმი გულგრილობას, გაითვალისწინონ შესაბამისი ზომები თავიანთ რეკომენდაციებში. აღნიშნული წიგნი ეყრდნობა უახლოეს კვლევებს, რათა ნათლად დაგვანახოს, რომ დანაშაულობასთან ბრძოლის ნებისმიერი პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოსა და რელიგიურ რწმენაზე დაფუძნებულ პარტნიორულ ძალისხმევას.[27]

განსაკუთრებით, საინტერესოა წიგნის მე-5 თავი, რომელშიც ჯონსონი ახდენს ყველა იმ კვლევის სისტემატურ აანალიზს, რომელიც შეეხება რელიგიის გავლენას დანაშაულ(ობა)ზე. ჯამში გაანალიზებულია 65 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 272 კვლევა, რომელიც წარმოადგენს ლიტერატურის ყველაზე ვრცელ ანალიზს, რაც კი დღემდე ჩატარებულა. ლიტერატურის მიმოხილვის დასკვნა, აბსოლუტურ მხარდაჭერას აფიქსირებს იმასთან დაკავშირებით, რომ რელიგია დანაშაულის ძლიერი ანტიდოტია.[28]

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით, მსგავსი შინაარსის დასკვნები, სხვა მრავალ მეცნიერსაც აქვს გაკეთებული. მაგალითად, ნაშრომში „ამერიკის შეერთებულ შტატებში რელიგიურობის პროფილი და მათი კავშირი მოზარდების სარისკო ქცევასთან“ წერია, შემდეგი: „კვლევებით ირკვევა, რომ „რელიგიურად მორწმუნე ახალგაზრდები ნაკლებად მოიხმარენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს (Johnson, Sheets, & Kristeller, 2008) და ნაკლებად მონაწილეობენ ანტისოციალურ ქცევებში, დანაშაულსა (Baier &Wright, 2001) და ძალადობაში (Salas-Wright, Vaughn, & Maynard, 2014)“.[29]

პროფ. ბ. ოჩეინი, ნაშრომში „სულიერება და შავკანიანთა საზოგადოება: დანაშაული, ვიქტიმიზაცია და კეთილდღეობა“ აკეთებს შემდეგ დასკვნას: „სულიერება განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ადამიანების კეთილდღეობისთვის, რომლებიც განიცდიან ზიანს და ვიქტიმიზაციას“[30] და სხვა.

დაბოლოს, სოციალურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის, „Marripedia“-ს კვლევების მონაცემებით დგინდება, რომ სხვა მეგალოპისებისგან განსხვავებით, იქ სადაც სათემო გაერთიანებებსა და რაიონების მაცხოვრებლებში, ერთი რელიგიის აღმსარებლობის დონე მაღალია, მკვლელობებისა და თვითმკვლელობების დონე, როგორც წესი, დაბალია.[31] შედარებით რელიგიური მოსახლეობის მქონე შტატებში, როგორც წესი, ნაკლები მკვლელობები და თვითმკვლელობებია.[32] აღნიშნულია, რომ დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით რელიგიურ მსახურებაზე დასწრება იმდენად ეფექტურია, რომ სახელმწიფო კეთილდღეობის პროგრამებიც კი ვერ შეედრება მას. როდესაც

[26] Johnson B.R., The Role of Religious Institutions in Responding to Crime and Delinquency, ციტირებულია წიგნიდან: The Oxford Handbook of the Sociology of Religion-Oxford University Press (2011). (ed. Peter B. Clarke), online publication, გვ. 858-875.

[27] Johnson B.R., (2011). More God, Less Crime: Why Faith Matters and How it Could Matter More, Templeton Press, USA.

[28] იქვე, გვ. 73-98.

[29] Salas-Wright, Christopher P., Michael G. Vaughn, and Brandy R. Maynard., (2015). Profile of Religiosity and their Association with Risk Behavior among Emerging Adults in the United States (2014, Society for the Study of Emerging Adulthood and SAGE Publications), Volume 3, Issue 2, გვ. 67-84, <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/2167696814539327>, მოპოვების თარიღი: 21.07.2020).

[30] Ochieng B., Spirituality and the Black Community: Criminality, Victimisation and Well-Being, იხ.: Religion, Faith and Crime (2016). (eds. Kim Sadique, Perry Stanislas), Published by „Palgrave Macmillan“, UK, გვ. 321.

[31] Hummer R.A., Ellison Chr.G., Rogers R.G., Moulton B.E., and Romero R.., (December 2004). „Religious Involvement and Adult Mortality in the United States: Review and Perspective,“ Southern Medical Journal 97, №12: გვ. 1224-1225, <http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates>, (მოპოვების თარიღი: 21.07.2022).

[32] Lester D., (December 1987). „Religiosity and Personal Violence: A Regional Analysis of Suicide and Homicide Rates,“ The Journal of Social Psychology 127, № 6, გვ, 685-686, <http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates>, (მოპოვების თარიღი: 22.07.2022).

ქალაქის ცენტრალური ნაწილის ახალგაზრდა შავკანიანი მოსახლეობა რეგულარულად ესწრება რელიგიურ მსახურებას, მაშინ 57%-ით მცირდება ნარკოტიკების გაყიდვის, ხოლო 39%-ით დანაშაულის ჩადენის ალბათობა.[33]

## დასკვნა

რელიგიისა და დანაშაულ(ობ)ის გავლენაზე მეცნიერებაში არსებული განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვლევების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს რელიგიის დადებით ეფექტს დანაშაულობის პრევენციაზე. კვლევებსაც რომ თავი დავანებოთ ლოგიკურადაც შეუძლებელია რელიგიის დანაშაულის მიზეზად ჩათვლა, რადგან მსოფლიოში არსებული ყველა რელიგია გმობს ძალადობას და ექსტრემიზმს.

რელიგიის დანაშაულობის მიზეზად მიჩნევის უსაფუძვლობას, გარდა ზემოთ მოყვანილი კვლევებისა, თვისებრივად სხვა, მაგალითად, ეგზისტენციალური ხასიათის კვლევებიც ადასტურებს. მაგალითად, იმის გასარკვევად, თუ რაში ხედავს ადამიანი ცხოვრების აზრს, მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა. კვლევის შედეგებით, პროცენტები გადანაწილდა შემდეგნაირად: ოჯახი და ბავშვები – 38%; პროფესია, კარიერა – 25%; მატერიალური კეთილდღეობა – 19%; მეგობრები და საკუთარი ჯანმრთელობა – 18%; თავისუფლება და დამოუკიდებლობა – 12%. სიაში ბოლო ადგილს იკავებს რელიგია – 2%-ით და შინაური ცხოველების მოვლა – 1%.[34]

აღნიშნული კვლევა, საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, რომ დანაშაულობის მიზეზები ღმერთს კი არ უნდა მიეწეროს, ან რელიგიურად მოტივირებულ ქმედებებს, არამედ მხოლოდ ღმერთის ურწმუნოებას.

პარადოქსია ისიც, რომ მეცნიერება ფორმალურად იზიარებს თეოლოგიურ მოძღვრებას ბევრ ასპექტში. მაგალითად, დანაშაულის ტრანსცენდენტურობასთან დაკავშირებით, გონებაში მიმდინარე აზრთა ჭიდილს და ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენაზე გადაწყვეტილების მიღებას, რომ ფსიქიკა, არ მიეკუთვნება პიროვნულ შრეს და ა.შ.

გარდა ამისა, დანაშაულ(ობ)ის პრევენციასთან მიმართებაში თავად კრიმინალისტებიც მიუთითებენ სისხლის სამართლის პოლიტიკის არაეფექტურობაზე და არაფორმალური კონტროლის საშუალებების უპირატესობაზე ამახვილებენ ყურადღებას, მაგალითად:

რაიმონდ პეტერნოსტერი სასჯელის დამაშინებელ ეფექტზე ლიტერატურის დეტალური შესწავლის შემდეგ აღნიშნავს, რომ „ემპირიულ მტკიცებულებებს მივყავართ დასკვნამდე, რომ სასჯელს მხოლოდ მცირედით თუ აქვს დაშინების ეფექტი“.[35] გ. ნაჭყებიას აზრით, „დანაშაულთა კანონზომიერების აღმოფხვრა სისხლის სამართალს არ შუძლია“.[36] მ. უგრეხელიძე კი, საუბრობს დანაშაულობის პრევენციაში საღვთო სამართლის დადებით როლზე: „ზეციურ სამართალს აქვს ძალიან დიდი პრევენციული მნიშვნელობა, იგი აიძულებს ადამიანებს იყვნენ უფრო ფრთხილი გაცილებით თავისი მომავლის მიმართ. არ ჯობია, რომ შენ იმთავითვე ეზიარო ღვთიურ სიკეთეებს ვიდრე იძულებული გახდე მერე ჯოჯოხეთში ამოჰყო თავი?“[37]

იმ ფონზე, როდესაც თავად ტ. ბიორგო აღიარებს, რომ „ცოდვილი ადამიანის და უმრავლესობის მორალი არის ის ძირითადი მიზეზი, რატომაც იკავებენ ადამიანები დანაშაულის ჩადენისაგან თავს“[38] და რომ „სინდისი არის სწორედ ის, რაც უმეტესი დანაშაულის პრევენციას ახდენს“,[39]

---

33 Johnson B.R., Larson D.B., Li S.D., and Jang S.J., (June 2000). “Escaping from the Crime of Inner Cities: Church Attendance and Religious Salience Among Disadvantaged Youth,” Justice Quarterly 17, №2, გვ. 377-339, <http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates>, (მოპოვების თარიღი: 22.07.2022).

34 В Чем Смысл Наших Страданий? (персональный блог Михаэля Лайтмана „Каббала, Наука и Смысл Жизни“), <https://www.laitman.ru/crisis/292908.html>, (მოპოვების თარიღი: 14.02.2022).

35 ბიორგო ტ., დასახ. ნაშრ., გვ. 51.

36 ნაჭყებია გ., (1998), დასახ. ნაშრ., გვ. 51.

37 ტელე-გადაცემა, „პულსი TV“, სათაურით „სტუმრად მინდია უგრეხელიძე – ნაწილი 2“, (10 თებერვალი 2020 წელი, წუთი: 15:00-15:30), იხ: <https://www.youtube.com/watch?v=QMPl7p_OB1k>, (მოპოვების თარიღი: 07.06.2020).

38 ბიორგო ტ., დასახ. ნაშრ., გვ. 43.

39 იქვე, გვ. 72.

შეუძლებელია საღვთო მორალის პრიმატის ვერდანახვა ცოდვილი ადამიანის მორალთან შედარებით, და ეკლესიის როლის გაუთვალისწინებლობა დანაშაულის პრევენციის სხვა აქტორებს (სუბიექტებს) შორის, მით უფრო, რომ ემპირიული კვლევებით მტკიცდება რელიგიისა და რწმენის დადებითი ეფექტი დანაშაულ(ობ)ის თავიდან აცილებაში.

ამდენად, მეცნიერულ კვლევებსა და ლოგიკურ დასკვნებზე დაყრდნობით მართებული იქნება დასკვნის სახით აღინიშნოს, რომ დანაშაულობის პრევენციის ყოვლისმომცველ და სრულყოფილ მოდელში რელიგია, საღვთო რწმენა და საღვთო მსახურება წარმოადგენს დანაშაულ(ობ)ის პრევენციის ძირითად, ხოლო სხვა დანარჩენი, დამხმარე მექანიზმებს, იმის გამო, რომ დანაშაულ(ობ)ის მიზეზი სულიერია, ტრანსცენდენტურია (ეკლესიური გაგებით).

## გამოყენებული ლიტერატურა


ბიორგო ტ., (2016). დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა (რედ. გ. გიორგაძე, მ. შალიკაშვილი; მთრგმნ. უ. ბახტაძე), პირველი ქართული გამოცემა ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., გვ. 19, 29, 31, 36, 41, 43, 45, 47-48, 50-56, 72.

ნაჭყებია გ., (1998). სისხლის სამართლის მეცნიერების საგნი (რედ. ზ. წულაია), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 51.

წიკლაური ხ., (2016). მორწმუნეთა და ათეისტების ღირებულებათა კვლევა საქართველოში (სადისერტაციო ნაშრომი), წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბ., გვ. 46, 47, 52.

შოშიაშვილი შ., (2003). კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ, (რედ. ნელი ელიზბარაშვილი) გამომც. „ნეკერი“, თბ., გვ. 126.

Effective Interventions in the Lives of Criminal Offenders, (2014). (eds. John A. Humphrey, Peter Cordella), published by „Springer”, New York, USA, გვ. 7-9.

The Oxford Handbook of the Sociology of Religion-Oxford University Press, (2011). (ed. Peter B. Clarke), on-line publication, გვ. 858-875.

Johnson B.R., (2011). More God, Less Crime: Why Faith Matters and How it Could Matter More, Templeton Press, USA, გვ. 73-98.

Religion, Faith and Crime: Theories, Identities and Issues (2016). (eds. Kim Sadique, Perry Stanislas), Palgrave Macmillan, UK, გვ. 21, 321.

Селигман М., (2006). Новая Позитивная Психология, Научный Взгляд на Счастье и Смысл Жизни (Перев. с англ. изд., «София»), М., გვ. 87.

„Merripedia”, http://marripedia.org/effects_of_religious_practice_on_crime_rates

„Sage Journals”, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/2167696814539327

„Каббала, Наука и Смысл Жизни“, https://www.laitman.ru/crisis/292908.html

„იუთუბი“ (სოციალური მედია პლატფორმა), https://www.youtube.com/watch?v=QMPl7p_OB1k

# HR ANALYTICS AND DATA-DRIVEN HR MANAGEMENT

**Lia Kvirchishvili**

PHD student

*East European University*

## Abstract

This paper delves into the increasing significance of HR analytics and data-driven HR management within contemporary organizations. Given the ever-evolving business landscape, the strategic utilization of data has become essential for HR practitioners to make well-informed decisions that profoundly influence workforce performance and contribute to overall organizational success.

Conducted through qualitative research involving comprehensive interviews with HR directors and managers across diverse industries, this study illuminates the manner in which data-driven practices are molding HR strategies, enhancing employee engagement, and refining talent management. The findings underscore the transformative capacity of HR analytics while also addressing concerns related to data privacy, analytical skills, and organizational alignment.

By offering practical insights into the implementation of data-driven HR management, this paper enriches the dialogue surrounding proficient HR practices within the digital era. The research outcomes endorse the incorporation of data into HR operations and underscore the significance of employing HR analytics for strategic decision-making that fosters employee development and enhances organizational performance.

**Keywords:** *HR-analytics, talent management, data-driven HR management*

# R ANALYTICS AND DATA-DRIVEN HR MANAGEMENT

**Lia Kvirchishvili**

PHD student

*East European University*

## Introduction

In today's business landscape, the role of human resources (HR) has evolved from a traditional administrative function to a strategic partner that significantly drives organizational success. This transformation has been largely driven by the convergence of technology and data-driven approaches, leading to the emergence of HR analytics. HR analytics leverages the power of data and analytical tools to inform and optimize human resource management decisions, enabling organizations to make accurate, efficient, and strategic choices.

Rapid advances in technology have ushered in an era of unprecedented data accessibility, allowing organizations to extract valuable insights from information generated by various HR processes. This paradigm shift has transformed decision-making from being intuition-based to evidence-based, fundamentally changing the way HR professionals operate by emphasizing data use.

The purpose of this paper is to delve into HR management through the lens of HR analytics and data, examining its importance, challenges, methodologies, and transformational impact on HR departments and organizations as a whole. By harnessing the power of HR analytics, organizations can navigate the complex dynamics of talent acquisition, development, retention, and engagement with greater precision and foresight (Davenport).

The integration of HR analytics into the strategic framework of organizations has the potential to redefine the functionality of HR processes, creating a more flexible, responsive, and competitive work environment. As technology continues to evolve and data becomes increasingly crucial to organizational success, it is vital to understand how HR analytics can be used more effectively by HR professionals, business leaders, and researchers. This paper explores the path towards evidence-based HR management and the transformative potential it holds for shaping the future (Deloitte, 2018).

Definitions of basic terms:

Human Resources (HR) – Human resources is the branch of an organization responsible for managing various employee-related functions, including recruiting, training, performance appraisal, compensation, benefits, and employee relations. HR plays a critical role in aligning the workforce with organizational goals and ensuring a productive and engaged work environment.

HR Analytics – HR analytics involves the systematic collection, analysis, interpretation, and use of data in the process of developing HR decisions and strategies. It leverages data-driven insights to improve HR processes, optimize workforce management, and align HR practices with organizational goals.

Data-Driven Decision Making – Data-driven decision making is the process of making informed and evidence-based decisions by analyzing relevant data and information. In the context of HR management, it involves using data to guide and support HR initiatives, policies, and practices.

Evidence-Based Decision Making – Evidence-based decision making involves making decisions based on a thorough analysis of relevant data, research, and evidence. It emphasizes using reliable information to make choices that are likely to produce positive results.

## Main Section

Research problem:

In today's business environment, the importance of HR analytics and data-driven decision-making is widely acknowledged. Organizations are increasingly recognizing the potential of using data to inform HR strategies, enhance talent acquisition, optimize workforce planning, and improve overall organizational effectiveness. However, despite the clear potential and benefits, a significant gap remains between the theoretical promise of data-driven HR practices and their practical implementation within organizations (Rasmussen, 2019 (71-84)).

The study attempts to address the complex challenge of effectively integrating HR analytics into organizational practice. While the theoretical foundations and benefits of data-driven HR strategies are well-documented, there is a need to delve deeper into the real-world dynamics and identify what hinders the successful implementation and use of these approaches in human resource management. The purpose of the study is to identify the multifaceted barriers, including technological limitations, data quality issues, HR professionals' capabilities, and leadership resistance. Simultaneously, it aims to uncover opportunities that enable organizations to fully leverage the potential of HR analytics (Boudreau, 2017).

By exploring the gap between theory and practice, this study seeks to contribute to a deeper understanding of the complex interplay between HR analytics, data-driven decision-making, and effective human resource management. Insights from the research will provide valuable guidance to organizations striving to bridge this gap, ultimately enhancing their ability to attract, develop, and retain top talent and drive sustainable organizational success in a data-rich environment (Marler, 2017).

## Reason for Research

The research aims to explore the challenges and opportunities associated with integrating HR analytics and data-driven decision-making into modern human resource management. Additionally, it seeks to examine companies that are successfully using HR analytics and provide relevant information to other organizations to strengthen their HR practices in the era of data-driven decision-making.

## Research Hypotheses

1. There is a positive relationship between the implementation of HR analytics and the effectiveness of HR decision-making. Organizations that use HR analytics in their decision-making processes achieve higher quality and strategically sound HR decisions as data-driven insights provide a deeper understanding of workforce trends. HR professionals can make more informed choices that align with organizational goals and needs, thereby increasing the overall productivity of HR management;
2. Data-driven HR practices positively affect organizational performance and competitiveness. Organizations that incorporate data-driven HR practices, such as using analytics to optimize talent management and employee engagement, demonstrate improved organizational performance and competitiveness. By using data to enhance recruitment, retention, and development strategies, companies can create a skilled and engaged workforce that leads to increased productivity, innovation, and a stronger market positio (Brynjolfsson, 2011);
3. Appropriate training and development in HR analytics enhance HR professionals' ability to make informed decisions based on data. Providing HR professionals with relevant training and skill development in using HR analytics tools and techniques leads to better data interpretation and utilization. Well-trained HR staff can analyze complex data, extract valuable insights, and turn them into actionable strategies. This ultimately improves the accuracy of HR decision-making processes and ensures reliability.

### III. Research Methods and Participant Groups

Given the study's objectives and the complexity of the factors under investigation, a qualitative research approach was employed. In-depth interviews were conducted with respondents possessing substantial experience in this domain.

Ten respondents were purposefully selected, each representing either the HR director or HR manager of their respective company. This targeted selection aimed to capture diverse perspectives from professionals with profound insights into the interplay between HR practices and data-driven decision-making.

The in-depth interview format facilitated flexible and open-ended discussions. Respondents shared insights, challenges, and successful practices concerning the integration of HR analytics within their organizations.

Individual interviews were conducted with the aforementioned respondents. The research focused on uncovering difficulties, obstacles, and opportunities associated with adopting and implementing data-driven HR strategies. Additionally, it was imperative to gauge respondents' perceptions of HR analytics, their active utilization of analytics-derived information, and any practical implementation hurdles they identified.

### IV. Research Analytical Report

*<u>The primary aim of the research</u> was to assess the current state of HR analytics implementation within companies.*

The initial task involved gaining insights into the current landscape of HR analytics implementation among large companies. Through in-depth interviews with ten HR managers, insights were gathered regarding these organizations' utilization of data-driven approaches to enhance HR practices. Findings revealed diverse approaches, with some companies successfully integrating HR analytics into decision-making processes, while others are in early stages of implementation. Key themes emerged from the interviews:

- Awareness and Significance: Most participants acknowledged the growing importance of HR analytics in optimizing HR processes and strategy formulation.
- Challenges: A recurring challenge identified was data availability and quality. Some organizations encountered difficulties in collecting and managing relevant HR data for effective analysis.
- Technological Investment: Organizations making significant strides in HR analytics invested in advanced analytics tools and technologies. The subsequent task aimed to identify the benefits and impact of HR analytics.

*<u>The second objective of the study</u> aimed to ascertain the benefits and impact of HR analytics within organizations.*

The second objective of the study aimed to ascertain the benefits and impact of HR analytics within organizations. Participants underscored several positive outcomes resulting from the integration of data-driven approaches

- Enhanced Decision-Making: The majority of respondents noted that HR analytics facilitated more informed and evidence-based decisions across critical areas such as recruitment, performance management, and employee development.
- Increased Efficiency: Companies actively employing HR analytics reported streamlined processes, decreased manual workload, and reduced time spent on HR-related tasks.
- Improved Talent Management: HR analytics proved instrumental in enhancing talent management strategies by identifying high-potential employees and addressing skills gaps.

*<u>Consequently, the third objective of the research</u> was to identify challenges and barriers hindering the seamless implementation of HR analytics in practice.*

This task focused on uncovering the common challenges and barriers organizations face during the implementation of HR analytics:

- Data Quality and Availability: Many organizations encountered difficulties related to the accuracy, completeness, and availability of data, which impeded effective analysis.
- Change Management: Implementing HR analytics often necessitated a cultural shift and change management efforts to ensure stakeholder buy-in and successful adoption.
- Skills Gap: Some participants highlighted a deficiency in necessary skills among their HR team members for effective data analysis and interpretation.

## Conclusion

Research hypotheses were formulated to investigate critical aspects of HR analytics implementation and its organizational impact. These hypotheses were rigorously tested and analyzed through in-depth interviews conducted with HR directors and managers from ten companies. The conclusions drawn from the study provide insights into the validity and extent of confirmation of each hypothesis:

The first hypothesis is partially confirmed. Findings revealed that organizations investing in advanced analytics tools exhibited a higher level of HR analytics implementation. However, it was evident that technology investment alone did not guarantee successful implementation. Organizational commitment, data quality, and skilled HR personnel were identified as crucial components.

The second hypothesis received strong support from the research findings. Organizations effectively leveraging HR analytics reported enhanced decision-making processes and improved talent management. Data-driven insights played a pivotal role in optimizing HR strategies and practices across various functions.

Similarly, the third hypothesis was thoroughly validated by the interview data. Challenges pertaining to data quality and availability were frequently cited, emphasizing the necessity for reliable and accessible data sources. Furthermore, successful implementation required concerted change management efforts to address resistance to new approaches and enhance human resource capabilities.

The research underscores the pivotal role of HR analytics in shaping HR practices and organizational strategies. While some hypotheses were fully confirmed and others partially, the nuanced nature of HR analytics implementation was evident. These insights shed light on the challenges and opportunities organizations encounter as they endeavor to incorporate data-driven decision-making into human resource management. This research contributes to the expanding body of knowledge in HR analytics and provides valuable implications for organizations aspiring to leverage the potential of data-driven HR practices. Future research endeavors in this domain could delve deeper into the complexities of HR analytics implementation and its evolving impact on organizations.

## Recommendations

HR analytics represents a novel trend in HR management, shifting decision-making paradigms from intuition and estimation towards data-driven approaches. Over the past decade, particularly since 2010, there has been a significant surge in interest towards HR analytics. It is imperative to discuss actionable recommendations stemming directly from the research findings. The following key elements should be prioritized by companies aiming to implement HR analytics effectively:

- Setting clear objectives: Define specific goals for the HR analytics system, whether it's enhancing recruitment processes, improving employee engagement, or optimizing workforce planning. Clear objectives provide direction and focus for implementation efforts.
- Management endorsement: Gain support from organizational leadership and key stakeholders. Their commitment is crucial in allocating resources, securing budgetary provisions, and ensuring the success of the initiative.
- Data collection and quality assurance: Establish robust processes for data collection, ensuring accuracy, consistency, and timeliness. Poor data quality can undermine the reliability of insights and decisions derived from HR analytics.

- Selection of relevant metrics: Identify metrics and Key Performance Indicators (KPIs) aligned with organizational goals. Focus on metrics that offer actionable insights and measure the impact of HR initiatives on business outcomes.
- Investment in technology: Invest in appropriate HR analytics software or tools capable of proficiently collecting, analyzing, and visualizing data. The right technology streamlines processes and facilitates real-time information access.
- Data privacy and security: Address data privacy concerns and ensure compliance with regulations. Safeguard employees' personal information and uphold stringent data security standards.
- Interdepartmental collaboration: Foster collaboration among HR, IT, and other relevant departments. Cross-functional teamwork ensures access to requisite resources and expertise for successful HR analytics implementation.
- Cultivation of a data-driven culture: Cultivate an organizational culture that values data-driven decision-making, promoting a mindset of evidence-based practices.
- Implementation of training and development initiatives: Identify the need for training programs aimed at enhancing employees' technological proficiency. Personnel should be equipped with the requisite skills for generating and interpreting HR analytics.
- Impact assessment: Evaluate the impact of HR analytics on organizational performance regularly. Demonstrate how data-driven decisions have enhanced HR processes and contributed to achieving business objectives.
- Continuous enhancement: View HR analytics as an ongoing journey of improvement. Regularly assess the effectiveness of the system and explore avenues for augmenting its capabilities.

By adhering to the aforementioned recommendations, companies can effectively implement an HR analytics system, enabling informed decision-making, fortifying HR processes, and fostering organizational success.

## REFERENCES


Boudreau, J. W. (2017). Investing in People: Financial Impact of Human Resource Initiatives. FT Press.

Brynjolfsson, E. H. (2011). Strength in numbers: How does data-driven decisionmaking affect firm performance? SSRN Working Paper.

Davenport, T. H. (n.d.). "Human decision-making and machine learning" . MIT Sloan Management Review, 60(4), 1-8.

Deloitte, D. (. (2018). The age of analytics: Competing in a data-driven world. Deloitte University Press.

Marler, J. H. (2017). "An evidence-based review of HR analytics". International Journal of Human Resource Management, 3-26.

Rasmussen, S. &. (2019 (71-84)). "Learning from HR analytics at Google: A case study". Human Resource Management.

# HR ანალიტიკა და მონაცემებით მართული HR მენეჯმენტი

**ლია კვირჭიშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## ანოტაცია

ნაშრომი იკვლევს HR ანალიტიკისა და მონაცემებით მართულიHR მენეჯმენტის მზარდ მნიშვნელობას თანამედროვე ორგანიზაციებში. ბიზნეს ლანდშაფტის დინამიური ცვლილებებით, მონაცემთა სტრატეგიული გამოყენება აუცილებელი გახდა HR პრაქტიკოსებისთვის, რათა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს სამუშაო ძალის მუშაობასა და ორგანიზაციულ წარმატებაზე.

თვისებრივი კვლევის საშუალებით, რომელიც მოიცავს სიღრმისეულ ინტერვიუებს HR დირექტორებთან და მენეჯერებთან სხვადასხვა ინდუსტრიიდან, კვლევა ნათელს ჰფენს იმ გზებს, თუ როგორ აყალიბებს მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული პრაქტიკა HR სტრატეგიებს, თანამშრომლების ჩართულობას და ტალანტების მართვას. დასკვნები ხაზს უსვამს HR ანალიტიკის ტრანსფორმაციულ პოტენციალს და ასევე ეხება მონაცემთა კონფიდენციალურობას, ანალიტიკურ უნარებს და ორგანიზაციულ განლაგებას.

რეალურ სამყაროში, მონაცემებზე ორიენტირებული HR მენეჯმენტის მიღების თაობაზე არსებული შეხედულებების წარმოდგენით, ნაშრომი ხელს უწყობს ციფრულ ეპოქაში დისკურსს HR-ის ეფექტიანი პრაქტიკის შესახებ. კვლევის შედეგები მხარს უჭერს მონაცემთა ინტეგრაციას HR ფუნქციებში და ხაზს უსვამს HR ანალიტიკის გამოყენების მნიშვნელობას სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლის შედეგადაც მიიღწევა თანამშრომლების ზრდა და ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესება.

***საკვანძო სიტყვები:*** *HR-ანალიტიკა, ტალანტების მართვა, მონაცემებზე ორიენტირებული HR მენეჯმენტი*

# HR ანალიტიკა და მონაცემებით მართული HR მენეჯმენტი

**ლია კვირჭიშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## შესავალი

თანამედროვე ბიზნეს ლანდშაფტში ადამიანური რესურსების (HR) როლი შეიცვალა, ტრადიციული ადმინისტრაციული ფუნქციიდან გადაიქცა სტრატეგიულ პარტნიორად, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ორგანიზაციულ წარმატებას.

ეს ტრანსფორმაცია დიდწილად გააქტიურა ტექნოლოგიისა და მონაცემებით მართული მიდგომების კონვერგენციამ, რამაც გამოიწვია ახალი სფეროს გაჩენა, რომელიც ცნობილია როგორც HR ანალიტიკა.

HR ანალიტიკა იყენებს მონაცემთა და ანალიტიკური ინსტრუმენტების ძალას ადამიანური რესურსების მართვის გადაწყვეტილებების ინფორმირებისა და ოპტიმიზაციისთვის, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციებს ზუსტი, ეფექტიანი და სტრატეგიული არჩევნის გაკეთებაში.

ტექნოლოგიის სწრაფმა წინსვლამ საშუალება მისცა მონაცემთა უპრეცედენტო ხელმისაწვდომობის ეპოქის დაწყებას, რაც ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას მოიპოვონ ღირებული ინფორმაცია ადამიანური რესურსების სხვადასხვა პროცესის შედეგად წარმოქმნილი ინფორმაციებიდან. აღნიშნული პარადიგმის ცვლილებამ განაპირობა ტრანსფორმირება ინტუიციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებიდან მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიებზე, რამაც თავის მხრივ ფუნდამენტურად შეცვალა HR პროფესიონალების ფუნქციონირება, გადაიტანა მათი ორიენტირი მონაცემების გამოყენებაზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია HR ანალიტიკისა და მონაცემების საფუძველზე HR მენეჯმენტის სფეროში ჩაღრმავება, მისი მნიშვნელობის, გამოწვევების, მეთოდოლოგიებისა და ტრანსფორმაციული ზემოქმედების შესწავლა როგორც HR დეპარტამენტებისთვის, ასევე მთლიანად ორგანიზაციებისთვის.

HR ანალიტიკის პოტენციალის გამოყენებით, ორგანიზაციებს შეუძლიათ უფრო მეტი სიზუსტითა და წინდახედულებით იხელმძღვანელონ ტალანტების მოძიების, მათი განვითარების, შენარჩუნებისა და ჩართულობის კომპლექსურ დინამიკაში (Davenport).

HR ანალიტიკის ინტეგრაციას ორგანიზაციების სტრატეგიულ სტრუქტურაში აქვს პოტენციალი ხელახლა განსაზღვროს HR პროცესების ფუნქციონირება, შექმნას უფრო მოქნილი, პასუხისმგებლიანი და კონკურენტული სამუშაო გარემო. ვინაიდან ტექნოლოგია აგრძელებს განვითარებას და მონაცემები ხდება უფრო მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაციის წარმატებისთვის, გადამწყვეტია იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება HR ანალიტიკის მეტად ეფექტიანად გამოყენება HR პროფესიონალებისთვის, ბიზნეს ლიდერებისა და მკვლევრთათვის HR ანალიტიკის შესწავლის გზით.

ნაშრომში წარმოდგენილია გზა მტკიცებულებებზე დაფუძნებული HR მენეჯმენტისა და ტრანსფორმაციული პოტენციალისკენ, რომელიც მას გააჩნია მომავლის ფორმირებისთვის. (Deloitte, 2018).

ძირითადი ცნებების განმარტებები:

ადამიანური რესურსები (HR) – ადამიანური რესურსები წარმოადგენს ორგანიზაციის ერთ-ერთ რგოლს, რომელიც პასუხისმგებელია თანამშრომელთან დაკავშირებული ფუნქციების სხვადასხვა ასპექტის მართვაზე, მათ შორის რეკრუტირებაზე, ტრენინგზე, სამუშაოს შესრულების შეფასებაზე, კომპენსაციაზე, სარგებელსა და თანამშრომლებთან ურთიერთობაზე. HR გადამწყვეტ როლს თამაშობს სამუშაო ძალის ორგანიზაციულ მიზნებთან მორგებაში და პროდუქტიული და ჩართული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაში.

HR ანალიტიკა – მოიცავს მონაცემთა სისტემატურ შეგროვებას, ანალიზს, ინტერპრეტაციას და გამოყენებას HR გადაწყვეტილებებისა და სტრატეგიების შემუშავების პროცესში. ის იყენებს მონაცემებზე დაფუძნებულ შეხედულებებს HR პროცესების გასაუმჯობესებლად, სამუშაო ძალის მენეჯმენტის ოპტიმიზაციისა და HR პრაქტიკის ორგანიზაციულ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის.

მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება – არის ინფორმირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზით. HR მენეჯმენტის კონტექსტში, ის მოიცავს მონაცემთა გამოყენებას HR ინიციატივების, პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმართვისა და მხარდაჭერისთვის.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება – გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას შესაბამისი მონაცემების, კვლევისა და მტკიცებულებების საფუძვლიან ანალიზზე დაყრდნობით. იგი ხაზს უსვამს სარწმუნო ინფორმაციის გამოყენებას იმ არჩევანის გასატარებლად, რომელიც სავარაუდოდ დადებითი შედეგის მომტანია.

## ძირითადი ნაწილი

საკვლევი პრობლემა:

თანამედროვე ბიზნეს გარემოში ფართოდ არის აღიარებული HR ანალიტიკისა და მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობა. ორგანიზაციები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ მონაცემთა გამოყენების პოტენციალს HR სტრატეგიების მიღებისას, ტალანტების შეძენის გასაძლიერებლად, სამუშაო ძალის დაგეგმვის ოპტიმიზაციისა და ორგანიზაციის საერთო ეფექტიანობის ასამაღლებლად თუმცა, მკაფიო პოტენციალისა და უპირატესობების მიუხედავად, გავრცელებული უფსკრული არსებობს მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული HR პრაქტიკის თეორიულ დაპირებასა და ორგანიზაციებში მათ პრაქტიკულ განხორციელებას შორის (Rasmussen, 2019 (71-84)).

კვლევაში წარმოდგენილია HR ანალიტიკის ორგანიზაციულ პრაქტიკაში ეფექტიანი ინტეგრირების კომპლექსური გამოწვევის გადაწვეტის მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემებით მართული HR სტრატეგიების თეორიული საფუძვლები და სარგებელი კარგად არის დოკუმენტირებული, საჭიროა რეალური სამყაროს დინამიკაში მეტი ჩაღრმავება და დადგენა, თუ რა უშლის ხელს ადამიანური რესურსების მენეჯმენტში მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომების წარმატებულ დანერგვას და გამოყენებას. კვლევის მიზანია მრავალმხრივი ბარიერების, მათ შორის ტექნოლოგიური შეზღუდვები, მონაცემთა ხარისხის საკითხები, HR პროფესიონალები და ლიდერების წინააღმდეგობის არსის დადგენა. ამავდროულად, ის მიზნად ისახავს გამოავლინოს შესაძლებლობები, რომლებიც გზას უხსნის ორგანიზაციებს, HR ანალიტიკის პოტენციალის სრულად გამოყენებაში (Boudreau, 2017).

თეორიასა და პრაქტიკას შორის ამ უფსკრულის შესწავლით, აღნიშნული კვლევა წარმოადგენს მცდელობას ხელი შეუწყოს HR ანალიტიკას, მონაცემებზე ორიენტირებულ გადაწყვეტილების მიღებას და ადამიანური რესურსების ეფექტიან მენეჯმენტს შორის რთული ურთიერთქმედების უფრო ღრმა გაგებას. კვლევის შედეგად მიღებული შეხედულებები ღირებულ სახელმძღვანელოს შესთავაზებს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ გადალახონ ეს უფსკრული, რაც საბოლოოდ გააძლიერებს მათ უნარს, მოიზიდონ, განავითარონ და შეინარჩუნონ საუკეთესო ტალანტები და წარმართონ მდგრადი ორგანიზაციული წარმატება მონაცემთა მდიდარ გარემოში (Marler, 2017).

### კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია გამოიკვლიოს გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია HR ანალიტიკასთან დამონაცემებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების ინტეგრირებასთან ადამიანური რესურსების თანამედროვე მენეჯმენტში. ასევე, შეისწავლოს ის კომპანიები, რომლებიც წარმატებით იყენებენ HR ანალიტიკას და შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდოს სხვა ორგანიზაციებს, რათა გააძლიერონ თავიანთი HR პრაქტიკა მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების ეპოქაში.

### კვლევის ჰიპოთეზები

1. არსებობს დადებითი კავშირი HR ანალიტიკის დანერგვასა და HR გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობას შორის. ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ HR ანალიტიკას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შედეგად იღებენ უმაღლესი ხარისხის და სტრატეგიულად სწორ HR გადაწყვეტილებებს, რამდენადაც მონაცემების საფუძველზე მიღებული შეხედულებები უზრუნველყოფს სამუშაო ძალის ტენდენციების უფრო ღრმა გაგებას. HR პროფესიონალებს შეუძლიათ გააკეთონ მეტად ინფორმირებული არჩევანი, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიზნებსა და საჭიროებებს. ეს, თავის მხრივ, ზრდის HR მენეჯმენტის საერთო პროდუქტიულობას.
2. მონაცემებზე ორიენტირებული HR პრაქტიკა დადებითად მოქმედებს ორგანიზაციის მუშაობასა და კონკურენტუნარიანობაზე. ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ მონაცემებზე დაფუძნებულ HR პრაქტიკებს, როგორიცაა ანალიტიკის გამოყენება ტალანტების მართვის და თანამშრომლების ჩართულობის ოპტიმიზაციისთვის, გამოავლენენ გაუმჯობესებულ ორგანიზაციულ მუშაობას და კონკურენტუნარიანობას. დასაქმების, შენარჩუნებისა და განვითარების სტრატეგიების გასაუმჯობესებლად მონაცემების გამოყენებით, კომპანიებს შეუძლიათ შექმნან კვალიფიციური და ჩართული სამუშაო გარემო, რაც გამოიწვევს პროდუქტიულობის, ინოვაციების და ბაზარზე შედარებით ძლიერი პოზიციის მიღწევას. (Brynjolfsson, 2011).
3. სათანადო ტრენინგი და განვითარება HR ანალიტიკაში აძლიერებს HR პროფესიონალების შესაძლებლობებს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები მონაცემების საფუძველზე. HR პროფესიონალებისთვის რელევანტური ტრენინგის ჩატარება და უნარების განვითარება HR ანალიტიკური ინსტრუმენტებისა და ტექნიკის გამოყენების მიმართულებით გამოიწვევს მონაცემთა უკეთ ინტერპრეტაციას და მოხმარებას. კარგად გაწვრთნილ HR პერსონალს შეუძლია გააანალიზოს კომპლექსური მონაცემები, გამოიტანოს მნიშვნელოვანი შეხედულებები და გადააქციოს ისინი ქმედითუნარიან სტრატეგიებად. ეს საბოლოოდ აუმჯობესებს HR გადაწყვეტილების მიღების პროცესების სიზუსტეს და უზრუნველყოფს საიმედოობას.

### III. კვლევის მეთოდები და სამიზნე ჯგუფები

კვლევის მიზნებიდან და შესასწავლი ფაქტორების ბუნების გათვალისწინებით, თვისებრივი კვლევის მიდგომა იქნა გამოყენებული. ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები რესპოდენტებთან, რომლებიც ფლობენ მდიდარ გამოცდილებას ამ საკითხში.

ათი რესპოდენტი იქნა შერჩეული კვლევისთვის, თითოეული წარმოადგენდა კომპანიის HR დირექტორს ან HR მენეჯერს. ეს შერჩევითი მიდგომა მიზნად ისახავდა პროფესიონალების შეხედულებების მრავალფეროვანი წარმოდგენის მიღებას, რომლებსაც აქვთ ღრმა გაგება ადამიანური რესურსების პრაქტიკასა და მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების დინამიკას შორის.

სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატი საშუალებას იძლეოდა ჩატარებულიყო მოქნილი და ღია დისკუსიები. რესპოდენტებს შეეძლოთ გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულებები, გამოწვევები და წარმატებული პრაქტიკები, რაც დაკავშირებულია მათ ორგანიზაციებში HR ანალიტიკის ინტეგრაციასთან.

აღნიშნულ რესპოდენტებთან მოეწყო ინდივიდუალური ინტერვიუები. კვლევა ორიენტირებული იყო სირთულეების, დაბრკოლებებისა და იმ შესაძლებლობების აღმოჩენაზე, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემების საფუძველზე HR სტრატეგიების მიღებასთან და განხორციელებასთან. ასევე, მნიშვნელოვანი იყო რესპოდენტების მოსმენა თუ როგორ აქვთ აღქმული მათ HR ანალიტიკა, იყენებენ თუ არა აქტიურად ანალიტიკის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და რა დაბრკოლებებს ხედავენ პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

## IV. კვლევის ანალიტიკური ანგარიში

*კვლევის პირველ ამოცანას წარმოადგენდა კომპანიებში HR ანალიტიკის დანერგვის მიმდინარე სიტუაციის გააზრება.*

კვლევის პირველი ამოცანა იყო მსხვილ კომპანიებში HR ანალიტიკის დანერგვის მიმდინარე ლანდშაფტის გაგება. ადამიანური რესურსების ათ მენეჯერთან სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად, მიღებულ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ ეს ორგანიზაციები მონაცემებზე ორიენტირებულ მიდგომებს HR პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. აღმოჩენები ავლენს მიდგომების მრავალფეროვან სპექტრს, ზოგიერთმა კომპანიამ წარმატებით გააერთიანა HR ანალიტიკა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ზოგი კი ჯერ კიდევ განხორციელების ადრეულ ეტაპებზეა. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი თემა:

- ინფორმირებულობა და მნიშვნელობა: მონაწილეთა უმეტესობამ აღიარა HR ანალიტიკის მზარდი მნიშვნელობა HR პროცესებისა და სტრატეგიის ფორმულირების ოპტიმიზაციაში.
- გამოწვევები: იდენტიფიცირებული საერთო გამოწვევა იყო მონაცემთა ხელმისაწვდომობა და ხარისხი. ზოგიერთი ორგანიზაცია ცდილობს შეაგროვოს და მართოს შესაბამისი HR მონაცემები ეფექტიანი ანალიზისთვის.
- ინვესტიცია ტექნოლოგიაში: ორგანიზაციებმა, რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს HR ანალიტიკაში, განახორციელეს ინვესტიცია მოწინავე ანალიტიკურ ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებში.

*კვლევის მეორე ამოცანას წარმოადგენდა HR ანალიტიკის უპირატესობებისა და გავლენის იდენტიფიცირება.*

მეორე ამოცანა მიზნად ისახავდა ორგანიზაციებში HR ანალიტიკის უპირატესობებისა და გავლენის იდენტიფიცირება. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს რამდენიმე პოზიტიურ შედეგს, რომლებიც წარმოიქმნება მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული მიდგომების ინტეგრაციის შედეგად:

- ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება: რესპოდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ HR ანალიტიკამ საშუალება მისცა უფრო ინფორმირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება ისეთ სფეროებში, როგორიცაა რეკრუტინგი, შესრულების მართვა/მენეჯმენტი და თანამშრომლების განვითარება.
- ეფექტიანობის მიღწევა: კომპანიებმა, რომლებიც აქტიურად იყენებენ HR ანალიტიკას, განაცხადეს გამარტივებული პროცესების შესახებ, შეამცირეს ხელით საქმის კეთება და HR ამოცანების შესრულებისთვის საჭირო დრო.
- ტალანტების მართვა: HR ანალიტიკამ გააუმჯობესა ტალანტების მართვის სტრატეგიები მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლების იდენტიფიცირებით და უნარების ხარვეზების აღმოფხვრით.

*კვლევის მესამე ამოცანის მიხედვით კი, უნდა დადგენილიყო ის გამოწვევები და ბარიერები, რაც არსებობს კომპანიაში და საბოლოო ჯამში აფერხებს HR ანალიტიკის სრულყოფილად დანერგვას პრაქტიკაში.*

მესამე ამოცანა ფოკუსირებული იყო იმ გამოწვევებისა და ბარიერების გამოვლენაზე, რომლებსაც აწყდებიან ორგანიზაციები HR ანალიტიკის განხორციელებისას. ინტერვიუებმა გამოავლინა შემდეგი საერთო გამოწვევები:

- მონაცემთა ხარისხი და ხელმისაწვდომობა: ბევრი ორგანიზაცია ებრძვის მონაცემთა სიზუსტეს, სისრულესა და ხელმისაწვდომობას, რაც ხელს უშლის ეფექტიან ანალიზს.
- ცვლილების მენეჯმენტი: HR ანალიტიკის დანერგვა ხშირად მოითხოვს კულტურულ ცვლას და ცვლილებების მენეჯმენტის ძალისხმევას, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
- უნარების ხარვეზი: ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მათ HR გუნდის წევრებს არ გააჩნიათ საჭირო უნარები მონაცემთა ეფექტიანი ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის.

## დასკვნა

კვლევის ჰიპოთეზები ჩამოყალიბდა HR ანალიტიკის განხორციელების ძირითადი ასპექტებისა და ორგანიზაციებზე მისი გავლენის შესასწავლად. ათი კომპანიის HR დირექტორებთან და მენეჯერებთან სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით მოხდა ჰიპოთეზების ტესტირება და ანალიზი. დასკვნები იძლევა ინფორმაციას თითოეული ჰიპოთეზის მართებულობისა და დადასტურების მასშტაბზე:

პირველი ვარაუდი – ნაწილობრივ დადასტურებულია. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციებმა, რომლებმაც ინვესტიცია ჩადეს მოწინავე ანალიტიკურ ინსტრუმენტებში, აჩვენეს HR ანალიტიკის განხორციელების უფრო მოწინავე დონე. თუმცა აღინიშნა, რომ მხოლოდ ტექნოლოგიაში ინვესტიცია არ იყო საკმარისი წარმატებული განხორციელებისთვის. ორგანიზაციული ვალდებულება, მონაცემთა ხარისხი და გამოცდილი HR პერსონალი ასევე განისაზღვრა, როგორც აუცილებელი კომპონენტები.

მეორე ვარაუდი – დადასტურდა. კვლევამ მტკიცედ დაუჭირა მხარი ამ ჰიპოთეზას. ორგანიზაციებმა, რომლებიც ეფექტიანად იყენებენ HR ანალიტიკას, განაცხადეს, რომ გაუმჯობესდა გადაწყვეტილების მიღების პროცესები, უკეთესად ხდება ტალანტების მართვა. მონაცემებზე დაფუძნებულმა შეხედულებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა HR სტრატეგიებისა და პრაქტიკის ოპტიმიზაციაში სხვადასხვა ფუნქციების მიმართულებით.

გამართლდა მესამე ვარაუდიც – ეს ჰიპოთეზა საფუძვლიანად დადასტურდა ინტერვიუს მონაცემებით. მონაცემთა ხარისხთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევები ხშირად იყო მოხსენებული, რაც ხაზს უსვამს მონაცემთა სანდო და ხელმისაწვდომი წყაროების საჭიროებას. გარდა ამისა, ცვლილებების მენეჯმენტის ძალისხმევა იყო საჭირო ახალი მიდგომებისადმი წინააღმდეგობის დასაძლევად და ადამიანური რესურსების უნარების განსავითარებლად.

კვლევის შედეგები ადასტურებს სასიცოცხლო როლს, რომელსაც HR ანალიტიკა ასრულებს HR პრაქტიკისა და ორგანიზაციული სტრატეგიების ჩამოყალიბებაში. ზოგიერთი ჰიპოთეზა სრულად დადასტურდა, ზოგი ნაწილობრივ, რაც მიუთითებს HR ანალიტიკის განხორციელების ნიუანსურ ბუნებაზე. ეს შეხედულებები ნათელს ჰფენს იმ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებსაც აწყდებიან ორგანიზაციები, რადგან ისინი ცდილობენ გამოიყენონ მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება ადამიანური რესურსების მართვის სფეროში. ეს კვლევა ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ანალიტიკაში ცოდნის მზარდ რაოდენობას და სთავაზობს ღირებულ შედეგებს ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ მონაცემებზე ორიენტირებული HR პრაქტიკის პოტენციალი. ამ სფეროში შემდგომი კვლევა შეიძლება გაგრძელდეს HR ანალიტიკის დანერგვის სირთულეებისა და ორგანიზაციებზე მისი განვითარებადი ზემოქმედების შესწავლის მიზნით.

## რეკომენდაციები

HR ანალიტიკა არის ახალი ტენდენცია HR სფეროში, რომელიც იწვევს გადაწყვეტილების მიღებას მონაცემებზე დაყრდნობით, ინტუიციისა და შეფასებების ნაცვლად. ბოლო წლებში, ანუ 2010 წლის შემდეგ, შესამჩნევად გაიზარდა ინტერესი HR ანალიტიკის მიმართ. მნიშვნელოვანია ქმედით წინადადებებზე მსჯელობა, რომლებიც პირდაპირ გამომდინარეობს კვლევის შედეგებიდან. აქ

მოცემულია ძირითადი ელემენტები, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება კომპანიების მხრიდან, რათა დანერგონ HR ანალიტიკა:

- მკაფიო მიზნების ჩამოყალიბება: კომპანიებმა უნდა განსაზღვრონ მიზნები, რომელთა მიღწევასაც აპირებთ HR ანალიტიკური სისტემით. იქნება ეს რეკრუტირების გაუმჯობესება, თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდა ან სამუშაო ძალის დაგეგმვის ოპტიმიზაცია. კონკრეტული მიზნების ქონა დაეხმარებათ მათ განხორციელებაში.
- მენეჯმენტის მხარდაჭერა: მნიშვნელოვანია მხარდაჭერის მიღება ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან. მათი მხარდაჭერა და ვალდებულება გადამწყვეტია რესურსების, ბიუჯეტის გამოყოფისა და ინიციატივის წარმატების უზრუნველსაყოფად.
- მონაცემთა შეგროვება და ხარისხი: მონაცემთა შეგროვების საიმედო პროცესის ჩამოყალიბება. მონაცემები უნდა იყოს ზუსტი, თანმიმდევრული და განახლებული. მონაცემთა ცუდმა ხარისხმა შეიძლება გამოიწვიოს არაზუსტი შეხედულებები და გადაწყვეტილებები.
- სწორი მეტრიკების შერჩევა: სწორად უნდა იყოს შერჩეული მეტრიკა და შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI), რომლებიც შეესაბამება კომპანიის მიზნებს. ფოკუსირება მოხდეს მეტრიკაზე, რომელიც უზრუნველყოფს ქმედითუნარიან შეხედულებებს და გაზომავს HR ინიციატივების გავლენას ბიზნესის შედეგებზე.
- ინვესტირება ტექნოლოგიაში: შესაბამისი HR ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფის ან ინსტრუმენტების შერჩევა, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად შეაგროვონ, გააანალიზონ და ვიზუალიზაცია გაუკეთონ მონაცემებს. სწორ ტექნოლოგიას შეუძლია პროცესების გამარტივება და რეალურ დროში ინფორმაციის მიწოდება.
- მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება: გაანალიზდეს მონაცემთა კონფიდენციალურობის საკითხები და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობის წესები. დაცული უნდა იყოს თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და შენარჩუნებული მონაცემთა უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტები.
- თანამშრომლობა დეპარტამენტებს შორის: თანამშრომლობის ხელშეწყობა HR, IT და სხვა შესაბამის დეპარტამენტებს შორის. ჯვარედინი ფუნქციური თანამშრომლობა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებისა და ექსპერტიზის ხელმისაწვდომობას.
- მონაცემებზე ორიენტირებული კულტურის შექმნა: განვითარდეს კულტურა, რომელიც აფასებს მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას.
- ტრენინგისა და განვითარების პროგრამების დანერგვა: მნიშვნელოვანია ტრენინგის და განვითარების პროგრამების საჭიროების გამოვლენა, რომელიც მიმართულია თანამშრომლების ტექნოლოგიური უნარების ამაღლებაზე. ასევე, უნდა გადამზადდეს პერსონალი HR ანალიტიკის წარმოების მიმართულებით.
- გავლენის გაზომვა: შეფასდეს HR ანალიტიკის გავლენა ორგანიზაციის მუშაობაზე. მნიშვნელოვანია იმის ჩვენება თუ როგორ გაუმჯობესდა მონაცემების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები HR პროცესებსა და ბიზნესის შედეგებში.
- უწყვეტი გაუმჯობესება: HR ანალიტიკა განხილული უნდა იყოს, როგორც გაუმჯობესების უწყვეტი მოგზაურობა. რეგულარულად შეფასდეს სისტემის ეფექტიანობა და მისი შესაძლებლობების ზრდის გზები.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით კომპანიებს შეუძლიათ ეფექტიანად დანერგონ HR ანალიტიკური სისტემა, რომელიც განაპირობებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, გააძლიერებს HR პროცესებს და ხელს შეუწყობს ორგანიზაციულ წარმატებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


Boudreau, J. W. (2017). Investing in People: Financial Impact of Human Resource Initiatives. FT Press.

Brynjolfsson, E. H. (2011). Strength in numbers: How does data-driven decisionmaking affect firm performance? SSRN Working Paper.

Davenport, T. H. (n.d.). "Human decision-making and machine learning". MIT Sloan Management Review, 60 (4), 1-8.

Deloitte, D. (. (2018). The age of analytics: Competing in a data-driven world. Deloitte University Press.

Marler, J. H. (2017). "An evidence-based review of HR analytics". International Journal of Human Resource Management, 3-26.

Rasmussen, S. &. (2019 (71-84)). "Learning from HR analytics at Google: A case study". Human Resource Management.

# THE IMPACT OF COVID-19 PANDEMIC ON THE COGNITIVE FUNCTIONS OF THE INTERNATIONAL STUDENTS ENROLLED IN GEORGIAN UNIVERSITIES


**Rekha Baskar**[1]

Student at Healthcare Sciences

*East European University*

**Khatuna Parkosadze**[2]

*Associate Professor, Doctor of Biology*
*Senior Researcher, Doctor of Biology*

*East European University, Free University of Tbilisi*



## Abstract

The impact of COVID-19 on lifestyle, mental and physical health in students is well investigated but little is known regarding such impact on cognitive functions of international students. In the frame of presented study, the cognitive functions of international students enrolled in Georgian universities were investigated. Two groups of students were tested – students who stayed in Georgia during the pandemic period, and students who stayed in their country of origin with their families (mainly in India).

The data was collected from August 2021 to April 2022. The stress level of participants was evaluated via the Perceived Stress Scale (PSS) and cognitive functions were evaluated using Digit Span Tasks, Visual Search Task, and Wisconsin Card Sorting Test (WCST). The results showed that the perceived stress level for both groups' students was moderate and no significant difference between stress levels was measured. Results of cognitive tests showed that short-term and working memories are affected similarly in the two groups of students. However, performances of the visual search task and WCST showed that second-group students have a decline in attention and executive functions. These results indicate that the pandemic situation had affected international students in terms of stress similarly but deteriorated general cognitive functions in students who stayed with their families.



**Keywords:** *cognitive functions, executive functions, attention, memory, stress*



[1] rexbhas@gmail.com

[2] khatuna.parkosadze@eeu.edu.ge

# THE IMPACT OF COVID-19 PANDEMIC ON THE COGNITIVE FUNCTIONS OF THE INTERNATIONAL STUDENTS ENROLLED IN GEORGIAN UNIVERSITIES

**Rekha Baskar**[3]

Student at Healthcare Sciences

*East European University*

**Khatuna Parkosadze**[4]

*Associate Professor, Doctor of Biology*
*Senior Researcher, Doctor of Biology*

*East European University, Free University of Tbilisi*

## Introduction

The COVID-19 pandemic that started in Wuhan, China in December 2019 has turned out to be one of the most global and deadliest pandemic in world history (Feehan & Apostolopoulos, 2021). The pandemic situation generated serious physical and mental health problems at all levels of society. The consequences of the disease were very severe and the transmission of the disease was very quick, so in order to bring the situation under control World Health Organization (WHO) emphasized the importance of lockdown between countries and individuals as social distancing (Atalan, 2020; Stein, 2020). Such measures proved to be very helpful in terms of limiting virus transmission but the restriction on mobility, socialization, and in general changes of everyday lifestyle led to other kinds of problems (Znazen et al., 2021).

Due to the lockdown academic institutions also had to change the method of education and switch to online teaching. The students' life became even more challenging as together with bearing the stress caused by the pandemic and lockdown, they had to get adapted to the online learning pattern, (Di Pietro et al., 2020). Recent evidences prove that all these pandemic associated situations impacted students' academic achievements, mental and psychological stress, concentration, motivation, general behavior, social relationships, food and sleep habits, etc. (Di Pietro et al., 2020; Espino-Díaz et al., 2020; Gewalt et al., 2022; Mbous et al., 2022; Znanzen et al., 2021). Especially these could affect international students who are living abroad, away from families and feel less safe and supported in the host country (Mbous et al., 2022). Even though many studies investigated the impact of COVID-19 on students' life, there is very little research on international students.

In the frame of presented work the impact of COVID-19 pandemic on the cognitive functions was investigated in international students who were enrolled in Georgian Universities and who during the pandemic stayed in Georgia, or in their country of origin (mainly India) with their families. In general, stress is proven to affect cognitive abilities such as attention, memory and executive functions (Cibrian-Llanderal et al., 2018; Marin et al., 2011). Recent evidence shows that stress during the pandemic significantly affects the cognitive functions of students during online learning (Quintiliani et al., 2021). Moreover, it is shown that stress level is higher in international students even before the pandemic (Alharbi & Smith, 2018; Fritz et al., 2008).

The main aim of presented work was to determine the state of such cognitive functions as attention, memory and executive functions during the pandemic in international students enrolled in Georgian universities. For that the performance of cognitive tasks were compared between two groups of international students: Group 1- students who stayed in Georgia during the pandemic and Group 2 – students who stayed with their families in their country of origin. According to previous evidences, it was expected that stress levels would be higher and cognitive performance would be declined for those international students who stayed away from their families (Group 1). Surprisingly, it appeared that the perceived stress level for both groups of students

3 rexbhas@gmail.com

4 khatuna.parkosadze@eeu.edu.ge

was similar (moderate), but cognitive performance for students who stayed with families (Group 2) was worst compared to that of the students who stayed in Georgia (Group 1).

## Methodology

### Participants

International students enrolled at different Georgian Universities were invited to participate in this study. Forty student volunteers were involved in total. None of them suffered from any known psychiatric or neurological disease as reported. All Participants had normal or corrected to normal vision and had no prior experience in the tasks used in this study. Students were assigned into two groups according to their place of stay during the pandemic: Group 1 – international students who stayed in Georgia during the pandemic (n = 20), and Group 2 – international students who stayed with their families in their country of origin (n = 20). Written and oral informed consent was provided prior to participation in the experiment. All procedures were conducted in accordance with the Declaration of Helsinki (2013).

## Design and Procedure

The data was collected from August 2021 to April 2022. During that time period, there were mostly lockdowns in almost all countries and the same was for Georgia and India, with some transition periods in Georgia. The experiments were performed online via ZOOM or TEAMS platforms with all the tests well adapted for online use.

In this cross-sectional study, two questionnaires were completed and psychophysical tests for the evaluation of cognitive functions were performed. The Psychology Experiment Building Language (PEBL) program was used for running cognitive experiments (Mueller & Piper, 2014). Participants' demographic characteristics (age, gender, educational level, and academic achievement (GPA), infected by COVID-19) were collected via self-report in the general questionnaire.

The stress level of participants was evaluated via the **Perceived Stress Scale** (PSS) by Cohen (1983). Participants answered questions related to their subjective feelings during the last month. According to the answers, the score of stress perception is calculated as perceived stress being low (scores ranging from 0-13), moderate (scores ranging from 14-26) and high (scores ranging from 27-40).

The cognitive functions of participants were evaluated using the following psychophysical tests: Digit Span Tasks (forward and backward) (Elliott et al., 2011), Visual Search Task (Treisman, 1985; from the PEBL Psychological Test Battery), and Wisconsin Card Sorting Test (Grant & Berg, 1948; from the PEBL Psychological Test Battery).

**Digit Span Task** is a very good measure of attention, working memory (forward condition) and short-term memory (backward condition). In this task participants have to repeat the numbers (from 1 to 9) presented randomly at a rate of one per second; in the forward digit span condition participants are required to repeat the list in the same order as presented and in backward digit span condition participants are required to repeat the list in backward order. The list sequence began at a span of two numbers and in case of success, the sequence was increased. The longest sequence successfully recalled is recorded as performance level.

The visual selective attention was evaluated via a **visual search task**. In this task, participants were asked to search for a target (that could be one of the following: white O, white X, green O, or green X) presented among distracters (white letters). The number of distracters was different among the trials and was 10, 20, or 30 letters presented simultaneously. The percentage of correct answers as well as reaction times for correct responses were recorded and analyzed in order to evaluate visual selective attention. In general, a longer reaction time indicates deteriorated performance that is linked to a decline in attention (Shah et al., 2010; Treisman, 1985).

**Wisconsin Card Sorting Test** (WCST) measures general executive functions such as cognitive flexibility, planning, attention and working memory. In this task, 128 cards must be sorted according to shape, color or number of figures on the card. The Participants are not told according to which strategy they are supposed

to sort the cards, however feedback about whether or not cards were successfully sorted is given after each response to facilitate learning and performance. The following measures are reported and analyzed: the number of correct responses, the number of errors in general, the number of perseverative errors, the number of non-perseverative errors and the number of cards to complete the first category.

### Statistical analysis

SPSS (IBM corp., Version 20.0) was used for statistical analysis. Descriptive statistics were performed for qualitative variables and are presented as mean ± standard deviation.

To compare the results of psychophysical experiments analysis of variance (One-Way ANOVA) was used. The percentage of correct responses was analyzed and in addition for visual search task reaction times were also compared. Reaction time was defined as the interval between the appearance of the search display and the button press as an indicator that the target was found. Responses faster than 350 milliseconds were categorized as „fast guesses, and responses slower than 5,000 milliseconds as „too slow and were rejected from analysis. Both of these categories hardly ever occurred (<1%). For all tests, the significance level was accepted as $p \leq 0.05$ and the confidence interval as 95%.

### Results

Table 1 represents the demographic data of the participants in both groups. There was no significant difference in age and level of education (GPA) of participants ($p > 0.05$), but the GPA of students of group 2 was significantly higher than students of group 1 ($p < 0.05$). GPA was provided as a self-report and as reported was from the previous study year; accordingly, association of academic achievement and ongoing situation with each other is not appropriate. No significant difference was observed for perceived stress level (PSS) ($p > 0.05$). PSS level for both groups was moderate.

No significant difference was found in performance for Digit Span forward condition, $P > 0.05$ [$F(1, 37) = 1.057$, $p = 0.311$], as well as for backward condition, $P > 0.05$ [$F(1, 37) = 2.82$, $p = 0.101$] (figure 1). The performance of digit span is not different from the general results of the same task in young adults (Ebaid & Crewther, 2018).

***Table 1.* Demographic information of participants**

| Characteristics | | Group 1 (n = 20) Mean ± SD | Group 2 (n = 20) Mean ± SD | F | df | P |
|---|---|---|---|---|---|---|
| **Age** | | 21.5 ± 1.8 | 22.2 ± 1.2 | 1.48 | 1 | 0.230 |
| **Gender, n (%)** | Male<br>Female | 6 (30)<br>14 (70) | 8 (40)<br>12 (60) | | | |
| **Level of education (semester)** | | 6 ± 2.2 | 7 ± 2.4 | 2.53 | 1 | 0.120 |
| **Academic achievements (GPA)**** | | 2.46 ± 0.5 | 2.97 ± 0.42 | 9.5 | 1 | 0.003 |
| **Covid 19, n (%)** | NO<br>YES | 15 (75)<br>5 (25) | 16 (80)<br>4 (20) | 1.88 | 1 | 0.16 |
| **PSS** | | 18.4 ± 5.8 | 17.3 ± 3.9 | 0.65 | 1 | 0.423 |

** indicates that p<0.005




***Figure 1.*** ***Performance of digit span test. There is no difference in performance for two groups and the results do not differ from literature evidences.***

The performance of the Visual Search Test was not significantly different for the two groups (P > 0.05) (figure 2), but there was a significant difference in reaction times for second group students showing slower performance (figure 3). However, for both groups reaction time increased with an increased number of distracters and reaction time decreased for pop-out conditions (like green targets among white distracters). In general, increase in reaction time for both groups' participants compared to earlier evidence for the participants of the same age group was observed (Wong and Low, 2018). One can argue that such an increase in reaction time can be explained because of online performance of tasks, but again, evidences show that online performance increases reaction time for slight expense (Chetverikov, & Upravitelev, 2016). These results indicate that pandemic situation has affected attentional processes for students of both groups and students of second group more than first group students.




***Figure 2.*** ***Performance of visual search task for both groups and for all types of search displays. There is no significant difference in task performance; participants of both groups performed the task with highest accuracy.***




***Figure 3.*** ***Reaction times for visual search task for both groups and for all types of search displays. Participants tasks were to search for White O [F(1, 37) = 10, p = 0.003], White X [F(1, 37) = 20.42, p = 0.001], Green O [F(1, 37) = 19,6, p = 0.001] and Green X [F(1, 37) = 15, p = 0.000].***

Results of WCST are presented in table 2. There was no significant difference in the total number of correct responses between the two groups ($p > 0.05$) showing similar performance in general. The number of total errors, perseverative errors and non-perseverative errors showed a significant difference between the two groups ($p < 0.05$), indicating that executive functions deteriorated for students of group 2 more than for students of group 1.

Presented research is subject to some limitations that could account for the reported results. First of all the study was limited by small sample size – only 20 international students in each group were tested. Obviously more sample size would give more data and chance for correlational analysis that is not done now. Next, current study is cross-sectional study; hence it is not really possible to make comparisons with cognitive performance in pre-pandemic period. Better cognitive performance was found for the students of first group who had spent pandemic period in Georgia, possibility of such comparison (evaluation of cognitive functions before and during pandemic) would shed light reason why students of group 1 have better cognitive performance. The last limitation concerns the online testing procedure that could cause bias not only psychophysical test results, also performance of digit span test. Future studies including same participants and procedures done in offline situation would explore what actually is the condition of cognitive functions in international students enrolled in Georgian universities.

***Table 2.* Results of WCST performance**

| WCST | Group 1<br>Mean ± SD | Group 2<br>Mean ± SD | F | df | P |
|---|---|---|---|---|---|
| **Correct responses** | 99 ± 3.8 | 99 ± 6.7 | 0.003 | 1 | 0.95 |
| **Total errors*** | 20 ± 6.7 | 26 ± 8.5 | 6.94 | 1 | 0.01 |
| **Perseverative Responses*** | 36.8 ± 6.7 | 41.95 ± 9 | 3.99 | 1 | 0.05 |
| **Perseverative errors**** | 13 ± 3.8 | 17.8 ± 6.3 | 7.72 | 1 | 0.008 |
| **Non-perseverative errors** | 6.95 ± 4.3 | 8.7 ± 3.2 | 1.98 | 1 | 0.16 |
| **Trials to complete 1st cat** | 14 ± 6 | 14 ± 4 | 0.015 | 1 | 0.9 |

* indicates that p<0.05

** indicates that p<0.005

## Conclusions

Here cognitive functions (attention, working memory, executive functions) in two groups of international students enrolled in Georgian universities were investigated: Group 1 – international students who stayed in Georgia during the pandemic (n = 20), and Group 2 – international students who stayed with their families in their country of origin. The results showed that the perceived stress level is moderate for students of both groups. Attention, short-term and working memories evaluated with Digit Span Task are not affected and there is no significant difference in performance of those tasks between the two groups. However, selective attention and general executive functions are declined for students of the second group.

It is obvious that the pandemic situation affects international students similarly, yet it is not quite clear why cognitive functions are better in students who stayed in Georgia (away from families) compared to students who stayed at home with families. It can only be speculated that because the pandemic situation in India was worst at the time of testing that has also impacted general cognitive performance.

## Acknowledgment

The research was funded by East European University under Grant Competition for Funding Scientific/Research Projects (student competition).

## LIST OF APPLIED LITERATURE


Alharbi, E.S., & Smith, A.P. (2018). Review of the Literature on Stress and Wellbeing of International Students in English-Speaking Countries. International Education Studies, 11(6), 22-44. https://doi.org/10.5539/ies

Atalan, A. (2020). Is the lockdown important to prevent the COVID-19 pandemic? Effects on psychology, environment and economy-perspective. Ann Med Surg (Lond). 56:38-42. doi: 10.1016/j.amsu

Cibrian-Llanderal, T., Melgarejo-Gutierrez, M., & Hernandez-Baltazar, D. (2018). Stress and Cognition: Psychological Basis and Support Resources, Health and Academic Achievement, DOI: 10.5772/intechopen.72566

Chetverikov, A., & Upravitelev, P. (2016). Online versus offline: The Web as a medium for response time data collection. Behav Res 48, 1086-1099. https://doi.org/10.3758/s13428-015-0632-x

Cohen, S., Kamarck, T., & Mermelstein, R. (1983). A global measure of perceived stress. Journal of Health and Social Behavior, 24, 386-396

Di Pietro, G., Biagi, F., Costa, P., Karpiński, Z., & Mazza, J. (2020). The likely impact of COVID-19 on education: Reflections based on the existing literature and international datasets, EUR 30275 EN, Publications Office of the European Union, Luxembourg , doi:10.2760/126686, JRC121071

Ebaid, D., & Crewther, S.G. (2018). Temporal Aspects of Memory: A Comparison of Memory Performance, Processing Speed and Time Estimation between Young and Older Adults. Front Aging Neurosci. 10:352. doi: 10.3389/fnagi.2018.00352

Elliott, E., Cherry, K., Brown, J., Smitherman, E., Jazwinski, S. M., Yu, Q., et al. (2011). Working memory in the oldest-old: evidence from output serial position curves. Memory & Cognition, 39(8):1423-1434

Espino-Díaz, L., Fernandez-Caminero, G., Hernandez-Lloret, C., Gonzalez-Gonzalez, H., Alvarez-Castillo, J. (2020). Analyzing the Impact of COVID-19 on Education Professionals. Toward a Paradigm Shift: ICT and Neuroeducation as a Binomial of Action. Sustainability. 12(14):5646. https://doi.org/10.3390/su12145646

Feehan, J., & Apostolopoulos, V. (2021). Is COVID-19 the worst pandemic? Maturitas. 149:56-58. doi: 10.1016/j.maturitas.2021.02.001. Epub 2021 Feb 6. PMID: 33579552; PMCID: PMC7866842

Fritz, M.V., Chin, D. & DeMarinis, V. (2008). Stressors, anxiety, acculturation and adjustment among international and North American students. International Journal of Intercultural Relations, 32(3), 244-259

Gewalt, S.C., Berger, S., Krisam, R., & Breuer, M. (2022). Effects of the COVID-19 pandemic on university students' physical health, mental health and learning, a cross-sectional study including 917 students from eight universities in Germany. PLoS ONE 17(8): e0273928. https://doi.org/10.1371/journal.pone.0273928

Grant, D. A., & Berg, E. A. (1948). Wisconsin Card Sorting Test [Database record]. APA PsycTests. https://doi.org/10.1037/t31298-000

Marin, M-F., Lord, C., Andrews, J., Juster, R-P., Sindi, S., Arsenault-Lapierre, G. et al. (2011). Chronic stress, cognitive functioning and mental health. Neurobiol Learn Mem 2011; 96(4):583-95. https://doi.org/10.1016/j.nlm.2011.02.016 PMID: 21376129

Mbous, Y.P.V., Mohamed, R., & Rudisill, T.M. (2022). International students challenges during the COVID-19 pandemic in a university in the United States: A focus group study. Curr Psychol. 4:1-13. doi: 10.1007/s12144-022-02776-x. Epub ahead of print. PMID: 35136332; PMCID: PMC8814793

Mueller, S. T., & Piper, B. J. (2014). The Psychology Experiment Building Language (PEBL) and PEBL Test Battery. Journal of Neuroscience Methods, 222, 250-259. http://dx.doi.org/10.1016/j.jneumeth.2013.10.024

Quintiliani, L., Sisto, A., Vicinanza, F., Curcio, G., Tambone, V. (2021). Resilience and psychological impact on Italian university students during COVID-19 pandemic. Distance learning and health. Psychol Health Med. (1):69-80. doi: 10.1080/13548506.2021.1891266

Shah, C., Gokhale, P. A., Mehta, H. B. (2010). Effect of mobile use on reaction time. Al Ameen Journal of Medical Science. 3(2):160-164

Stein, R.A. (2020). COVID-19 and rationally layered social distancing. Int J Clin Pract. 74(7): e13501. doi: 10.1111/ijcp.13501

Treisman, A. (1985). Preattentive processing in vision. Computer Vision, Graphics, and Image Processing, 31(2), 156-177

Wong, I., & Low, A. (2018). Exploring the Response Time (RT) in Performing Specified Visual Search Tasks. Trends Tech Sci Res. 3(2): 555607. DOI: 10.19080/TTSR.2018.03.555607

Znazen, H., Slimani, M., Bragazzi, N.L., & Tod, D. (2021). The Relationship between Cognitive Function, Lifestyle Behaviours and Perception of Stress during the COVID-19 Induced Confinement: Insights from Correlational and Mediation Analyses. International Journal of Environmental Research and Public Health. 18(6):3194. https://doi.org/10.3390/ijerph18063194

# COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტების კოგნიტურ ფუნქციებზე

**რექა ბასკარი**[1]

ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

**ხათუნა ფარქოსაძე**[2]

ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი*

## ანოტაცია

COVID-19-ის პანდემიის გავლენა სტუდენტთა ცხოვრების წესზე, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე კარგად არის შესწავლილი, მაგრამ ცოტა რამ არის ცნობილი თუ რა გავლენა იქონია პანდემიამ საერთაშორისო სტუდენტების კოგნიტიურ ფუნქციებზე. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა კოგნიტური ფუნქციები საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტების ორ ჯგუფში – სტუდენტები, რომლებიც პანდემიის დროს იყვნენ საქართველოში და სტუდენტები, რომლებიც პანდემიის დროს იყვნენ წარმოშობის ქვეყანაში (ძირითადად ინდოეთში).

კვლევა ჩატარდა და მონაცემები შეგროვდა 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის აპრილის პერიოდში. მონაწილეთა სტრესის დონე შეფასდა აღქმული სტრესის შკალის (PSS) საშუალებით, ხოლო კოგნიტიური ფუნქციები შეფასდა რიცხვების ჩამოთვლის ტესტის, მხედველობითი ძიების ტესტის და ვისკონსინის ბარათების სორტირების ტესტის (WCST) გამოყენებით. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ აღქმული სტრესის დონე ორივე ჯგუფის სტუდენტებისათვის იყო საშუალო და არ განსხვავდებოდა სტატისტიკურად ერთმანეთისგან. კოგნიტიური ტესტების შედეგებმა აჩვენა, რომ ხანმოკლე და მუშა მეხსიერებების დონე ერთნაირი იყო ორივე ჯგუფის მონაწილეებისათვის, ხოლო ყურადღების და ძირითადი აღმასრულებელი ფუნქციები დაქვეითებულია მეორე ჯგუფის სტუდენტებში. ეს შედეგები მიუთითებს, რომ პანდემიამ ერთნაირი გავლენა მოახდინა საერთაშორისო სტუდენტების ორივე ჯგუფზე სტრესის თვალსაზრისით, მაგრამ გაუარესდა ზოგადი კოგნიტიური ფუნქციები იმ სტუდენტებში, რომლებიც პანდემიის დროს იყვნენ თავიანთ ოჯახებთან ერთად.

***საკვანძო სიტყვები:*** *კოგნიტიური ფუნქციები, აღმასრულებელი ფუნქციები, ყურადღება, მეხსიერება, სტრესი*

[1] rexbhas@gmail.com

[2] khatuna.parkosadze@eeu.edu.ge

# COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტების კოგნიტურ ფუნქციებზე

**რექა ბასკარი**[3]

ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

**ხათუნა ფარქოსაძე**[4]

ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი*

## შესავალი

COVID-19 პანდემია, რომელიც 2019 წლის დეკემბერში ვუჰანში, ჩინეთში, დაიწყო, ერთ-ერთი ყველაზე გლობალური და ყველაზე მომაკვდინებელი პანდემია აღმოჩნდა მსოფლიო ისტორიაში (Feehan & Apostolopoulos, 2021). პანდემიამ მძიმე ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები გამოიწვია საზოგადოების ყველა დონეზე. ვინაიდან დაავადების შედეგები ძალიან მძიმე იყო და დაავადების გადაცემა ძალიან სწრაფად ხდებოდა, სიტუაციის კონტროლის მიზნით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) სოციალური და ფიზიკური დისტანცირების მიზნით ქვეყნებსა და ინდივიდებს შორის ჩაკეტვა („ლოკდაუნი“) გამოაცხადა (Atalan, 2020; Stein, 2020). ასეთ ზომებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვირუსის გადაცემის შეზღუდვის თვალსაზრისით, თუმცა მობილობის, სოციალიზაციისა და ზოგადად ყოველდღიური ცხოვრების წესის ცვლილებებმა სხვა სახის საკმაოდ მძიმე პრობლემები გამოიწვია (Znazen et al., 2021).

‘ლოკდაუნის“ გამო უნივერსიტეტებსაც მოუწიათ სწავლების მეთოდის შეცვლა და ონლაინ სწავლებაზე გადასვლა. ამან სტუდენტების ცხოვრება კიდევ უფრო რთული გახადა, რადგან პანდემიითა და ჩაკეტვით გამოწვეული სტრესთან გამკლავებასთან ერთად, ისინი სწავლების ახალ, ონლაინ რეჟიმსაც უნდა მორგებოდნენ (Di Pietro et al., 2020). უახლესი კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ ყველა ეს სიტუაცია გავლენას ახდენდა სტუდენტების აკადემიურ მიღწევებზე, ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ სტრესზე, კონცენტრაციაზე, მოტივაციაზე, და ზოგადად ქცევაზე, სოციალურ ურთიერთობებზე, კვებისა და ძილის ჩვევებზე და ა.შ. (Di Pietro et al., 2020; Espino-Díaz et al.,2020; Gewalt et al., 2022; Mbous et al., 2022; Znanzen et al., 2021).

პანდემიის სიტუაციას კიდევ უფრო დიდი გავლენა ჰქონდა საერთაშორისო სტუდენტებზე, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ, ოჯახებისგან შორს და თავს ნაკლებად დაცულად და მხარდაჭერილად გრძნობენ მასპინძელ ქვეყანაში (Mbous et al., 2022). მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კვლევა მიეძღვნა COVID-19-ის გავლენას სტუდენტების ცხოვრებაზე, საერთაშორისო სტუდენტებზე ძალიან ცოტა კვლევაა ჩატარებული. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა COVID-19-ის გავლენა იმ საერთაშორისო სტუდენტების კოგნიტურ ფუნქციებზე, რომლებიც ჩარიცხულები იყვნენ საქართველოს უნივერსიტეტებში და რომლებმაც პანდემიის პერიოდი გაატარეს საქართველოში, ან თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში (ძირითადათ ინდოეთში) ოჯახებთან ერთად.

ზოგადად, ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სტრესი გავლენას ახდენს ისეთ კოგნიტიურ უნარებზე, როგორებიცაა ყურადღება, მეხსიერება და აღმასრულებელი ფუნქციები (Cibrian-Llanderal et al., 2018; Marin et al., 2011). ბოლოდროინდელმა კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ სტრესი პანდემიის დროს მნიშვნელოვნად მოქმედებს სტუდენტების კოგნიტიურ ფუნქციებზე ონლაინ სწავლების პირობებშიც (Quintiliani et al., 2021). გარდა ამისა, ცნობილია ისიც, რომ საერთაშორისო სტუდენტებში სტრესის დონე უფრო მაღალია პანდემიამდე პირობებშიც კი (Alharbi & Smith, 2018; Fritz et al., 2008).

3 rexbhas@gmail.com

4 khatuna.parkosadze@eeu.edu.ge

წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო ისეთი კოგნიტიური ფუნქციების მდგომარეობის შესწავლა, როგორებიცაა ყურადღება, მეხსიერება და აღმასრულებელი ფუნქციები პანდემიის დროს საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხულ საერთაშორისო სტუდენტებში. ამისთვის კოგნიტიური ამოცანების შესრულების დონე შედარდა საერთაშორისო სტუდენტების ორ ჯგუფს შორის: 1 ჯგუფის სტუდენტები, რომლებიც დარჩნენ საქართველოში პანდემიის დროს და 2 ჯგუფის სტუდენტები, რომლებიც პანდემიის დროს იყვნენ ოჯახთან ერთად თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში. არსებული ლიტერატურული მონაცემების თანახმად, მოსალოდნელი იყო რომ სტრესის დონე უფრო მაღალი იქნებოდა და შესაბამისად, კოგნიტიური ფუნქციები უფრო დაბალი იმ საერთაშორისო სტუდენტებში, რომლებიც შორს იყვნენ ოჯახებისგან (ჯგუფი 1). კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აღქმული სტრესის დონე სტუდენტების ორივე ჯგუფისთვის ერთნაირი იყო (საშუალო დონე), თუმცა, კოგნიტური მაჩვენებლები იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც პანდემიის დროს იყვნენ თავიანთ ოჯახებთან ერთად, უფრო დაბალი იყო საქართველოში მყოფ სტუდენტებთან შედარებით.

### მეთოდოლოგია

#### კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში ჩარიცხულმა ორმოცმა საერთაშორისო სტუდენტმა. სტუდენტი მოხალისეები გაყოფილი იყო ორ ჯგუფად კვლევის მიმდინარეობის დროს მათი ადგილმდებარეობის შესაბამისად: ჯგუფი 1 – საერთაშორისო სტუდენტები, რომლებიც პანდემიის დროს იყვნენ საქართველოში (n = 20) და ჯგუფი 2 – საერთაშორისო სტუდენტები, რომლებიც პანდემიის დროს იყვნენ თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში (ძირითადათ ინდოეთში) თავიანთ ოჯახებთან ერთად (n = 20). არც ერთ მონაწილეს არ ჰქონდა რაიმე ტიპის ფსიქიატრიული ან ნევროლოგიური პრობლემა. ყველა მონაწილეს ჰქონდა ნორმალური, ან ნორმალურამდე კორექტირებული მხედველობა. არც ერთ მონაწილეს არ ჰქონდა ამ ტიპის კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება. ექსპერიმენტში მონაწილეობამდე ყველა ცდის პირმა ხელი მოაწერა ინფორმირებული თანხმობის ფორმას. ექსპერიმენტები ჩატარდა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ჰელსინკის დეკლარაციის წესების დაცვით (2013).

#### დიზაინი და პროცედურა

კვლევა ჩატარდა და მონაცემები შეგროვდა 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის აპრილის პერიოდში. ამ დროს თითქმის ყველა ქვეყანაში „ლოკდაუნი" იყო გამოცხადებული, შესაბამისად იგივე ხდებოდა საქართველოში და ინდოეთში, საქართველოში მცირედი გარდამავალი პერიოდებით. ექსპერიმენტები ტარდებოდა ონლაინ რეჟიმში ZOOM ან TEAMS პლატფორმების გამოყენებით, შესაბამისად ყველა ტესტი ადაპტირებული იყო ონლაინ გამოყენებისათვის.

წარმოდგენილი კვლევა მიეკუთვნება ჯვარედინ-სექციური ტიპის კვლევებს. დემოგრაფიული მონაცემების შესაგროვებლად და სტრესის დონის შესაფასებლად ორი კითხვარი იყო გამოყენებული, ხოლო კოგნიტიური ფუნქციების შესაფასებლად გამოყენებული იყო ფსიქოფიზიკური ტესტები. ფსიქოფიზიკური ტესტები დაწერილი იყო Psychology Experiment Building Language (PEBL) პროგრამით (Mueller & Piper, 2014).

მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები (ასაკი, სქესი, განათლების დონე და აკადემიური მიღწევა, კოვიდით დაინფიცირება) შეგროვდა კითხვარის საშუალებით, რომელსაც მონაწილე თავად ავსებდა.

მონაწილეთა სტრესის დონე შეფასდა აღქმული სტრესის შკალის (PSS) საშუალებით (Cohen, 1983). ამ კითხვარის ფარგლებში მონაწილეები პასუხობდნენ კითხვებს, რომლებიც ეხებოდა მათ სუბიექტურ შეგრძნებებს ბოლო თვის განმავლობაში. გაცემული პასუხების შესაბამისად გამოითვლებოდა აღქმული სტრესის დონე: დაბალი (0-13 ქულა), საშუალო (14-26 ქულა) და მაღალი (27-40 ქულა).

მონაწილეთა კოგნიტიური ფუნქციები შეფასდა შემდეგი ფსიქოფიზიკური ტესტების გამოყენებით: რიცხვების ჩამოთვლის ტესტი (თანმიმდევრული და უკუთანმიმდევრული კონდიციები) (Elliott et al., 2011), მხედველობის ძიების ტესტი (Treisman, 1985; PEBL ტესტების ბატარეადან), და ვისკონსინის ბარათების სორტირები ტესტი (Grant & Berg, 1948; PEBL ტესტების ბატარეადან).

**რიცხვების ჩამოთვლის ტესტი** კარგი ტესტია ყურადღების, მუშა მეხსიერების (თანმიმდევრული კონდიცია) და ხანმოკლე მეხსიერების (უკუთანმიმდევრული კონდიცია) შესაფასებლად. ამ ტესტის შესრულებისას ცდის პირის ამოცანაა გაიმეოროს რიცხვები (1-დან 9-მდე), რომლებიც შემთხვევითი თანმიმდევრობით წარედგინება ერთ წამიანი ინტერვალით; თანმიმდევრული კონდიციის დროს მონაწილემ უნდა გაიმეოროს რიცხვები იგივე თანმიმდევრობით, როგორც იყო წარდგენილი, ხოლო უკუთანმიმდევრული კონდიციის დროს უნდა გაიმეოროს შებრუნებული თანმიმდევრობით. რიცხვების წარდგენა იწყება ორ-რიცხვიანი სიით და სწორად განმეორების შემთხვევაში რიცხვების რაოდენობა იმატებს. ამოცანის შესრულების დონედ ითვლება ყველაზე გრძელი სია, რომელსაც მონაწილე უშეცდომოდ გაიმეორებს.

მხედველობითი შერჩევითი ყურადღების შესაფასებლად გამოყენებული იყო **მხედველობითი ძიების ტესტი**. ამ ტესტის შესრულებისას მონაწილის დავალებაა მოძებნოს სამიზნე სიმბოლო (რომელიც შეიძლება იყოს თეთრი O, თეთრი X, მწვანე O, ან მწვანე X) ხელისშემშლელ სიმბოლოებს (თეთრი ასოები) შორის. ხელისშემშლელი სიმბოლოების რაოდენობა საძიებო ეკრანზე იყო 10, 20 ან 30. შერჩევითი ყურადღების შესაფასებლად ხდებოდა სწორი პასუხების პროცენტული მაჩვენებელის და რეაქციის დროის რეგისტრაცია და ანალიზი. ხანგრძლივი რეაქციის დრო ასოცირდებატესტის შესრულების გაუარესებასთან და ყურადღების შემცირებასთან (Shah et al., 2010; Treisman, 1985).

**ვისკონსინის ბარათების სორტირების ტესტი** (WCST) გამოიყენება ისეთი აღმასრულებელი ფუნქციების შესაფასებლად, როგორებიცაა კოგნიტიური მოქნილობა, დაგეგმვა, ყურადღება და მუშა მეხსიერება. ტესტი შედგება 128 ბარათისგან, რომელთა სორტირებაც უნდა მოხდეს ფორმის, ფერის, ან ბარათზე ფიგურების რაოდენობის მიხედვით. ტესტის დასაწყისში მონაწილემ არ იცის სორტირების რომელი სტრატეგიაა სწორი, თუმცა პროგრამა მონაწილეს მინიშნებას აძლევს სწორია თუ არა მის მიერ არჩეული სტრატეგია, რაც აიოლებს შესრულების და დასწავლის პროცესს. ხდებოდა შემდეგი მონაცემების რეგისტრაცია და ანალიზი: სწორი პასუხების რაოდენობა, შეცდომების საერთო რაოდენობა, პერსევერაციული შეცდომების რაოდენობა, არაპერსევერაციული შეცდომების რაოდენობა და პირველი კატეგორიის სორტირების დასასრულებად საჭირო ბარათების რაოდენობა.

## სტატისტიკური ანალიზი

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებული იყო SPSS (IBM კორპ., 20.0 ვერსია) პროგრამა. ხარისხობრივი ცვლადების დასამუშავებლად კი აღწერილობითი სტატისტიკა და შედეგები სტატიაში წარმოდგენილია როგორც საშუალო ± სტანდარტული გადახრა.

ფსიქოფიზიკურიექსპერიმენტებისშედეგებისშესადარებლადგამოყენებულიიქნადისპერსიული ანალიზი (One-Way ANOVA). გაანალიზდა ყველა ფსიქოფიზიკური ტესტის შესრულების სწორი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი, ხოლო მხედველობითი ძიების ამოცანისთვის დამატებით დამუშავდა რეაქციის დროც. რეაქციის დრო განისაზღვრება, როგორც ინტერვალი საძიებო ეკრანის გამოჩენასა და ღილაკზე დაჭერას შორის, რაც მიანიშნებს, რომ სამიზნე სიმბოლო იპოვა ცდის პირმა. 350 მილიწამზე უფრო სწრაფი პასუხები მიეკუთვნებოდა „სწრაფი გამოცნობის“ პასუხების კატეგორიას, ხოლო 5000 მილიწამზე ნელი პასუხები მიეკუთვნება „ზედმეტად ნელი“ პასუხების კატეგორიას და შესაბამისად არ გაანალიზებულა. მოცემული კვლევის შედეგებში ორივე ეს კატეგორია არ აღემატებოდა პასუხების 1%-ს. ყველა ტესტისთვის, სტატისტიკურად სარწმუნოობის დონე აღებული იყო როგორც $p \leq 0.05$,ხოლო ნდობის ინტერვალი როგორც 95%.

## შედეგები

ორი ჯგუფის მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები წარმოდგენილია პირველ ცხრილში. კვლევაში ჩართული სტუდენტების ასაკი და განათლების დონე არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ($p > 0.05$), თუმცა მეორე ჯგუფის სტუდენტთა GPA სტატისტიკურად უფრო მაღალი იყო, ვიდრე პირველი ჯგუფის მონაწილეების ($p < 0.05$). მონაცემები GPA ქულების შესახებ მონაწილე სტუდენტებმა თავად მოგვაწოდეს და შეესაბამებოდა წინა წლის შედეგებს; შესაბამისად ამ შედეგებს ვერ ვუკავშირებთ პანდემიურ სიტუაციას.

აღქმული სტრესის დონე (PSS) ორივე ჯგუფი სტუდენტებისათვის ერთნაირი – საშუალო დონის იყო, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავების გარეშე ($p > 0.05$).

*ცხრილი 1. დემოგრაფიული მონაცემები მონაწილეების შესახებ*

| მახასიათებლები | | ჯგუფი 1 (n = 20) Mean ± SD | ჯგუფი 2 (n = 20) Mean ± SD | F | df | P |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასაკი | | 21.5 ± 1.8 | 22.2 ± 1.2 | 1.48 | 1 | 0.230 |
| სქესი, n (%) | მამრობითი | 6 (30) | 8 (40) | | | |
| | მდედრობითი | 14 (70) | 12 (60) | | | |
| განათლების დონე (სემესტრი) | | 6 ± 2.2 | 7 ± 2.4 | 2.53 | 1 | 0.120 |
| აკადემიური მიღწევები (GPA)** | | 2.46 ± 0.5 | 2.97 ± 0.42 | 9.5 | 1 | 0.003 |
| Covid 19, n (%) | არა | 15 (75) | 16 (80) | 1.88 | 1 | 0.16 |
| | კი | 5 (25) | 4 (20) | | | |
| PSS | | 18.4 ± 5.8 | 17.3 ± 3.9 | 0.65 | 1 | 0.423 |

** აღნიშნულია $p<0.005$

რიცხვების ჩამოთვლის ტესტის შესრულების შედეგები არ განსხვავდებოდა სტატისტიკურად ორი ჯგუფის მონაწილეებს შორის როგორც თანმიმდევრული ($P > 0.05$ [$F(1, 37) = 1.057$, $p = 0.311$]), ასევე უკუთანმიმდევრული კონდიციისათვის ($P > 0.05$ [$F(1, 37) = 2.82$, $p = 0.101$]) (გრაფიკი 1). ზოგადად, რიცხვების თანმიმდევრობის ტესტის შესრულების დონე არ განსხვავდებოდა ლიტერატურული მონაცემებისგანაც (Ebaid & Crewther, 2018).




***გრაფიკი 1.*** ***რიცხვების ჩამოთვლის ტესტის შესრულების შედეგები. ორი ჯგუფის სტუდენტების ამ ტესტს ერთნაირად ასრულებენ და აღსანიშნავია, რომ მოცემული შედეგები არ განსხვავდება ლიტერატურული მონაცემებისგან.***

მხედველობითი ძიების ამოცანის შესრულების დონე (სწორი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი) არ იყო სტატისტიკურად განსხვავებული ორი ჯგუფის მონაწილეებისათვის ($P > 0.05$) (გრაფიკი 2), თუმცა მეორე ჯგუფის სტუდენტების რეაქციის დრო სტატისტიკურად სარწმუნოდ აღემოტებოდა პირველი ჯგუფის სტუდენტების რეაქციის დროს, რაც ყურადღების დეფიციტზე მიუთითებს (გრაფიკი 3). ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ჯგუფის მონაწილეთა

რეაქციის დრო გაიზარდა საძიებო ეკრანზე ხელისშემშლელი სიმბოლოების რაოდენობის გაზრდასთან ერთად და შემცირდა ე.წ. „pop-out“ კონდიციების დროს (მაგალითად, როდესაც სამიზნე სტიმული იყო მწვანე ფერის და წარდგენილი იყო თეთრი ფერის ხელისშემშლელებთან). ზოგადად, მოცემულ შედეგებში რეაქციის დრო ორივე ჯგუფის მონაწილეთათვის იმაზე მაღალი იყო, ვიდრე ლიტერატურული მონაცემებითაა ცნობილი ამავე ასაკის ჯანმრთელი ცდის პირებისთვის (Wong and Low, 2018). რეაქციის დროის ასეთი გახანგრძლივება შესაძლოა დაუკავშირდეს იმას, რომ ტესტები ონლაინ შესრულდა, თუმცა ასევე ცნობიალია, რომ ონლაინ შესრულება ძალიან მცირედით (80-120 მილიწამი) ზრდის რეაქციის დროს (Chetverikov, & Upravitelev, 2016). შესაბამისად, ეს ვერ იქნება მიზეზი აღნიშნულ შემთხვევაში. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ პანდემიის პირობებში მხედველობითი შერჩევითი ყურადღება ქვეითდება.




*გრაფიკი 2. მხედველობითი ძიების ამოცანის შესრულების შედეგები ყველა ტიპის საძიებო ეკრანისათვის. ამ ტესტის შესრულების დონე არ განსხვავდებოდა სტატისტიკურად ორი ჯგუფის სტუდენტებისათვის – ორივე ჯგუფის მონაწილეები მაღალი სიზუსტით ასრულებდნენ ტესტს.*




***გრაფიკი 3.*** ***მხედველობითი ძიების ამოცანის შესრულების რეაქციის დროები მონაწილეთა ორივე ჯგუფისთვის და ყველა ტიპის საძიებო ეკრანისთვის: სამიზნე „თეთრი O" [F(1, 37) = 10, p = 0.003], „სამიზნე თეთრი X" [F(1, 37) = 20.42, p = 0.001], სამიზნე „მწვანე O" [F(1, 37) = 19,6, p = 0.001] და სამიზნე „მწვანე X" [F(1, 37) = 15, p = 0.000].***

WCST შესრულების შედეგები წარმოდგენილი მეორე ცხრილში. ორი ჯგუფის მონაწილეთა შესრულება ძირითადად არ განხსვავდებოდა ერთმანეთსგან, რადგან სწორი პასუხების რაოდენობა ორი ჯგუფის მონაწილეთათვის სტატისტიკურად არ განსხვავდებოდა ($p > 0.05$). შეცდომების საერთო რაოდენობა, პერსევერაციული და არაპერსევერაციული შეცდომების რაოდენობა კი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ორი ჯგუფისთვის, სადაც მეორე ჯგუფის სტუდენტები ასრულებდნენ უფრო ცუდათ (უშვებდნენ მეტ შეცდომებს) ($p < 0.05$). ეს შედეგები კი იმაზე მიუთითებს, რომ პანდემიის მდგომარეობა და სტრესი უფრო მეტად მოქმედებს მეორე ჯგუფის მონაწილეთა აღმასრულებელ ფუნქციებზე.

წარმოდგენილი კვლევას გარკვეულ შეზღუდვები აქვს, რამაც შეიძლება ასახვა ჰპოვოს მიღებულ შედეგებში. პირველ რიგში ეს არის მონაწილეთა მცირე რაოდენობა – გამოკვლეული იყო 20 საერთაშორისო სტუდენტი თითოეულ ჯგუფში. ცხადია, მეტი მონაწილე რომ ყოფილიყო ჩართული, ეს გაზრდიდა მონაცემთა რაოდენობას და შესაბამისად შედეგების კორელაციური ანალიზის შანსსაც. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე კორელაციური ანალიზი არ ჩატარებულა. შემდეგი შეზღუდვა არის, ის რომ მოცემული კვლევა არის ჯვარედინ-სექციური კვლევა და შესაბამისად, მიღებული მონაცემების შედარება პანდემიამდელ პერიოდში მონაწილეების კოგნიტურ ფუნქციებთან შეუძლებელია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კოგნიტიური ამოცანების შესრულება უკეთესია პირველი ჯგუფის სტუდენტებისთვის, რომლებმაც პანდემიის პერიოდი საქართველოში გაატარეს. სამწუხაროდ, არ ვიცით როგორი იყო ამ ფუნქციების მგომარეობა პანდემიამდე. ასეთი შედარების შესაძლებლობა ნათელს მოჰფენდა მიზეზს, რატომ გვაქვს ასეთი შედეგი. ბოლოს შეზღუდვა ეხება ონლაინ

ტესტირების პროცედურას, რასაც შესაძლოა შეეცვალა არა მხოლოდ ფსიქოფიზიკური ტესტის შესრულების შედეგები, ასევე რიცხვების თანმიმდევრობის ტესტის შედეგებიც. სამომავალოდ დაგეგმილი კვლევები იმავე მონაწილეების ჩართვით და იგივე პროცედურების გამოყენებით ლაბორატორიულ პირობებში (პირისპირ) აჩვენებს რეალურად როგორია კოგნიტური ფუნქციების მდგომარეობა საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხულ საერთაშორისო სტუდენტებში.

*ცხრილი 2.* ***WCST შესრულების შედეგები***

| WCST | ჯგუფი 1 Mean ± SD | ჯგუფი 2 Mean ± SD | F | df | P |
|---|---|---|---|---|---|
| **სწორი პასუხები** | 99 ± 3.8 | 99 ± 6.7 | 0.003 | 1 | 0.95 |
| **შეცდომების საერთო რაოდენობა*** | 20 ± 6.7 | 26 ± 8.5 | 6.94 | 1 | 0.01 |
| **პერსევერაციული პასუხები*** | 36.8 ± 6.7 | 41.95 ± 9 | 3.99 | 1 | 0.05 |
| **პერსევერაციული შეცდომები**** | 13 ± 3.8 | 17.8 ± 6.3 | 7.72 | 1 | 0.008 |
| **არაპერსევერაციული შეცდომები** | 6.95 ± 4.3 | 8.7 ± 3.2 | 1.98 | 1 | 0.16 |
| **პირველი კატეგორიის დასასრულებლად საჭირო ცდების რაოდენობა** | 14 ± 6 | 14 ± 4 | 0.015 | 1 | 0.9 |

* აღნიშნულია $p<0.05$

** აღნიშნულია $p<0.005$

## დასკვნები

აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო კოგნიტიური ფუნქციები (ყურადღება, მეხსიერება და აღმასრულებელი ფუნქციები) საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული საერთაშორისო სტუენტების ორ ჯგუფში: ჯგუფი 1 – საერთაშორისო სტუდენტები, რომლებიც პანდემიის დროს დარჩნენ საქართველოში და ჯგუფი 2 – საერთაშორისო სტუდენტები, რომლებიც პანდემიის დროს იმყოფებოდნენ თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში, თავიანთ ოჯახებთან ერთად. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ორივე ჯგუფის სტუდენტებისათვის აღქმული სტრესის დონე ერთნაირი იყო და იყო საშუალო დონის. ყურადღება, ხანმოკლე და მუშა მეხსიერებები, რომელთა შეფასებაც მოხდა რიცხვების თანმიმდევრობის ტესტის საშუალებით (და რომელიც ზომავს მარტივ კოგნიტიურ ფუნქციებს), ასევე არ განხსვავდებოდა ერთმანეთისგან ორი ჯგუფის მონაწილეებისათვის. თუმცა, მხედველობითი შერჩევითი ყურადღება და ძირითადი აღმასრულებელი ფუნქციები დაქვეითებული იყო მეორე ჯგუფის სტუდენტებისათვის.

ცხადია, რომ პანდემია გავლენას ახდენს საერთაშორისო სტუდენტების კოგნიტიურ ფუნქციებზე, რაც დადასტურდა რეაქციის დროის გახანგრძლივებით ორივე ჯგუფის სტუდენტებისათვის, თუმცა გაურკვეველია, რატომ აქვთ უკეთესი შესრულება პირველი ჯგუფის სტუდენტებს (სტუდენტებს, რომლებიც დარჩნენ საქართველოში), მეორე ჯგუფის სტუდენტებთან შედარებით, რომლებიც პანდემიის დროს თავიანთ ოჯახებთან ერთად იყვნენ. სავარაუდოთ ასეთი განსხვავება შესაძლოა დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ პანდემიური სიტუაცია უარესი იყო ინდოეთში, საქართველოსთან შედარებით.

## მადლობა

კვლევა დაფინანსებული იყო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის ფარგლებში (სტუდენტური კონკურსი).

## გამოყენებული ლიტერატურა


Alharbi, E.S., & Smith, A.P. (2018). Review of the Literature on Stress and Wellbeing of International Students in English-Speaking Countries. International Education Studies, 11(6), 22-44. https://doi. org/10. 5539/ ies

Atalan, A. (2020). Is the lockdown important to prevent the COVID-19 pandemic? Effects on psychology, environment and economy-perspective. Ann Med Surg (Lond). 56:38-42. doi: 10.1016/j.amsu

| X Variable 1 | 0.1616 | 0.005218091 | 30.96911197 | 1.87E-32 | 0.151096174 | 0.172103119 | 0.151096174 | 0.172103119 |

### რეგრესიის სტატისტიკა

მრავალჯერადი R, ანუ კორელაციის კოეფიციენტი, არის 0.9768, რაც მიუთითებს იმას, რომ არსებობს ძლიერი დადებითი წრფივი კავშირი დამოუკიდებელ ცვლადსა (რეკლამის შთაბეჭდილებები) და დამოკიდებულ ცვლადს (გაყიდვები) შორის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კორელაციის კოეფიციენტის კრიტიკული მნიშვნელობა Ra, m = 0,49 ნდობის ალბათობისთვის არის P = 0,999; შეცდომის ალბათობისთვის არის a = 0,001 და თავისუფლების ხარისხია m = N-2 = 46. ასე რომ, R > Ra,m ნულოვანი ჰიპოთეზა Ho = 0 ორ განხილულ ცვლადს შორის დამოუკიდებლობის შესახებ უნდა იყოს უარყოფილი და ალტერნატიული ჰიპოთეზა, რომ არსებობს ძლიერი დადებითი წრფივი კავშირი დამოუკიდებელ ცვლადს (რეკლამის შთაბეჭდილებები) და დამოკიდებულ ცვლადს (გაყიდვები) შორის უნდა იქნეს შემოღებული.

განსაზღვრის კოეფიციენტი, ანუ R კვადრატი არის 0.9542. აქედან სავარაუდოა, რომ გაყიდვების დისპერსიის დაახლოებით 95.42% შეიძლება აიხსნას სარეკლამო შთაბეჭდილებების რაოდენობის ცვალებადობით. ხოლო ეს მნიშვნელოვანი კორელაცია გულისხმობს, იმას რომ ყოველდღიური სარეკლამო შთაბეჭდილებები დიდ გავლენას ახდენს ყოველდღიურ გაყიდვებზე, რაც ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში.

***დიაგრამა 1* – ვიზუალიზირებული წრფივი რეგრესია.**




მორგებული R კვადრატი არის 0.9532. ასეთი მაღალი მაჩვენებელი, რაც ითვალისწინებს პროგნოზირების კოეფიციენტს, კიდევ უფრო ამტკიცებს შემოთავაზებული მოდელის სიმტკიცეს.

შეფასების სტანდარტული შეცდომა შეადგენს 7821.17, რაც მიუთითებს ამ მოდელის გამოყენებისას ტიპური შეცდომების ხასიათს გაყიდვების პროგნოზირების დროს.

### ვარიაციის ანალიზი (ANOVA)

ANOVA-ს ცხრილი ცხადყოფს რეგრესიის მოდელის სტატისტიკურ მნიშვნელობას. უკიდურესად დაბალი p-მნიშვნელობით (1.86508E-32) და F- სტატისტიკით 959.09, ეს მოდელი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საინფორმაციო მარკეტინგული სარეკლამო კამპანიების ანალიზისას.

კვადრატების დიდი რეგრესიული ჯამი (SS) კვადრატების ნარჩენ ჯამს (SS) გვიჩვენებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოდელი შეადგენს გაყიდვების მთლიანი ცვალებადობის მნიშვნელოვან ნაწილს.

### კოეფიციენტი

ჩარევა: კვეთის მნიშვნელობაა 1502.58. ეს წარმოადგენს პროგნოზირებულ გაყიდვებს, იმ შემთხვევაში როდესაც სარეკლამო შთაბეჭდილებები ნულოვანია. თუმცა, ეს სცენარი ნაკლებად სავარაუდოა პრაქტიკულ მარკეტინგულ კონტექსტში, რადგან ნულოვანი შთაბეჭდილებები არ უწყობს ხელს გაყიდვების გაზრდას.

X ცვლადი 1:X ცვლადი 1-ის კოეფიციენტი არის 0.1616, რაც გულისხმობს იმას, რომ სარეკლამო შთაბეჭდილებების ყოველი ერთეულის გაზრდისთვის, გაყიდვები უნდა გაიზარდოს 0.1616 ერთეულით.

ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

ძლიერი ასოციაცია: არსებობს ძლიერი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია შთაბეჭდილებების რაოდენობას (X ცვლადი 1) და გაყიდვებს შორის. მოსალოდნელია, რომ გაყიდვები გაიზრდება შთაბეჭდილებების მატებასთან ერთად, თუ სხვა პირობები მუდმივი დარჩება.

მოდელის მორგება: R-კვადრატული მნიშვნელობა 0.9542 მიუთითებს, რომ რეგრესიის მოდელი ხსნის გაყიდვების დისპერსიის 95.42%-ს, რაც მიუთითებს მონაცემთა ძალიან კარგ შესაბამისობას. მოდელის მაღალი სტატისტიკური მნიშვნელობა ასევე დასტურდება დაბალი p-მნიშვნელობით ANOVA-ს ცხრილში.

ჩარევა: ჩარევას აქვს შეზღუდული პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ის წარმოადგენს გაყიდვებს, როდესაც შთაბეჭდილებები ნულოვანია, რაც მარკეტინგულ კონტექსტში იშვიათი მოვლენაა.

## დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა ხაზს უსვამს ინფორმციაული რეკლამის ეფექტურობას მომხმარებელთა ინფორმირებულობის გაზრდასა და შესყიდვის გადაწყვეტილებაზე მის ზეგავლენას, კვების მრეწველობაში ბათუმის საზღვაო კურორტზე. კვლევა ხაზს უსვამს განხილული სამიზნე აუდიტორიის შემეცნებითი პრეფერენციების გააზრების მნიშვნელობას და ამ პრეფერენციებზე სარეკლამო შინაარსის მორგების მნიშვნელობას ბათუმის საზღვაო კურორტზე განთავსებული რესტორნის ჭრილში. სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს სარეკლამო შთაბეჭდილებების გაზრდის პოზიტიურ გავლენას გაყიდვებზე. ხოლო ეს ყველაფერი კი აძლიერებს ინფორმაციული რეკლამის ღირებულებას, როგორც მარკეტინგული კამპანიის ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტს განსაკუთრებით კი სარესტორნო ინდუსტრიაში, ზღვისპირა კურორტზე. საინფორმაციო რეკლამაში სტრატეგიულ ინვესტიციებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ გაყიდვები, რაც მას წარმატებული მარკეტინგული სტრატეგიის შეუცვლელ კომპონენტად წარმოაჩენს.

## ბიბლიოგრაფია


Alnsour, M. and Alshaer, S. et al. (2021). Restaurants Facebook Advertising and Consumers Purchase Intention. WSEAS TRANSACTIONS ON BUSINESS AND ECONOMICS, 18, 1113-1120. 10.37394/23207.2021.18.105.

Babbie, E. (2011). The basics of social research, 5th edition, Belmont, USA: Wadsworth.

Baker, M.J. (2002). Sampling. The Marketing Review, 3(1): 103-120. [Online] Available from: Ebsco-Host: Business Source Premier: http://0-web.ebscohost.com.innopac.up.ac.za/ehost/detail?vid=3&hid=122&sid=f27f8651-ed20-48f3-9298753a812c57bd%40sessionmgr115&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbGl2ZSZzY29wZT1zaXRl#db=buh&AN=8561083 [Accessed: 2012-08-10].

Bijmolt, T. et al. (2010). Analytics for Customer Engagement. Journal of Service Research – J SERV RES, 13, 341-356. 10.1177/1094670510375603.

Cohen, J., Pham, M. and Andrade, E. (2008). The Nature and Role of Affect in Consumer Behavior.

Drolet, A., & Luce, M. F. (2004). The rationalizing effects of cognitive load on emotion-based, Journal of Marketing Research, 4(4), 388-390.

Hansson, L. and Wrangmo, A. (2013). Optimal ways for companies to use Facebook as a marketing channel. Journal of Information Communication and Ethics in Society, Vol. 11, No. 2, pp. 112-126. DOI:10.1108/JICES-12-2012-0024.

Jacqueline, Z. (2024). Social media demographics to inform your 2024 strategy, [Online] Available from: Sprout Social: https://sproutsocial.com/insights/new-social-media-demographics/

Jovanovic, P. and Vlastelica, T. et al. (2016). Impact of Advertising Appeals on Purchase Intention. Management – Journal for theory and practice of management, 21, 35-45. 10.7595/management.fon.2016.0025.

Kim, H. and Hanssens, D. (2016). Advertising and Word-of-Mouth Effects on Pre-Launch Consumer Interest and Initial Sales of Experience Products. Journal of Interactive Marketing, 37, 10.1016/j.intmar.2016.08.001.

Kumar, T. (2022). Cumulative Selling – New Age Sales Method, The Literature Times Magazine, Vol 1 Issue 2.

Lamb, C. W., Hair, J. F., & McDaniel, C. (2020). Marketing, 13th edition, Cengage Learning.

Lepkowska, W. et al. (2019). Social media marketing Management: an application to small restaurants in the US, International Journal of Culture, Tourism and Hospitality Research, Vol. 13, No. 3, pp. 321-345. DOI: https://doi-org.psut.idm.oclc.org/10.1108/IJCTHR-06-2019-0103.

Lewis, R. A. and Rao, J. M. (2015). The Effectiveness of Informative Advertising: Evidence from a Large Field Study, The Quarterly Journal of Economics, Vol. 130, No. 4, pp. 1941-1974.

Sella, R. (2023). Advertising, Ron Sela, https://www.ronsela.com/informative-advertising/

Spillinger, A. (2012). The Impact of Testimonials on Purchase Intentions in a Mock E-commerce Web Site, Journal of Theoretical and Applied Electronic Commerce Research, ISSN 0718–1876 Electronic Version, VOL 7/ISSUE 1/APRIL 2012/51-63.

Tin, L. (2022). Understanding online purchase intention: the mediating role of attitude towards advertising. Cogent Business & Management, 9. 10.1080/23311975.2022.2095950.

## STUDENT'S ROLE IN INTERNAL QUALITY ASSURANCE (IQA) (ON THE EXAMPLE OF ONE OF THE PRIVATE UNIVERSITIES OF GEORGIA)

**Ketevan Aptarashvili[1], Rusudan Cherkezishvili[2]**

[1]Associate Professor, PHD in Education Sciences

[2]Master in Education Sciences

*East European University*

### Abstract

One of the fundamental issues of higher education is the engagement of students in the process of internal quality assurance of education. Using the example of one of the private higher educational institutions of Georgia, the article studies the factors of student involvement in internal quality assurance, the main problems and the attitude of students and institutions to this process.

Qualitative and quantitative methods were used in the research. Qualitative research was conducted with representatives of European student unions and private university quality assurance services, while quantitative research included students from a target private higher education institution. The paper is based on the Bologna processes, which led to significant changes in the internal quality assurance in higher education institutions in the part of student engagement. Based on the Bologna processes, it can be said that the role of the student, his views and evaluations are of fundamental importance in the formation of the higher education system of Georgia. The research process made visible the problems and challenges related to the involvement of students in internal quality assurance in higher education institutions. Based on the results of the research, recommendations were developed that would help higher education institutions to improve student participation and involvement in internal quality assurance.

**Keywords:** *Internal quality assurance, quality management, student engagement*

# STUDENT'S ROLE IN INTERNAL QUALITY ASSURANCE (IQA) (ON THE EXAMPLE OF ONE OF THE PRIVATE UNIVERSITIES OF GEORGIA)

**Ketevan Aptarashvili[1], Rusudan Cherkezishvili[2]**

[1]Associate Professor, PHD in Education Sciences

[2]Master in Education Sciences

*East European University*

## Introduction

Any higher educational institution can establish an appropriate quality culture, which will be focused on continuous development. Effective implementation of quality assurance requires the equal involvement of all persons, such as students, staff, administrative and academic staff, alumni and all other stakeholders (Guidelines for the Assessment of Standards for Accreditation of Higher Education Programs).

The Bologna Process has placed increasing emphasis on the importance of student engagement in quality assurance of higher education. In particular, higher education institutions were given the responsibility to promote student participation in the internal activities of the institution and to give importance to the need for student partnership in achieving the goals set for the European Higher Education Area (Alaniska H., 2006). It should be noted that the Bologna Process was responded to by the Prague Communiqué, which highlighted that higher education is "as a public domain that is and remains a public responsibility, and that students are full members of the higher education community" (Prague Communiqué, 2001). The quality assurance standards and guidelines of the European area of higher education emphasize that the higher educational institution is primarily responsible for the quality of educational activities and its provision and describes the rights and duties assigned to higher educational institutions regarding the involvement of students in internal degrees **(ESG – 2015)**. According to this standard, "the institution must ensure that the program is delivered in a way that encourages students to play an active role in shaping the learning process" (ESG, 2015, 28). According to the standard, students are the participants of the institution who objectively see and evaluate the processes.

The Bologna processes laid the foundation for important reforms in the education system in Georgia. The responsibility of higher education institutions has increased, which should ensure the maximum engagement of students at the institutional level of the institution and take into account European quality assurance standards. In the wake of legislative changes in Georgia, the role of the student in internal and external provision has also increased. In particular, students became members of the governing bodies of the higher educational institution, the need for students' engagement in the development and implementation of the strategic development plan/mission of the university, as well as development of the program was determined; The role of student experts is also worth noting, which emphasizes even more the fundamental importance of students in the university space. Engagement of students is also carried out through surveys, participation in focus groups, meetings with them and participation of students in self-assessment groups (Orders of the Minister of Education and Science of Georgia No. 89/H, 65/H). Based on this, students express their own initiatives and make certain evaluations in the higher educational institution.

Based on the above, it is interesting to study how much the student is actually engaged in the internal quality assurance processes of the higher educational institution and what challenges and perspectives are in this direction in private higher educational institutions. It should be noted that in the Georgian reality, the issues of engagement of the student's role in ensuring internal quality have not been systematically studied on the example of a private university, and this is what determines the **novelty and relevance** of this article.

Based on the research objective, research questions were defined: a) the attitude of the private university in terms of students' engagement in internal quality processes, how much the institution encourages students to participate in internal quality management issues. b) Students' attitudes and willingness to be engaged in internal quality assurance, assessment of the quality of involvement and identification of challenges.

Based on the research goals and research issues, a **mixed** research type was used within the research; In particular, in order to discuss the issue in depth, **four face-to-face** interviews were conducted with a representative of the European Student Union (ESU), a representative of the Association of Georgian Student Organizations (SOA), a representative of the quality assurance service of a private university, and a member of the self-government; **Two focus groups** were conducted with students who are members of representative and faculty councils of a private university, as well as a quantitative study was conducted with 141 students of the Georgian language program with active and suspended status of the selected private university.

**Research limitations, obstacles and risks:** The present study is a study of the engagement of students in internal quality assurance processes in one private higher educational institution, and therefore the results of the study cannot be disseminated to public higher educational institutions; In addition, within the scope of the quantitative research, there was no survey of international students on how equally they are engaged in internal quality management issues;

## Results of qualitative research

Within the framework of the research, the primary information received from the respondents was typologized, by means of which both different and common views of the respondents towards the research topic were distinguished.

Similar assessments of representatives of the European Student Union (ESU) and the Association of Georgian Student Organizations (SOA) regarding student engagement in the **internal quality assurance of a higher educational institution** were revealed during the interview process. Respondents named the mechanisms through which student engagement takes place. This is done through representation and participation of students on faculty councils, through their surveys, meetings and student engagement in self-assessment groups. They believe that the works in terms of student engagement should be strengthened: "The rate of student engagement has increased significantly, but some work needs to be done in this regard, which will increase the awareness among students so that the students themselves can see that it is their recommendation to the university that gets a certain result".

The representative of the Association of Student Organizations of Georgia (SOA) noted that cooperation with students has recently increased in Georgia, students in turn participate in the evaluation process, a self-evaluation group cannot be established without a student and a graduate. Also, students go to interviews during the authorization and accreditation period, they take part in surveys, they provide some advice and recommendations to universities, students are evaluators as experts. The respondent believes that overall there is quite good cooperation between students and universities in Georgia.

Students who are members of representative and faculty councils expressed interesting opinions regarding student engagement. They noted that, depending on their role, they could express their views and opinions, however, they criticized the use of the electronic survey mechanism in the internal quality assurance process. They believe that apart from template questions and electronic format, it would be better to use other additional tools to interact with students and the given format does not allow any type of initiative to be revealed. Therefore, in their opinion, personal interviews with students are important.

Regarding the engagement of students in the higher educational institution, both student council members and self-government representatives believe that students **are less active for various reasons and do not try to express their evaluations towards the university:** *"The university, as a structured form, is an educational institution and still a bureaucracy. In order for a student to express his opinion, he must still fit into certain legal frameworks. Therefore, some people are too lazy to express their opinion "..." Students' engagement is mainly expressed by the evaluation of the lecturers at the end of the studies, by the evaluation of the university in general, and in my opinion, it is a bit patterned, because there are the same questions and some may avoid it, and it is often the case that they shy away and do not express their opinion...".*

**It was revealed that students who are members of the faculty council cooperate more with self-government than students who are members of the representative council.** All respondents unanimously noted that students need to be more informed about their rights and responsibilities. It was noted that it would be good **to carry out several activities** where students would thoroughly learn about their rights, which would help them understand more about the fundamental role they have in the effective functioning of a higher educational institution. *"It is important to find some formats to provide information to students, to run some type of campaign, so that they can interest students, The student should feel that the university is a part of him, it is not separate and independent, it is a living organism, the driving force of which is the student. There is no university without students. Therefore, the university should encourage such students to actively participate in these processes".*

An interview with a **representative of the quality assurance service** of a private university was interesting and important, who focused on the fundamental importance of the student in quality assurance, considering the **student as a partner** of the institution, who is both the receiver and creator of the service, noting that in his institution, students' feedback is intensively received, analyzed, reported and relevant recommendations determined. One of the main initiators of the changes implemented in the university so far are the students and their feedback. Therefore, in his opinion, student surveys are the best mechanism for the effective functioning of the quality assurance service.

The representative of the quality assurance service focused on the engagement of students in the council meetings. He noted that according to statistical data, there was no council that was not attended by at least one student, which means that any decision made by collegial bodies in the university does not exist without the participation of a student.

A similar attitude of students who are members of the quality assurance service and the faculty council regarding the low involvement of students was revealed. Respondents believe that there are many reasons why students do not/cannot participate in university educational or recreational activities. They focused on the lack of student motivation, resulting in less student interest and engagement.

Similar opinions were recorded by the representative of the quality assurance service and the member of the faculty council regarding informing the students. Respondents believe that it is better to have more feedback with students, which will increase their activity and engagement. The representative of the quality assurance service talks about the challenges as well: he considers it important to inform the students about how the institution evaluated the students' opinions, what decisions were made by the university based on these evaluations. he thinks that the university needs to strengthen its own policy **as part of the feedback mechanism** with students. also highlighted one of the important **challenges** related to student initiatives. The respondent noted that students rarely express an opinion about what will develop the university, what will be a specific large-scale project that will benefit the university. Surveys generally show that students want to improve learning conditions. An interview with a representative of the quality service and a member of the self-government revealed that they do not cooperate with each other and did not cross paths regarding student engagement. The representative of the quality service drew attention to the importance of self-government as an independent body and noted that they have a fundamental importance in university activities, especially in the part of student engagement.

Thus, all respondents participating in the research clearly emphasized the fundamental importance of the student, the value of the student opinion in the effective functioning of the university, each of them spoke about challenges, problems and issues for improvement..

### Quantitative research results

The results of the quantitative research show that students have a certain, but incomplete, idea about the activities of the university's education quality assurance service. According to them, the function of the service is to monitor and improve the teaching-learning process (67%), to study the problems related to students' learning (47%) and the processes of accreditation of study program and university authorization (44%). 64% of the surveyed students state that they have no business-type communication with the quality assurance service. A large majority (88%) state that the university receives feedback mainly through questionnaires

filled out by students (evaluation of educational courses, evaluation of professors and teachers, evaluation of services, etc.). Additionally, only 59% report participating in these surveys, which is an average result in the student engagement section. The respondents recorded their own opinion about the engagement in the events planned by the student self-government/unions, where it was clearly revealed that only 47% expressed active engagement in the events.

It was interesting to see the students' assessment of the general engagement of students in university management issues (see diagram 1). The largest number of surveyed students evaluated engagement with 5 points out of 10 points.

**Overall, on a 10-point scale, rate your engagement in university management issues**




***Figure 1:* Student engagement in university management**

**As for evaluations regarding student involvement in university quality management issues,** only 40% of respondents positively evaluate their engagement in internal quality improvement activities at the university (informational meetings, surveys), while 42% share opinions related to the development of the quality of teaching and learning with representatives of student unions. Only a part of the surveyed students (50%) consider that they have sufficient competence to contribute to the improvement of the internal quality of university activities.

It is clear from the above that students do not have active cooperation with the university administration, lecturers and representatives of student unions, which is directly related to the low engagement of students in quality assurance.

A fundamentally important factor for students' engagement in internal quality assurance is the degree to which students understand that they are partners with the university and the degree to which they feel like members of the university. The majority of surveyed students (67%) believe that they feel like members/partners of the university and believe (69%) that they have the opportunity to influence internal quality assurance processes, however, in order to increase student engagement in internal quality management issues, the university administration should cooperate more actively with students (74%).

The students' assessment of cooperation with self-government is interesting. The majority of surveyed students note that communication with self-government needs to be improved, in particular 71% of students do not cooperate or partially cooperate with self-government.

Thus, in the results of the quantitative research, the problems that were identified during the qualitative research were highlighted once again; Based on the results of the research, the following **recommendations** were developed:

- It is recommended to review the format of the Council meetings and, in addition to remote meetings, to schedule face-to-face meetings and informal meetings, which would contribute to greater involvement and strengthening of cooperative relations;
- For the purpose of student engagement, it is important to improve communication between the quality assurance service, student self-government and representative/faculty member students;

- In order to increase the engagement of students in the internal quality management, it is important for the quality assurance service to hold informative meetings in order to raise awareness in this direction, as well as to provide students with feedback and to strengthen the dialogue with students;
- informing students about their rights and duties should be strengthened; It would be better to conduct several lectures or courses, where students will thoroughly learn about their rights, which will help them to understand more about the fundamental role they have in the effective functioning of a higher educational institution;
- Transparency of processes – it would be better to make it more clear what results students and graduates bring to the university;
- To be improved mechanisms for encouraging student initiatives.

## REFERENCES


Grdzelidze, I., Buchashvili, G., Kardava, M., (2019) National Center for the Development of the Quality of Education, Ensuring the Quality of Higher Education: Approaches, Challenges and Opportunities: Retrieved 10 May 2023 https://eqe.ge/res/docs/QAHandbook10.12.2019-Final.pdf

Communiqué of the Prague Conference, 2001

https://mes.gov.ge/uploads/Bologna/3%20berlinis%20komunike.pdf

Order of the Minister of Education and Science of Georgia No. 99/N, October 1, 2010, Tbilisi, on the regulation of authorization of educational institutions and approval of fees

Order of the Minister of Education and Science of Georgia No. 65/N, May 4, 2011, on the regulation of accreditation of educational programs of higher educational institutions and approval of fees

Alaniska H., (2006), Student involvement in the processes of quality assurance agencies https://www.enqa.eu/wp-content/uploads/Student-involvement.pdf

Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), 2015) https://www.enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf

Quality Assurance Framework, University Policy Papers, University of Amsterdam https://www.uva.nl/en/about-the-uva/policy-and-regulations/policy/education-policy/quality-assurance/quality-assurance.html

# სტუდენტის როლი ხარისხის შიდა უზრუნველყოფაში (საქართველოს ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის მაგალითზე)

**ქეთევან აფთარაშვილი[1], რუსუდან ჩერქეზიშვილი[2]**

[1]ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებების დოქტორი

[2]განათლების მეცნიერებების მაგისტრი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## ანოტაცია

უმაღლესი განათლების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა წარმოადგენს. ნაშრომში შესწავლილია საქართველოში არსებული ერთ-ერთი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგალითზე ხარისხის მართვის შიდა უზრუნველყოფაში სტუდენტთა ჩართულობის ფაქტორები, ძირითადი გამოწვევები და აღნიშნულ პროცესისადმი სტუდენტებისა და დაწესებულებების დამოკიდებულებები.

კვლევაში გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. თვისებრივი კვლევა განხორციელდა ევროპის სტუდენტური გაერთიანებებისა და კერძო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, ხოლო რაოდენობრივმა კვლევამ მოიცვა სამიზნე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები. ნაშრომს საფუძვლად უდევს ბოლონიის პროცესები, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში სტუდენტთა ჩართულობის ნაწილში. სწორედ ბოლონიის პროცესებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ფორმირებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტის როლს, ხედვებსა და შეფასებებს. კვლევის პროცესმა თვალსაჩინო გახადა ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა ჩართულობას შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში. შესაბამისად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააუმჯობესოს სტუდენტთა მონაწილეობა და ჩართულობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფაში.

***საკვანძო სიტყვები:*** *ხარისხის შიდა უზრუნველყოფა, ხარისხის მართვა, სტუდენტთა ჩართულობა*

# სტუდენტის როლი ხარისხის შიდა უზრუნველყოფაში (საქართველოს ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის მაგალითზე)

**ქეთევან აფთარაშვილი[1], რუსუდან ჩერქეზიშვილი[2]**

[1]ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებების დოქტორი

[2]განათლების მეცნიერებების მაგისტრი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## შესავალი

ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია შესაბამისი ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც მუდმივ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. იმისათვის, რომ ხარისხის უზრუნველყოფა ეფექტიანად განხორციელდეს, აუცილებელია, ყველა პირის თანაბარი ჩართულობა: სტუდენტი, პერსონალი, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული და ყველა სხვა დაინტერესებული მხარე (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო).

ბოლონიის პროცესმა მზარდი აქცენტი გააკეთა სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობაზე უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში. კერძოდ, პასუხისმგებლობა დაეკისრათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ ხელი შეუწყონ სტუდენტების ჩართულობას დაწესებულების შიდა უზრუნველყოფის ნაწილში და მათ მნიშვნელობა მიანიჭონ სტუდენტთა პარტნიორობის აუცილებლობას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცისთვის დასახული მიზნების მიღწევაში (Alaniska H., 2006). აღსანიშნია, რომ ბოლონიის პროცესებს ეხმიანება პრაღის კომუნიკე, სადაც გამოიკვეთა, რომ უმაღლესი განათლება არის *„როგორც საზოგადოებრივი დოვლათი, რომელიც არის და რჩება საზოგადოებრივ პასუხისმგებლობად, და რომ სტუდენტები არიან უმაღლესი განათლების ერთობის სრულფასოვანი წევრები“* (პრაღის კომუნიკე, 2001). უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები კი ხაზს უსვამს იმას, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხსა და მის უზრუნველყოფაზე უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და აღწერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს შიდა ხარისხში სტუდენტთა ჩართულობის შესახებ **(ESG – 2015)**. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, *„დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ისეთი გზით მიწოდება, რაც წაახალისებს სტუდენტებს შეასრულონ აქტიური როლი სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებაში“* (ESG, 2015, 28). სტანდარტის თანახმად, სწორედ სტუდენტები არიან ინსტიტუციის მონაწილე ის პირები, რომლებიც ობიექტურად ხედავენ და აფასებენ პროცესებს.

საქართველოშიც განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას ბოლონიის პროცესებმა ჩაუყარა საფუძველი. გაიზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პასუხისმგებლობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა დაწესებულების ინსტიტუციურ დონეზე და გაითვალისწინონ ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები. საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებების კვალდაკვალ მოხდა სტუდენტის როლის გაზრდაც შიდა და გარე უზრუნველყოფის ნაწილში. კერძოდ, სტუდენტები გახდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობითი ორგანოების წევრები, განისაზღვრა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის/მისიის შემუშავებისა და შესრულების პროცესში, პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობის აუცილებლობა; აღსანიშნავია სტუდენტი ექსპერტების როლი, რომელიც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს სტუდენტების ფუნდამენტურ მნიშვნელობას საუნივერსიტეტო სივრცეში. სტუდენტების ჩართულობა ასევე ხორციელდება გამოკითხვების მეშვეობით, ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობით,

მათთან შეხვედრებითა და თვითშეფასების ჯგუფებში სტუდენტების მონაწილეობით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები №89/ნ, 65/ნ). აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტები გამოხატავენ საკუთარ ინიციატივებს და ახდენენ გარკვეულ შეფასებებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა იმის შესწავლა, თუ რამდენად რეალურადაა ჩართული უსდ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სტუდენტი და რა გამოწვევები თუ პერსპექტივებია ამ მიმართულებით კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღსანიშნია, რომ ქართულ რეალობაში სტუდენტის როლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულობის საკითხები კერძო უნივერსიტეტის მაგალითზე სისტემურად არ შესწავლილა და სწორედ ეს განსაზღვრავს წინამდებარე სტატიის **სიახლესა და აქტუალობას**.

საკვლევი მიზნიდან გამომდინარე კი განისაზღვრა საკვლევი საკითხებიც: ა) კერძო უნივერსიტეტის დამოკიდებულება სტუდენტთა შიდა ხარისხის პროცესებში ჩართულობის ჭრილში, რამდენად უწყობს ხელს დაწესებულება სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ შიდა ხარისხის მართვით საკითხებში. ბ) სტუდენტების დამოკიდებულება და სურვილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულობაზე, ჩართულობის ხარისხის შეფასება და გამოწვევების იდენტიფიცირება.

კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა **შერეული** კვლევის ტიპი; კერძოდ, საკითხის სიღრმისეულად განხილვის მიზნით ჩატარდა **ოთხი პირისპირი ინტერვიუ** ევროპის სტუდენტური გაერთიანების წარმომადგენელთან (ESU), საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის (SOA) წარმომადგენელთან, კერძო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან და თვითმმართველობის წევრთან; განხორციელდა **ორი ფოკუს-ჯგუფი** კერძო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების წევრ სტუდენტებთან. ასევე, ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა შერჩეული კერძო უნივერსიტეტის აქტიური და შეჩერებული სტატუსის მქონე ქართულენოვანი პროგრამის 141 სტუდენტთან.

**კვლევის ლიმიტები, დაბრკოლებები და რისკები:** წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ერთ კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულობის შესწავლას და შესაბამისად, საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე კვლევის შედეგების გავრცელება ვერ მოხდება; ამასთანავე, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში არ მომხდარა საერთაშორისო სტუდენტების გამოკითხვა, თუ რამდენად თანაბრად არიან ისინი ჩართულები შიდა ხარისხის მართვის საკითხებში;

### თვისებრივი კვლევის შედეგები

კვლევის ფარგლებში განხორციელდა რესპონდენტებისგან მიღებული პირველადი ინფორმაციის ტიპოლოგიზაცია, რომლის საშუალებით გამოიყო საკვლევი თემის მიმართ გამოკითხულთა როგორც განსხვავებული, ისე საერთო შეხედულებები.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა ევროპის სტუდენტური გაერთიანების (ESU) და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის (SOA) წარმომადგენლების მსგავსი შეფასებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის **შიდა უზრუნველყოფაში სტუდენტის ჩართულობასთან დაკავშირებით.** რესპონდენტებმა დაასახელეს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ხდება სტუდენტა ჩართულობა, კერძოდ, წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოებში სტუდენტთა მონაწილეობით, მათი გამოკითხვების მეშვეობით, შეხვედრებითა და თვითშეფასების ჯგუფებში სტუდენტების ჩართულობით. მიიჩნევენ, რომ გასაძლიერებელია სამუშაოები სტუდენტთა ჩართულობის კუთხით: *„სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია, თუმცა ამ კუთხით გასატარებელია გარკვეული სამუშაოები, რაც მეტად გაზრდის ცნობიერებას სტუდენტებში, რომ თავად დიანახონ სტუდენტებმა, რომ სწორედ მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიმართ იღებს გარკვეულ შედეგს“.*

საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის (SOA) წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში გაიზარდა თანამშრომლობა სტუდენტებთან, სტუდენტები თავის მხრივ მონაწილეობენ შეფასების პროცესში, თვითშეფასების ჯგუფი ვერ დგება სტუდენტისა და კურსდამთავრებულის გარეშე. ასევე, სტუდენტები მიდიან გასაუბრებებზე ავტორიზაციისა და

აკრედიტაციის პერიოდში, ისინი იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში, აწვდიან გარკვეულ რჩევებსა და რეკომენდაციებს უნივერსიტეტებს, სტუდენტები არიან შემფასებლები, როგორც, ექსპერტები. რესპონდენტს მიაჩნია, რომ საერთო ჯამში საქართველოში საკმაოდ კარგი თანამშრომლობაა სტუდენტებსა და უნივერსიტეტებს შორის.

სტუდენტთა ჩართულობასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები დაფიქსირდა *წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების წევრ სტუდენტთა მიერ*. აღნიშნეს, რომ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე, შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი შეხედულებები და მოსაზრებები, თუმცა მათ მიერ კრიტიკულად იქნა განხილული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმის გამოყენება. მიიჩნევენ, რომ შაბლონური კითხვებისა და ელექტრონული ფორმატის გარდა, უმჯობესი იქნებოდა, სხვა დამატებითი ინსტრუმენტების გამოყენება სტუდენტებთან ინტერაქციისთვის და რომ მოცემული ფორმატი არ იძლევა საშუალებას რაიმე ტიპის ინიციატივის დაფიქსირების. შესაბამისად, მათი აზრით, მნიშვნელოვანია პირადი გასაუბრება სტუდენტებთან.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით საბჭოების წევრ სტუდენტებისაც და თვითმმართველობის წარმომადგენლებსაც მიაჩნიათ, რომ სტუდენტები სხვადასხვა მიზეზის გამო **ნაკლებად აქტიურობენ და არ ცდილობენ საკუთარი შეფასებების გამოხატვას უნივერსიტეტის მიმართ:** *„უნივერსიტეტი როგორც ასეთი სტრუქტურიზებული ფორმა არის სასწავლო დაწესებულების და მაინც ბიოროკრატია არის, სტუდენტმა რომ გამოთქვას თავის აზრი, მაინც გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა ჩაჯდეს, შესაბამისად ზოგს ეზარება აზრის დაფიქსირება... „სტუდენტების ჩართულობა" ძირითადად გამოიხატება სწავლის დასრულებისას ლექტორების შეფასებით, ზოგადად უნივერსიტეტის შეფასებით და ჩემი აზრით, ცოტა შაბლონურია, რადგან ერთი და იგივე კითხვებია და ზოგს შეიძლება მოერიდოს და ხშირია შემთხვევა, როცა ერიდებათ და არ აფიქსირებენ საკუთარ აზრებს...".*

**ასევე გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტები უფრო მეტად თანამშრომლობენ თვითმმართველობასთან, ვიდრე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი სტუდენტები.** ყველა რესპოდენტმა ერთხმად აღნიშნა, რომ სტუდენტებს სჭირდებათ მეტი ინფორმირება მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, აღნიშნეს, რომ **კარგი იქნება რამდენიმე აქტივობის ჩატარება,** სადაც სტუდენტები საფუძვლიანად გაეცნობოდნენ საკუთარ უფლებებს, რაც დაეხმარებათ, მეტად გაიაზრონ, თუ რა ფუნდამენტური როლი აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანად ფუნქციონირებაში. *„მნიშვნელოვანია რაღაც ფორმატები გამოძებნოს, რომ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს, აწარმოონ რაიმე ტიპის კამპანია, რითაც შეძლებენ სტუდენტების დაინტერესებას, სტუდენტმა უნდა იგრძნოს, რომ უნივერსიტეტი არის მისი, ეს არ არის ცალკე დამოუკიდებელი, ეს არის ცოცხალი ორგანიზმი, რომლის მამოძრავებელი ძალა არის სტუდენტი. არ არსებობს უნივერსიტეტი სტუდენტების გარეშე. შესაბამისად უნივერსიტეტმა უნდა წაახალისოს ასეთი სტუდენტები აქტიურად, რომ ჩაერთონ ამ პროცესებში".*

საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ინტერვიუ კერძო უნივერსიტეტის **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან,** რომელმაც ყურადღება გაამახვილა სტუდენტის ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე ხარისხის უზრუნველყოფაში, სტუდენტი განიხილა, **როგორც დაწესებულების პარტნიორად,** რომელიც არის სერვისის მიმღებიც და ასევე შემქმნელიც. აღნიშნა, რომ მის ინსტიტუციაში ინტენსიურად ხდება სტუდენტთა უკუკავშირის მიღება, გაანალიზება, ანგარიშად ქცევა და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრა. ხოლო ის ცვლილებები, რომლებიც უნივერსიტეტში დღემდე ხორციელდება და აქამდე განხორციელებულა ერთ-ერთი მთავარი ინიციატორები არიან სწორედ სტუდენტები და მათგან მიღებული უკუკავშირები. შესაბამისად, მისი აზრით, სტუდენტთა გამოკითხვები **საუკეთესო მექანიზმია** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა საბჭოს სხდომებში სტუდენტთა ჩართულობაზე. აღნიშნა, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, არ ყოფილა საბჭო, რომელსაც მინიმუმ ერთი სტუდენტი მაინც არ დასწრებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც კოლეგიალური ორგანოების მიერ არის მიღებული უნივერსიტეტში, სტუდენტის მონაწილეობის გარეშე არ არსებობს.

გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენ-ტების მსგავსი დამოკიდებულება სტუდენტთა ნაკლებად ჩართულობასთან დაკავშირებით. რეს-პონდენტებს მიაჩნიათ, რომ არსებობს ბევრი მიზეზი, თუ რატომ არ/ვერ ერთვებიან სტუდენტები საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო თუ გასართობ ღონისძიებებში. მათ ყურადღება გაამახვილეს სტუდენტების მოტივაციის ნაკლებობაზე, რომლის შედეგია სტუდენტების ნაკლები ინტერესი და ჩართულობა.

მსგავსი მოსაზრებები დაფიქსირდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტების მიერ სტუდენტების ინფორმირებასთან დაკავშირე-ბით. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესი იქნებოდა მეტი უკუკავშირი სტუდენტებთან, რომელიც უფრო მეტად გაზრდის მათ აქტიურობას და ჩართულობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი საუბრობს გამოწვევებზეც: მნიშვნელოვნად მიაჩნია სტუდენტების ინფორმირებულობა იმაზე, თუ როგორ შეფასდა დაწესებულების მიერ სტუდენტთა მოსაზრებები, რა გადაწყვეტილებები იქნა უნივერსიტეტის მხრიდან მიღებული ამ შეფასებებზე დაფუძნებით. ფიქრობს, რომ სტუდენტებთან **უკუკავშირის მექანიზმის ნაწილში** უნივერსიტეტს სჭირდება, რომ გააძლიეროს თავისი პოლიტიკა. ასევე გამოიკვეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **გამოწვევა,** რომელიც უკავშირდება სტუდენტების ინიციატივებს. რესპონდენტმა აღნიშნა, სტუდენტები იშვი-ათად გამოთქვამენ შეხედულებას იმის შესახებ, თუ რა განავითარებს უნივერსიტეტს, რა იქნება კონკრეტული მასშტაბური პროექტი, რომელიც სარგებელს მოუტანს უნივერსიტეტს, გამოკითხვე-ბი ძირითადად აჩვენებს, რომ სტუდენტებს სასწავლო პირობების გაუმჯობესება სურთ. ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან და თვითმმართველობის წევრთან ინტერვიუს პროცესში გამო-იკვეთა, რომ ისინი ერთმანეთთან არ თანამშრომლობენ და არ ჰქონიათ გადაკვეთა სტუდენტის ჩართულობასთან დაკავშირებით. ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა თვითმმართველობის, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მათ ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საუნივერსიტეტო საქმიანობაში, განსაკუთრებით სტუდენტთა ჩართულობის ნაწილში.

ამდენად, კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტმა მკაფიოდ გაუსვა ხაზი სტუდენტის ფუნდამენტურ მნიშვნელობას, თუ რა ღირებულება აქვს სტუდენტურ ხმას უნივერსიტეტის ეფექ-ტურად ფუნქციონირებაში, თითოეულმა მათგანმა ისაუბრა გამოწვევებზე, პრობლემებზე და გასაუმჯობესებელ საკითხებზე.

### რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის შედეგებით იკვეთება, რომ სტუდენტებს აქვთ გარკვეული, თუმცა არასრული წარმოდგენა უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შესახებ. მათი აზრით, სამსახურის ფუნქცია არის სწავლა-სწავლების პროცესის მონიტორინგი და გაუმჯობესება (67%), სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა (47%) და სასწავლო პროგრამის აკრედიტაციისა და უნივერსიტეტის ავტორიზაციის პრო-ცესები (44%). ასევე, გამოკითხული სტუდენტების 64% აღნიშნავს, რომ არ აქვს საქმიანი ტიპის კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. დიდი უმრავლესობა აღნიშნავს (88%), რომ უნივერსიტეტი უკუკავშირს ძირითადად სტუდენტთა მიერ შევსებული კითხვარების (სასწავლო კურსების შეფასება, პროფესორ-მასწავლებლების შეფასება, სერვისების შეფასება და სხვა) მეშ-ვეობით იღებს. ამასთანავე, მხოლოდ 59% აფიქსირებს, რომ მონაწილეობას იღებს აღნიშნულ გამოკითხვებში, რაც საშუალო შედეგია სტუდენტთა ჩართულობის ნაწილში. რესპონდენტებმა დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრება სტუდენტური თვითმმართველობის/გაერთიანებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართულობის შესახებ, სადაც ნათლად გამოიკვეთა, რომ მხოლოდ 47% გამოხატავს აქტიურ ჩართულობას ღონისძიებებში.

საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტების შეფასება უნივერსიტეტის მართვის საკითხებში ზოგადი ჩართულობის ნაწილში (იხ. დიაგრამა 1). გამოკითხული სტუდენტების ყველაზე მეტი რაოდენობა ჩართულობას აფასებდა 10 ბალიანი შკალიდან 5 ქულით.

**საერთო ჯამში 10-ბალიან სკალაზე შეაფასეთ უნივერსიტეტის მართვის საკითხებში თქვენი ჩართულობა** / 141 responses




*დიაგრამა 1: უნივერსიტეტის მართვის საკითხებში სტუდენტთა ჩართულობა*

**რაც შეეხება უნივერსიტეტის ხარისხის მართვის საკითხებში სტუდენტთა ჩართულობასთან დაკავშირებით შეფასებებს,** გამოკითხულთა მხოლოდ 40% აფასებს დადებითად უნივერსიტეტში შიდა ხარისხის გაუმჯობესების აქტივობებში (საინფორმაციო შეხვედრები, გამოკითხვები) საკუთარ ჩართულობას, 42% უზიარებს სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს სტუდენტური გაერთიანებების წარმომადგენლებს. ხოლო გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ ნაწილი (50%) მიიჩნევს, რომ აქვს საკმარისი კომპეტენცია, რათა წვლილი შეიტანონ საუნივერსიტეტო საქმიანობის შიდა ხარისხის გაუმჯობესებაში.

აღნიშნულიდან ნათელია, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ლექტორებისა და სტუდენტური გაერთიანებების წარმომადგენლების მიმართ არ აქვთ აქტიური თანამშრომლობა, რაც პირდაპირ კავშირშია ხარისხის უზრუნველყოფაში სტუდენტთა ნაკლებად ჩართულობასთან.

სტუდენტების ხარისხის შიდა უზრუნველყოფაში ჩართულობისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რამდენად აქვთ გააზრებული სტუდენტებს, რომ ისინი არიან უნივერსიტეტის პარტნიორები და რამდენად გრძნობენ თავს უნივერსიტეტის წევრად. გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა (67%) თვლის, რომ თავს გრძნობენ უნივერსიტეტის წევრად/პარტნიორად და მიიჩნევს (69%), რომ მათ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებზე გავლენის შესაძლებლობა აქვთ, თუმცა შიდა ხარისხის მართვის საკითხებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფრო აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს სტუდენტებთან (74%);

საინტერესოა სტუდენტთა შეფასება თანამშრომლობა თვითმმართველობასთან. გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ თვითმმართველობასთან კომუნიკაცია გასაუმჯობესებელია. კერძოდ, სტუდენტების 71% არ თანამშრომლობს ან ნაწილობრივ თანამშრომლობს თვითმმართველობასთან.

ამდენად, რაოდენობრივი კვლევის შედეგებში გამოიკვეთა კიდევ ერთხელ ის პრობლემები, რომლებიც თვისებრივი კვლევის დროს იქნა იდენტიფიცირებული; კვლევის შედეგებიდან გამომდინარე კი შემუშავდა შემდეგი **რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია გადაიხედოს საბჭოს სხდომების გამართვის ფორმატი და გარდა დისტანციური შეხვედრებისა, დაინიშნოს პირისპირ შეხვედრები, არაფორმალური შეხვედრები, რაც ხელს შეუწყობდა უფრო მეტ ჩართულობასა და თანამშრომლობითი ურთიერთობების გაძლიერებას;
- სტუდენტთა ჩართულობის მიზნით მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტუდენტური თვითმმართველობისა და წარმომადგენლობითი/ფაკულტეტის წევრ სტუდენტებს შორის კომუნიკაცია;
- სტუდენტთა შიდა ხარისხის მართვაში ჩართულობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, ასევე სტუდენტებს მიეწოდოთ უკუკავშირი და გაძლიერდეს დიალოგი სტუდენტთან;

- გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. უმჯობესი იქნება რამდენიმე ლექციის ან კურსის ჩატარება, სადაც სტუდენტები საფუძვლიანად გაეცნობიან საკუთარ უფლებებს რაც დაეხმარებათ, მეტად გაიაზრონ, რა ფუნდამენტური როლი აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანად ფუნქციონირებაში;
- პროცესების გამჭირვალობა, უმჯობესი იქნება მეტად ნათელი გახდეს სტუდენტები და კურსდამთავრებულები რა შედეგის მომტანი არიან უნივერსიტეტისთვის;
- გაუმჯობესდეს სტუდენტთა ინიციატივების წახალისების მექანიზმები.

## გამოყენებული ლიტერატურა


გრძელიძე, ი., ბუჩაშვილი, გ., ქარდავა, მ., (2019) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: მიდგომები, გამოწვევები და შესაძლებლობები: მოძიებულია 10 მაისი 2023 წელი https://eqe.ge/res/docs/QAHandbook10.12.2019-Final.pdf

პრაღის კონფერენციის კომუნიკე, 2001 https://mes.gov.ge/uploads/Bologna/3%20berlinis%20komunike.pdf

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ, 2010 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/ნ, 2011 წლის 4 მაისი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ

Alaniska H., (2006), Student involvement in the processes of quality assurance agencies https://www.enqa.eu/wp-content/uploads/Student-involvement.pdf

Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), 2015 https://www.enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf

Quality Assurance Framework, University Policy Papers, University of Amsterdam https://www.uva.nl/en/about-the-uva/policy-and-regulations/policy/education-policy/quality-assurance/quality-assurance.html

# STUDENT-CENETERED LEARNING AND ITS EFFECT ON THE CAREER DEVELOPMENT: CONCEPTUAL FRAMEWORK

**Natia Gegelashvili**

Doctoral student

*Faculty of Education Sciences*

*East European University*

## Abstract

In 2005, upon joining the Bologna process, one of the principal challenges faced by the Georgian education system was the integration of a student-centered learning within Georgian higher education. Although a specific definition of student-centered learning is not outlined, its primary objective is to cultivate a learning environment customized to the student's interests and capabilities. The Leuven/Louvain-la-Neuve Ministerial Communiqué underscores that student-centered learning aids students in acquiring the skills crucial for navigating a dynamic labor market. Therefore, the purpose of the present study was to develop a conceptual framework based on the narrative literature review, focusing on student-centered learning and its influence on career success. Student-centered learning comprises two core components. The first component pertains to the institutional conditions required for its introduction and implementation, while the second component encompasses innovative teaching methodologies. Through the conducted analysis, the skills acquired as a consequence of the student-centered approach, imperative for prospering in the labor market, were identified. These include problem-solving abilities, creative and critical thinking, communication skills and teamwork. In addition to the skills acquired through student-centered learning, influence on career success is exerted by various other factors. These encompass external (objective) and internal (subjective) criteria, along with variables related to human capital.

***Keywords:*** *higher education, student-centered learning, career, success*

**This research PHDF-23-7515 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).**

# STUDENT-CENETERED LEARNING AND ITS EFFECT ON THE CAREER DEVELOPMENT: CONCEPTUAL FRAMEWORK

**Natia Gegelashvili**

Doctoral student

*Faculty of Education Sciences*

*East European University*

## Introduction

In 2005 together with Armenia, Azerbaijan, Moldova, and Ukraine Georgia joined Bologna Process at Bergen Summit (Bologna, 2005). This year Georgia started to reform its education system. Among the goals Georgia wanted to achieve, one of the main objectives was the implementation of student-centred learning (SCL) in the Georgian higher education system (გოგსაძე, 2015).

The main idea is that in student-centered learning, the model switches from the standardized to the student-centered and individualized, even though there isn't a universal definition or set program for its implementation. This indicates that the instruction is tailored to each student's individual requirements, objectives, and interests and was created with their input (Kaput, 2018).

It can be said that student-centered learning cultures are based on constructivist findings, taking into account the activity of learners in the process of knowledge acquisition; emphasizing self-regulated and autonomous learning processes that occur in social interaction; taking into account social, emotional, and motivational aspects of the learning process in addition to cognitive factors; responsive to varying prior knowledge and experiences; and involving an active participation of students (Wulf, 2017).

Research results show that student-centred learning strategies have a positive impact on student achievement. When student-centered strategies are used, student engagement in learning and teaching processes is much higher than it is in the teacher-centered group (Gelişli, 2009). Student-centered instruction improves students' integrative motivation, attitudes, self-efficacy, autonomy, and beliefs about learning (Kassem, 2019). Active learning methods also increase student engagement (Gordon, Bolwell, Raney, & Zepke, 2022).

It must be said that, there has only been a small amount of comprehensive research on student-centred learning (SCL). However, the limited research that has been conducted has yielded promising results (Kaput, 2018). If we examine the scientific research conducted in both Georgian and international contexts regarding the influence of SCL on career success, we find a lack of comparable studies. However, it is worth noting that after two decades of the Bologna process, there is a growing need to prioritize this Issue. Especially since The Leuven/Louvain-la-Neuve Ministerial Communiqué confirms this (Bologna Process, 2009):"Student-centred learning and mobility will help students develop the competences they need in a changing labour market and will empower them to become active and responsible citizens."

### Literature Review

The determination of the ideal educational philosophy is a contentious matter that frequently takes the shape of a struggle between the two most common teaching philosophies: the teacher/expert approach and the student-centered approach. The primary source of knowledge, according to the first strategy, is the teacher. In order to understand content, the student is expected to adhere to the teacher's directions and information (Sablonnière, Taylor, & Sadykova, 2009). Students who use the teacher-centered approach concentrate solely on the instructor. In this system, teachers are the only participants in classroom activities. Teachers are the main sources of information in the teacher-centered approach (Kumar, 2016).

The second strategy contends that education should be based on the needs and skills of the student. Instead of imparting knowledge, the teacher's job is that of a facilitator in the learning process (Sablonnière, Taylor, & Sadykova, 2009). Students can concentrate solely on their education thanks to the student-centered approach. The learner-centered approach, often referred to as the student-centered approach, is a teaching strategy in which the emphasis of instruction is shifted from the teacher to the students. By giving students control over their own learning path, student-centered learning seeks to promote learner autonomy and independence in its original usage. Learning is not something you watch. Simply sitting in class, paying attention to the teacher, memorizing prewritten tasks, and spouting out responses does not teach students very much. They must discuss what they are learning, put it in writing, connect it to prior knowledge, and use it in their daily lives. They must integrate what they learn with who they are (Kumar, 2016).

Although there is no universally agreed-upon definition or prescribed program for implementing SCL, the core concept revolves around shifting from a standardized approach to a student-centered and individualized one (Kaput, 2018). Understanding student-centered learning requires a fundamental understanding of the constructivist approach. According to constructivist theories of effectiveness, learning is more effective when students are actively involved and in charge of what and how they learn (Schweisfurth & Elliott, 2019).

The implementation of a student-centered and individualized approach implies that the institution must establish suitable conditions for it. According to Pellert (2009), the implementation of any type of change, including the changes advocated by the Bologna Process, which encourages innovative learning approaches, necessitates organizational development. Pellert describes organizational development as a deliberate and systematic process aimed at enhancing the social system within an organization. Pellert emphasizes that organizational development centers around group and organizational processes, focusing on activities that enhance team dynamics, processes, and overall performance. This approach involves active engagement from all levels of the organization, including executives and managers, to ensure the self-organization of all groups involved (Pellert, 2009). Likewise, De La Sablonnière et al. (2009) explore a normative theory of social change to implement a student-centered learning approach in Kyrgyzstan. They highlight the necessity for both students and teachers to modify their perspectives and behaviors towards education. Drawing upon the Normative Theory of Social Change they discuss, the authors propose a practical solution aimed at facilitating the transition from a predominantly teacher-centered approach to a student-centered approach, which represents a minority influence (Sablonnière, Taylor, & Sadykova, 2009).

In student-centered learning, the role of the student is closely interconnected with that of the teacher. Abel et al. (2009) demonstrate how, as the learning approach becomes less teacher-centered, teachers assume a role akin to that of a "coach" who guides the students through the learning process, fostering a culture of collaboration and cooperation. As part of student-centered learning, teachers adopt a different approach, reducing their reliance on traditional lecturing and becoming more present in the classroom rather than positioned solely at the front. This shift in power dynamics facilitates a shared teacher-student relationship, promoting mutual ownership of the education process (Abel & Campbell, 2009).

## Research aim and research questions

While The Leuven/Louvain-la-Neuve Ministerial Communiqué clearly states that student-centered learning will assist students in developing the competencies they need in a dynamic labour market (Bologna Process, 2009), the question arise: What skills and competencies are discussed in the literature that students acquire after receiving an education through student-centered learning and that are needed for their career success? Paul Gibbs and collegeaus note in their work that there appears to be a lack of consistent and unified understanding regarding the meaning of student-centered learning within the context of higher education in Georgia (Gibbs, et al., 2022). Therefore, the question arises, what is meant by student-centered learning?

Hence, the purpose of this study is to develop a conceptual framework, rooted in the literature, that encompasses the key elements of student-centered learning, as well as the skills and abilities students cultivate through this approach, ultimately fostering their future career success.

## Research Methodology

Scientific literature review articles are methodical studies that gather research findings from databases. Their main objective is to provide an objective, theoretical examination of a certain subject or theme. Systematic and narrative reviews of the literature are the two basic categories of review papers that are frequently encountered in the scientific literature. These two different categories of review articles have different traits and objectives (Rother, 2007).

A systematic literature review is a well-planned review that uses a systematic and explicit process to find, choose, and critically assess the results of the studies included in the literature review to address specified research objectives. Articles that undertake systematic literature reviews are regarded as original work since they adhere to strict methodological standards. The state of science related to a particular topic or issue is described and discussed in narrative literature review articles from a theoretical and contextual perspective. These review articles don't specify the kinds of databases, analytical methodologies, or inclusion standards for retrieved articles from database searches that were used to conduct the review. Critical evaluation of the literature found in books and online or print journal articles makes up a narrative review. Narrative literature review articles have an important role in continuing education because they provide readers with up-to-date knowledge about a specific topic or theme. However, this type of review does not describe the methodological approach that would permit reproduction of data nor answer to specific quantitative research questions. These review articles normally use a qualitative approach using the following headings: Introduction, Development (using necessary sub-headings to divide and discuss appropriately the topic), Discussion, and References (Rother, 2007).

In order to develop a conceptual framework, a narrative literature analysis was conducted. Both scientific literature and documents related to the Bologna process and student-centered learning were analyzed.

## Research results: Conceptual Framework

Based on the literature analysis, 2 main elements of student-centered teaching were investigated. These are, institutional conditions for student-centered learning and Innovative Teaching. These 2 elements are also broken down into punts on what each of them means.

***Figure 1:* *Conceptual Framework***



**Institutional conditions for student-centered learning**: While the implementation of the student-centered learning approach is primarily a pedagogical concern that can and should be undertaken by individual teachers in their classrooms, the transition towards SCL at the institutional level requires organization, consistency, and transparency (Attard, Ioio, Geven, & Santa, 2010). Consequently, the cultural transformation towards the student-centered learning (SCL) approach should be fostered throughout all levels and areas of a higher education institution (HEI), as emphasized by Kember (2009) in his examination of strategies to promote SCL university-wide (Kember, 2009).

For educators in higher education, transitioning to a student-centered learning approach and sustaining it can be a complex endeavor. Particularly for teachers accustomed to a teacher-centered environment, the initial stage presents challenges as both educators and students grapple with questioning their deeply ingrained assumptions (Deikelmann & Lampe, 2004). Lavoie (2007) demonstrates the significant role of professional development in driving the transition to a student-centered approach and its continuous development within higher education institutions. He highlights the importance of motivated and supported faculty in achieving teaching excellence. However, many educators lack the necessary guidance to effectively incorporate the concepts of active student-centered learning and information literacy into their own professional development and course design, which could further enhance their teaching practice (Lavoie, 2007).

According to Arko-Cobbah (2004), the presence of suitable infrastructure plays a crucial role in the development of student-centered learning. The researcher highlights the importance of having an infrastructure that is capable of supporting students and facilitating their construction of knowledge. This infrastructure encompasses various forms of media, including digital, print, and multimedia. He emphasizes the significance of ICT (Information and Communication Technology) as a central component in the learning process, particularly in the context of student-centered learning (Arko-Cobbah, 2004).

In order to enhance the effectiveness of professional development for teachers, it is essential to integrate three key areas of knowledge: Content, Pedagogy, and Technology. Specifically, the pedagogical and technological Knowledge domains are of utmost importance when designing training programs that aim to leverage the transformative potential of information and communication technologies (ICT) in transitioning to student-centered learning (SCL). The amalgamation of Technological Pedagogical Content Knowledge is crucial for teachers to grasp the pedagogical implications and recognize the potential of utilizing ICT and SCL in their instructional practices (Muianga, Barbutiu, & Hansson, 2019).

The aforementioned points prompt us to acknowledge the vital significance of libraries in the context of student-centered learning (SCL), serving as the primary hub for storing, accessing, and distributing information (Attard, Ioio, Geven, & Santa, 2010).

**Innovative teaching**: Innovative teaching is a core aspect that has been widely acknowledged in the literature, referred to as a significant parameter of SCL (Attard, Ioio, Geven, & Santa, 2010). Its primary objective is to enhance students' critical thinking abilities (Tsui, 2002). In its application, innovative teaching can take different forms (Attard, Ioio, Geven, & Santa, 2010): Team Learning, Problem-Based Learning, Student Self-Regulated Learning.

**SCL Learning outcomes required for career success**: In the modern world, the following factors are recognised as fundamental to professional success: Problem-solving abilities, creative and critical thinking, communication skills, and teamwork (Gordon, Bolwell, Raney, & Zepke, 2022).

**Other factors affecting career success**: In addition to the skills gained through student-centered learning, there are other factors that influence career success. From here it is necessary to study the influence of various factors affecting career success. In general, career success is measured by external (objective) and internal (subjective) criteria. Objective criteria encompass tangible and observable aspects such as salary and career advancement (Jaskolka, Beyer, & Trice, 1985) (Dries, Pepermans, & Carlier, 2008). On the other hand, subjective criteria are influenced by individual personality traits, including the sense of satisfaction derived from career accomplishments (Arthur & Rousseau, 1996). Aspiring to secure employment with a reputable company (Spangler, 1992) and attaining a satisfactory income (Kirchmeyer, 1998) are common aspirations for individuals seeking professional success. However, some professionals who meet these goals do not consider themselves successful because the economic aspect does not necessarily influence their perception of ca-

reer success (Kirchmeyer, 1998) (Seibert, Crant, & Kraimer, 1999). Research demonstrates that human capital variables also significantly contribute to career success as they directly impact salary growth and professional status (Erdogan, Kraimer, & Liden, 2004) (Parasuraman, Purohit, Godshalk, & Beutell, 1996).

## Conclusion

Based on the analysis of narrative literature conducted within the framework of the described research, a conceptual framework was developed to illustrate the impact of skills acquired through student-centered learning on career success. Student-centered learning, in turn, is divided into two parts: the first part is related to the institutional conditions necessary for its introduction and implementation, and the second part encompasses innovative teaching. Through the conducted analysis, the skills acquired as a result of the student-centered approach, which are essential for success in the labor market, were identified (see Figure 1). However, it is worth noting that during the implementation of empirical research, other factors influencing an individual's career success should be taken into account. This consideration is reflected in the conceptual framework developed within the scope of this study.

## LITERATURE


Abel, E., & Campbell, M. (2009). Student-Centred Learning in an Advanced Social Work Practice Course: Outcomes of a Mixed Methods Investigation. Social Work Education, 28:1, 3-17.

Arko-Cobbah, A. (2004). The Role of Libraries in Student-Centred Learning: The Case of Students from the Disadvantaged Communities in South Africa. The International Information and Library Review, 36, 263-271.

Arthur, M., & Rousseau, D. (1996). Career Lexicon for the 21st Century. Acad. Manag. Perspect. 10, 28-39.

Attard, A., Ioio, E. D., Geven, K., & Santa, R. (2010). Student centered learning: An insight into theory and practice. Bucharest: Education International.

Bologna. (2005). The European Higher Education Area – Achieving the Goals Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education, Bergen, 19-20 May 2005. Bergen.

Bologna Process. (2009). The Bologna Process 2020: The European Higher Education Area in the New Decade. (Leuven/Louvain-la-Neuve, The Bologna Process).

Deikelmann, N., & Lampe, S. (2004). Student-Centered Pedagogies: Co Creating Compelling Experiences Using the New Pedagogies. Teacher Talk: New Pedagogies for Nursing, 43:6, 245-247.

Dries, N., Pepermans, R., & Carlier, O. ( 2008). Career success: Constructing a multidimensional model. J. Vocat. Behav. 73, 254-267.

Erdogan, B., Kraimer, M., & Liden, R. (2004). Work Value Congruence and Intrinsic Career Success: The Compensatory Roles of Leader-Member Exchange and Perceived Organizational Support. Pers. Psychol. 57, 305-332.

Gelişli, Y. (2009). The effect of student centered instructional approaches on student success. TProcedia – Social and Behavioral Sciences 1(1), 469-473.

Gibbs, P., Sharvashidze, G., Grdzelidze, I., Cherkezishvili, D., Sanikidze, T., Lazarashvili, G., & Tavadze, G. (2022). A study into Georgian universities' approach to the national standards of quality for teaching and learning. Journal of Further and Higher Education, 47:1, 59-71.

Gordon, S. J., Bolwell, C. F., Raney, J. L., & Zepke, N. (2022). Transforming a Didactic Lecture into a Student-Centered Active Learning Exercise — Teaching Equine Diarrhea to Fourth-Year Veterinary Students. Education Sciences (12) 68, 1-14.

Jaskolka, G., Beyer, J., & Trice, H. (1985). Measuring and predicting managerial success. J. Vocat. Behav. 26, 189-205.

Kaput, K. (2018). Evidence for Student-Centered Learning. Saint Paul: MN: Education Evolving.

Kassem, H. M. (2019). The Impact of Student-Centered Instruction on EFL Learners' Affect and Achievement. English Language Teaching 12 (1), 134-153.

Kember, D. (2009). Promoting Student-Centred Forms of Learning Across an Entire University. Higher Education, 58, 1-13.

Kirchmeyer, C. (1998). Determinants of managerial career success: Evidence and explanation of male/female differences. J. Manag. 24, 673-692.

Kumar, D. M. (2016). Challenges of Implementing Student-centered Strategies in Classrooms. International Research Journal of Engineering and Technology (IRJET), 1224-1227.

Lavoie, D. a. (2007). Using Active Student-Centred Learning-Based Instructional Design to Develop Faculty and Improve Course Design, Delivery, and Evaluation. Issues in Accounting Education, 22:1, 105-118.

Muianga, X. J., Barbutiu, S. M., & Hansson, H. (2019). Teachers´ perspectives on professional development in the use of SCL approaches and ICT: A quantitative case study of Eduardo Mondlane University, Mozambique. International Journal of Education and Development using Information and Communication Technology (IJEDICT) Vol. 15, Issue 2, 79-97.

Parasuraman, S., Purohit, Y., Godshalk, V., & Beutell, N. (1996). Work and Family Variables, Entrepreneurial Career Success, and Psychological Well-Being. J. Vocat. Behav. 48, 275-300.

Pellert, A. ( 2009). Organisational Development and Promoting Change: the Deeper Dimensions of the Bologna Process'. In EUA Bologna Handbook: Making Bologna Work, C.1.7-1 (pp. 1-20).

Rother, E. T. (2007). Systematic literature review X narrative review. acta paulista de enfermagem, v-vi.

Sablonnière, R. d., Taylor, D. M., & Sadykova, N. (2009). Challenges of applying a student-centered approach to learning in the context of education in Kyrgyzstan. International Journal of Educational Development, 1-7.

Schweisfurth, M., & Elliott, J. (2019). When "best practice" meets the pedagogical nexus: recontextualisation, reframing and resilience. Comparative Education 55(1), 1-8.

Seibert, S., Crant, J., & Kraimer, M. (1999). Proactive personality and career success. J. Appl. Psychol. 84, 416-427.

Spangler, W. (1992). Validity of questionnaire and TAT measures of need for achievement: Two meta-analyses. Psychol. Bull. 112, 140-154.

Stoffle, C., & Cuillier, C. (2010). Student Centred Service and Support: A Case Study of Arizona Libraries Information Commons. Journal of Library Administration, 50, 117-134.

Tsui, L. (2002). Fostering Critical Thinking through Effective Pedagogy: Evidence from Four Institutional Case Studies. The Journal of Higher Education, 73:6, 740-763.

Weimer, M. (2002). Learner-Centered Teaching: Five Key Changes to Practice. San Francisco: Jossey-Bass.

Wulf, C. (2017). "From Teaching to Learning": Characteristics and Challenges of a Student-Centered Learning Culture. In H. A. Mieg, Inquiry-Based Learning – Undergraduate Research; The German Multidisciplinary Experience (pp. 47-55). SpringerOpen.

გოგსაძე, გ. (2015). სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა. თბილისი: https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/studentze-orinetirebuli.pdf.

# სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და მისი გავლენა კარიერულ წარმატებაზე: კონცეპტუალური ჩარჩო

**ნათია გეგელაშვილი**

დოქტორანტი

განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## ანოტაცია

2005 წელს, ბოლონიის პროცესში გაწევრიანების შემდეგ, საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა ქართული უმაღლესი განათლების სფეროში. მართალია, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კონკრეტული განმარტება არ არსებობს, თუმცა, მისი მთავარი მიზანია შექმნას სტუდენტის ინტერესებსა და უნარებზე მორგებული სასწავლო გარემო. Leuven/Louvain-la-Neuve-ს მინისტრთა კომუნიკეში ნათლად არის გამოკვეთილი ფაქტი, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება სტუდენტებს დაეხმარებათ შრომის დინამიურ ბაზარზე საჭირო უნარების განვითარებაში. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნარატიული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავება: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და მისი გავლენა კარიერულ წარმატებაზე. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მოიცავს ორ ძირითად ნაწილს. პირველი ნაწილი გულისხმობს მისი დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო ინსტიტუციურ პირობებს, ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს ინოვაციურ სწავლებას. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის შედეგად მიღებული უნარები, რომლებიც საჭიროა შრომის ბაზარზე წარმატების მისაღწევად. აღნიშნული უნარებია: პრობლემის გადაჭრის უნარი, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაციის უნარი და გუნდური მუშაობის უნარი. გარდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შედეგად მიღებული უნარებისა, არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კარიერულ წარმატებაზე. ესაა გარე (ობიექტური) და შიდა (სუბიექტური) კრიტერიუმები და ადამიანური კაპიტალის ცვლადები.

***საკვანძო სიტყვები:*** *უმაღლესი განათლება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, კარიერა, წარმატება*

**კვლევა PHDF-23-7515 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.**

# სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და მისი გავლენა კარიერულ წარმატებაზე: კონცეპტუალური ჩარჩო

**ნათია გეგელაშვილი**

დოქტორანტი

განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## შესავალი

2005 წელს სომხეთთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან ერთად საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს ბერგენის სამიტზე (Bologna, 2005). იმავე წელს საქართველომ დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა. იმ მიზნებს შორის, რომელთა მიღწევაც ქვეყანას სურდა, ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა ქართული უმაღლეს განათლების სისტემაში (გოგსაძე, 2015).

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი იდეა ისაა, რომ სწავლების მოდელი სტანდარტიზებული მიდგომიდან გადადის სტუდენტზე ორიენტირებულ და ინდივიდუალურ მიდგომაზე. აღნიშნული მიდგომის განხორციელების უნივერსალური განმარტების ან ზუსტი ინსტრუქციის არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მორგებული უნდა იყოს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ მოთხოვნებზე, მიზნებსა და ინტერესებზე (Kaput, 2018).

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კულტურა ემყარება კონსტრუქტივისტულ მიგნებებს, ცოდნის მიღების პროცესში სტუდენტთა აქტიურობის გათვალისწინებით; ხაზს უსვამს თვითრეგულირებად და ავტონომიურ სასწავლო პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს სოციალური ინტერაქციის საშუალებით; სასწავლო პროცესის შემეცნებითი ფაქტორების გარდა ითვალისწინებს სოციალურ, ემოციურ და მოტივაციურ ასპექტებს; ასევე ითვალისწინებს სტუდენტების განსხვავებულ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას; და სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში (Wulf, 2017).

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიები დადებით გავლენას ახდენენ სტუდენტის აკადემიურ მიღწევებზე. როდესაც გამოიყენება აღნიშნული სტრატეგიები, სტუდენტთა ჩართულობა სწავლისა და სწავლების პროცესებში გაცილებით მაღალია, ვიდრე ჯგუფებში, რომლებშიც სწავლება მიმდინარეობს მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიების მიხედვით (Gelişli, 2009). სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება აუმჯობესებს სტუდენტების ინტეგრაციულ მოტივაციას, თვითეფექტურობას, ავტონომიას და რწმენას საგნის შესწავლის მიმართ (Kassem, 2019). აქტიური სწავლების მეთოდები ასევე ზრდიან სტუდენტების მოტივაციას სასწავლო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით (Gordon, Bolwell, Raney, & Zepke, 2022).

სტუდენტზე ორიენტრირებულ სწავლებაზე მცირე რაოდენობით ყოვლისმომცველი კვლევებია ჩატარებული. თუმცა, იმ მცირე რაოდენობის კვლევებმაც კი, რომლებიც აქამდე განხორციელებულა, მრავლისმთქმელი შედეგები აჩვენა (Kaput, 2018). თუ გადავხედავთ როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სივრცეში განხორციელებულ კვლევებს, რომლებიც იკვლევენ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გავლენას კარიერულ წარმატებაზე, აღმოვაჩენთ ამგვარი კვლევების ნაკლებობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლონიის პროცესიდან ორი ათწლეულის შემდეგ, იზრდება აღნიშნული თემატიკისთვის პრიორიტეტის მინიჭების აუცილებლობა. მით უმეტეს, რომ Leuven/Louvain-la-Neuve მინისტერიალი სწორედ სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, როგორც კარიერული წარმატების მნიშვნელოვან განმსაზღვრელს უსვამს ხაზს (Bologna Process, 2009):

„სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და მობილურობა დაეხმარება სტუდენტებს განავითარონ ცვალებადი შრომის ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციები და მისცემს მათ შესაძლებლობას გახდნენ აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები."

### ლიტერატურის მიმოხილვა

იდეალური საგანმანათლებლო ფილოსოფიის განსაზღვრა საკამათო საკითხია, რომელიც ხშირად იღებს ბრძოლის ფორმას ორ ყველაზე გავრცელებულ სწავლების ფილოსოფიას შორის: მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა. პირველი სტრატეგიის მიხედვით, ცოდნის პირველადი წყარო არის მასწავლებელი. სასწავლო მასალის შინაარსის გასაგებად სტუდენტმა უნდა დაიცვას მასწავლებლის მითითებები (Sablonnière, Taylor, & Sadykova, 2009). სტუდენტები, რომლებიც განათლებას იღებენ მასწავლებელზე ორიენტირებულ მიდგომის საშუალებით, კონცენტრირებულნი არიან მხოლოდ ინსტრუქტორზე. ამ სისტემაში მასწავლებელი არის ერთადერთი მთავარი ფიგურა საკლასო აქტივობებში და ინფორმაციის ძირითადი წყარო (Kumar, 2016).

მეორე სტრატეგია ამტკიცებს, რომ განათლება უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის საჭიროებებსა და უნარებს. ცოდნის გაცემის ნაცვლად, მასწავლებლის მოვალეობაა სწავლის პროცესში შეასრულოს ფასილიტატორის როლი (Sablonnière, Taylor, & Sadykova, 2009). სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება არის სწავლების სტრატეგია, სადაც აქცენტი მასწავლებლიდან გადატანილია სტუდენტზე. სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესზე კონტროლის მინიჭებით, აღნიშნული მიდგომა ცდილობს ხელი შეუწყოს მათ ავტონომიასა და დამოუკიდებლობას. სწავლა არ არის უბრალოდ კლასში ჯდომა, მასწავლებელზე ორიენტირება, წინასწარ დაწერილი დავალებების დამახსოვრება და დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა. სტუდენტებმა უნდა განიხილონ ის, რასაც სწავლობენ, წერილობით გადმოსცენ ნასწავლი, დაუკავშირონ წინარე ცოდნას და გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათ უნდა გაითავისონ მიღებული ცოდნა (Kumar, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტება ან დადგენილი პროგრამა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისათვის, ძირითადი კონცეფცია ტრიალებს სტანდარტიზებული მიდგომიდან სტუდენტზე ორიენტირებულ და ინდივიდუალურ მიდგომაზე გადასვლის გარშემო (Kaput, 2018). სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გაგება მოითხოვს კონსტრუქტივისტული მიდგომის ფუნდამენტურ გაგებას. ეფექტურობის კონსტრუქტივისტული თეორიების მიხედვით, სწავლის პროცესი უფრო ეფექტურია, როდესაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი და პასუხისმგებელნი არიან იმაზე, თუ რას და როგორ სწავლობენ (Schweisfurth & Elliott, 2019).

სტუდენტზე ორიენტირებული და ინდივიდუალური მიდგომის განსახორციელებლად დაწესებულებამ უნდა შექმნას მისი დანერგვისთვის შესაფერისი პირობები. პელერტის (2009) მიხედვით, ნებისმიერი ტიპის ცვლილების განხორციელება, მათ შორის ბოლონიის პროცესის მიერ მოწოდებული ცვლილებების განხორციელება, რაც ხელს უწყობს სწავლის ინოვაციური მიდგომების დანერგვას, საჭიროებს ორგანიზაციულ განვითარებას. პელერტი აღწერს ორგანიზაციულ განვითარებას, როგორც მიზანმიმართულ და სისტემატურ პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის შიგნით სოციალური სისტემის გაძლიერებას. პელერტი ხაზს უსვამს, რომ ორგანიზაციული განვითარება ორიენტირებულია ჯგუფური და ორგანიზაციული პროცესების გარშემო, ფოკუსირებულია აქტივობებზე, რომლებიც აძლიერებს გუნდის დინამიკას. ეს მიდგომა მოიცავს ორგანიზციის ყველა რგოლის აქტიურ ჩართულობას (Pellert, 2009). ანალოგიურად, De La Sablonnière და კოლეგებმა (2009) შეისწავლეს სოციალური ცვლილების ნორმატიული თეორია ყირგიზეთში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის დანერგვის მიზნით. ისინი ხაზს უსვამენ აუცილებლობას, რომ როგორც სტუდენტებმა, ასევე მასწავლებლებმა უნდა შეცვალონ თავიანთი პერსპექტივები და ქცევები განათლების მიღების პროცესის მიმართ (Sablonnière, Taylor, & Sadykova, 2009).

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისას სტუდენტის როლი მჭიდროდ არის დაკავშირებული მასწავლებლის როლთან. აბელმა და კოლეგებმა (2009) აჩვენეს, რომ როდესაც სწავლება ხდება სტუდენტზე ორიენტირებული, მასწავლებელი ირგებს „მწვრთნელის" როლს, რომელიც

ხელს უწყობს თანამშრომლობისა და კოლაბორაციის კულტურის გავითარებას. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისას, მასწავლებლები ირჩევენ განსხვავებულ მიდგომას, აღარ აკეთებენ აქცენტს ტრადიციულ ლექციებზე და უფრო მეტად არიან წარმოჩენილნი კლასში, ვიდრე კლასის წინ (Abel & Campbell, 2009).

### კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები

როდესაც Leuven/Louvain-la-Neuve-ს მინისტრთა კომუნიკეში ნათლად არის ნათქვამი, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება დაეხმარება სტუდენტებს განავითარონ ის კომპეტენციები, რომლებიც მათ სჭირდებათ შრომის დინამიურ ბაზარზე (Bologna Process, 2009), ჩნდება კითხვა: რა უნარ-ჩვევები და კომპეტენციებია განხილული ლიტერატურაში, რომლებსაც სტუდენტები იღებენ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის საშუალებით და რომლებიც საჭიროა მათი კარიერული წარმატებისთვის? პოლ გიბსი და კოლეგები თავიანთ ნაშრომში აღნიშნავენ, რომ როგორც ჩანს, არ არის თანმიმდევრული და ერთიანი გაგება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობის შესახებ საქართველოში უმაღლესი განათლების კონტექსტში (Gibbs, et al., 2022). აქედან გამომდინარე, ჩნდება მეორე კითხვა, თუ რა იგულისხმება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაში?

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანია ლიტერატურაზე დაფუძნებული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავება, რომელიც მოიცავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ძირითად ელემენტებს, ასევე იმ უნარებსა და შესაძლებლობებს, რომლებსაც სტუდენტები ავითარებენ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის მეშვეობით, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მათ მომავალ კარიერულ წარმატებას.

### მეთოდოლოგია

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის სტატიები არის მეთოდური კვლევები, რომლებიც აგროვებენ კვლევის შედეგებს მონაცემთა ბაზებიდან. მათი მთავარი მიზანია გარკვეული საგნის ან თემის ობიექტური, თეორიული გამოკვლევა. ლიტერატურის სისტემატური და ნარატიული მიმოხილვა არის ლიტერატურის მიმოხილვის ორი ძირითადი კატეგორია, რომელთაც განსხვავებული თვისებები და მიზნები აქვს (Rother, 2007).

*სისტემური ლიტერატურის მიმოხილვა* არის კარგად დაგეგმილი მიმოხილვა, რომელიც იყენებს სისტემურ და მკაფიო პროცესს ლიტერატურაში არსებული კვლევების შედეგების მოსაძებნად და მათ კრიტიკულად შესაფასებლად. სტატიები, რომლებიც აღწერენ ლიტერატურის სისტემატურ მიმოხილვას, განიხილება როგორც ორიგინალური ნამუშევარი, რადგან ისინი იცავენ მკაცრ მეთოდოლოგიურ სტანდარტებს. კონკრეტულ თემასთან ან საკითხთან დაკავშირებული აღწერითი ხასიათის სტატიები წარმოადგენს *ნარატიული ლიტერატურის მიმოხილვას*. ეს სტატიები არ აკონკრეტებენ მონაცემთა ბაზების ტიპებს, ანალიტიკურ მეთოდოლოგიას ან სტანდარტებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა მონაცემთა ბაზებში სტატიების მოსაძებნად. წიგნებში და ონლაინ ან ბეჭდური ჟურნალების სტატიებში ნაპოვნი ლიტერატურის კრიტიკული შეფასება წარმოადგენს ნარატიულ მიმოხილვას. ნარატიული ლიტერატურის მიმოხილვის სტატიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განათლების გავრცობის კუთხით, რადგან ისინი მკითხველს აწვდიან განახლებულ ცოდნას კონკრეტული თემის შესახებ. თუმცა, ამ ტიპის მიმოხილვა არ აღწერს მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც იძლევა მონაცემთა რეპროდუცირების საშუალებას და არ პასუხობს კონკრეტულ რაოდენობრივი კვლევის კითხვებს. ნარატიული ლიტერატურის მიმოხილვის სტატიები ჩვეულებისამებრ იყენებენ თვისებრივი კვლევის მიდგომას შემდეგი სათაურების გამოყენებით: შესავალი, განვითარება (საჭირო ქვესათაურების გამოყენება თემის გასაყოფად და სათანადოდ განსახილველად), დისკუსია და გამოყენებული ლიტერატურა (Rother, 2007).

კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების მიზნით ჩატარდა ნარატიული ლიტერატურის ანალიზი. გაანალიზდა როგორც სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე ბოლონიის პროცესთან და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

## კვლევის შედეგები: კონცეპტუალური ჩარჩო

ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ორი ძირითადი ელემენტი. ეს არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დასანერგად საჭირო ინსტიტუციური პირობები და ინოვაციური სწავლება. ეს ორი ელემენტი ასევე იყოფა პუნქტებად. აღნიშნული პუნქტები აჩვენებენ, თუ რა იგულისხმება თითოეულ მათგანში (იხ. ფიგურა 1).

*ფიგურა 1: კონცეპტუალური ჩარჩო*




**სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დასანერგად საჭირო ინსტიტუციური პირობები**: მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგიური საზრუნავია, რომელიც შეიძლება და უნდა განახორციელოს ცალკეულმა მასწავლებელმა საკუთარ კლასში, ინსტიტუციურ დონეზე აღნიშნულ მიდგომაზე გადასვლა მოითხოვს ორგანიზებას, თანმიმდევრულობას და გამჭვირვალობას (Attard, Ioio, Geven, & Santa, 2010). შესაბამისად, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის დასანერგად საჭირო კულტურულ ტრანსფორმაციას ხელი უნდა შეუწყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა რგოლმა, რასაც ხაზს უსვამს კემბერი (2009) უნივერსიტეტის მასშტაბით სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობის სტრატეგიების შესწავლისას (Kember, 2009).

ლექტორებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომაზე გადასვლა და მისი შენარჩუნება მარტივი პროცესი არ არის. განსაკუთრებით იმ ლექტორებისთვის, რომლებიც მიჩვეულნი არიან მასწავლებელზე ორიენტირებულ გარემოს, საწყისი ეტაპი წარმოადგენს გამოწვას, რადგან როგორც ლექტორები, ასევე სტუდენტები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ თავიანთ ღრმად ფესვგადგმულ წარმოდგენებს (Deikelmann & Lampe, 2004). ლავოი (2007) ხაზს უსვამს პროფესიული განვითარების მნიშვნელოვან როლს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლისა და მისი უწყვეტი განვითარების პროცესში უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა, ბევრ ლექტორს არ გააჩნია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების ეფექტურად გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუქციები (Lavoie, 2007).

პროფესიული განვითარების და ლექტორის და სტუდენტის თანამშრომლობის გარდა Arko-Cobbah (2004) მიხედვით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა გადამწყვეტ როლს თამაშობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განვითარებაში. ეს ინფრასტრუქტურა მოიცავს მედიის

სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ციფრულ, ბეჭდურ და მულტიმედიას. ის ხაზს უსვამს ICT-ის (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) მნიშვნელობას, როგორც ცენტრალურ კომპონენტს სასწავლო პროცესში (Arko-Cobbah, 2004).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტურობის გაზრდის მიზნით აუცილებელია ცოდნის სამი ძირითადი სფეროს ინტეგრირება: შინაარსი, პედაგოგიკა და ტექნოლოგია. განსაკუთრებით, პედაგოგიური და ტექნოლოგიური ცოდნის დომენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სასწავლო პროგრამების შემუშავებისას, რომლებიც მიზნად ისახავენ გამოიყენონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ტრანსფორმაციული პოტენციალი სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე გადასვლისას. ტექნოლოგიური და პედაგოგიური შინაარსის ცოდნის გაერთიანება გადამწყვეტია იმისათვის, რომ მასწავლებელმა გაითავისოს პედაგოგიური მნიშვნელობა და გააცნობიეროს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის გამოყენების პოტენციალი მის სასწავლო პრაქტიკაში (Muianga, Barbutiu, & Hansson, 2019).

ზემოაღნიშნული პუნქტების გათვალისწინებით, უნდა ვაღიაროთ ბიბლიოთეკის სასიცოცხლო მნიშვნელობა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კონტექსტში, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის შენახვის, წვდომისა და გავრცელების ძირითად ცენტრს (Attard, Ioio, Geven, & Santa, 2010).

**ინოვაციური სწავლება**: ლიტერატურაში აღწერილი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელოვანი პარამეტრი და კონცეპტუალური ჩარჩოს მთავარი შემადგენელი ელემენტი არის ინოვაციური სწავლება, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს სტუდენტების კრიტიკული აზროვნების უნარის გაძლიერებას (Tsui, 2002). პრაქტიკაში ინოვაციურმა სწავლებამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს (Attard, Ioio, Geven, & Santa, 2010): გუნდური სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, მოსწავლეთა თვითრეგულირებადი სწავლება.

**სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შედეგები, რომლებიც საჭიროა კარიერული წარმატებისთვის**: თანამედროვე სამყაროში პროფესიული წარმატებისთვის ფუნდამენტურად აღიარებულია შემდეგი ფაქტორები: პრობლემის გადაჭრის უნარი, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაციის უნარი და გუნდური მუშაობის უნარი (Gordon, Bolwell, Raney, & Zepke, 2022).

**სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კარიერულ წარმატებაზე**: გარდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შედეგად მიღებული უნარებისა, არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კარიერულ წარმატებაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კარიერულ წარმატებაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინება. ზოგადად, კარიერული წარმატება გარე (ობიექტური) და შიდა (სუბიექტური) კრიტერიუმებით იზომება. ობიექტური კრიტერიუმები ეხება რეალურ ან დაკვირვებად ასპექტებს, როგორიცაა შრომითი ანაზღაურება და დაწინაურება (Jaskolka, Beyer, & Trice, 1985) (Dries, Pepermans, & Carlier, 2008). მის საპირისპიროდ, სუბიექტური კრიტერიუმები ექვემდებარება ინდივიდუალურ პიროვნულ თვისებებს, მაგალითად, კარიერული მიღწევით კმაყოფილების შეგრძნება (Arthur & Rousseau, 1996). წარმატებული პროფესიონალი ნიშნავს ინდივიდის სწრაფვას დასაქმდეს ცნობილ კომპანიაში (Spangler, 1992) და მიიღოს კარგი შემოსავლი (Kirchmeyer, 1998). თუმცა, ზოგიერთი პროფესიონალი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მიზნებს, თავს წარმატებულად არ თვლის, რადგან ეკონომიკური ასპექტი სულაც არ ახდენს გავლენას მათ აღქმაზე კარიერული წარმატების შესახებ (Kirchmeyer, 1998) (Seibert, Crant, & Kraimer, 1999). კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანური კაპიტალის ცვლადები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კარიერულ წარმატებაში, რადგან ისინი განსაზღვრავენ ხელფასების ზრდას და პროფესიულ სტატუსს (Erdogan, Kraimer, & Liden, 2004) (Parasuraman, Purohit, Godshalk, & Beutell, 1996).

## დასკვნა

აღწერილი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ნარატიული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც გვიჩვენებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შედეგად შეძენილი უნარების გავლენას კარიერულ წარმატებაზე. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება თავის მხრივ დაყოფილია ორ ნაწილად: პირველ ნაწილში იგულისხმება მისი დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო ინსტიტუციური პირობები, ხოლო

მეორე ნაწილი მოიცავს ინოვაციურ სწავლებას. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის შედეგად მიღებული უნარები, რომლებიც საჭიროა შრომის ბაზარზე წარმატების მისაღწევად (იხ. ფიგურა 1). თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ემპირიკული კვლევის განხორციელების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდის კარიერულ წარმატებაზე, რაც ასახულია წინამდებარე კვლევის ფარგლებში შემუშავებულ კონცეპტუალურ ჩარჩოში.

## გამოყენებული ლიტერატურა


Abel, E., & Campbell, M. (2009). Student-Centred Learning in an Advanced Social Work Practice Course: Outcomes of a Mixed Methods Investigation. Social Work Education, 28:1, 3-17.

Arko-Cobbah, A. (2004). The Role of Libraries in Student-Centred Learning: The Case of Students from the Disadvantaged Communities in South Africa. The International Information and Library Review, 36, 263-271.

Arthur, M., & Rousseau, D. (1996). Career Lexicon for the 21st Century. Acad. Manag. Perspect. 10, 28-39.

Attard, A., Ioio, E. D., Geven, K., & Santa, R. (2010). Student centered learning: An insight into theory and practice. Bucharest: Education International.

Bologna. (2005). The European Higher Education Area – Achieving the Goals Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education, Bergen, 19-20 May 2005. Bergen.

Bologna Process. (2009). The Bologna Process 2020: The European Higher Education Area in the New Decade. (Leuven/Louvain-la-Neuve, The Bologna Process).

Deikelmann, N., & Lampe, S. (2004). Student-Centered Pedagogies: Co Creating Compelling Experiences Using the New Pedagogies. Teacher Talk: New Pedagogies for Nursing, 43:6, 245-247.

Dries, N., Pepermans, R., & Carlier, O. ( 2008). Career success: Constructing a multidimensional model. J. Vocat. Behav. 73, 254-267.

Erdogan, B., Kraimer, M., & Liden, R. (2004). Work Value Congruence and Intrinsic Career Success: The Compensatory Roles of Leader-Member Exchange and Perceived Organizational Support. Pers. Psychol. 57, 305-332.

Gelişli, Y. (2009). The effect of student centered instructional approaches on student success. TProcedia – Social and Behavioral Sciences 1(1), 469-473.

Gibbs, P., Sharvashidze, G., Grdzelidze, I., Cherkezishvili, D., Sanikidze, T., Lazarashvili, G., & Tavadze, G. (2022). A study into Georgian universities' approach to the national standards of quality for teaching and learning. Journal of Further and Higher Education, 47:1, 59-71.

Gordon, S. J., Bolwell, C. F., Raney, J. L., & Zepke, N. (2022). Transforming a Didactic Lecture into a Student-Centered Active Learning Exercise — Teaching Equine Diarrhea to Fourth-Year Veterinary Students. Education Sciences (12) 68, 1-14.

Jaskolka, G., Beyer, J., & Trice, H. (1985). Measuring and predicting managerial success. J. Vocat. Behav. 26, 189–205.

Kaput, K. (2018). Evidence for Student-Centered Learning. Saint Paul: MN: Education Evolving.

Kassem, H. M. (2019). The Impact of Student-Centered Instruction on EFL Learners' Affect and Achievement. English Language Teaching 12 (1), 134-153.

Kember, D. (2009). Promoting Student-Centred Forms of Learning Across an Entire University. Higher Education, 58, 1-13.

Kirchmeyer, C. (1998). Determinants of managerial career success: Evidence and explanation of male/female differences. J. Manag. 24, 673-692.

Kumar, D. M. (2016). Challenges of Implementing Student-centered Strategies in Classrooms. International Research Journal of Engineering and Technology (IRJET), 1224-1227.

Lavoie, D. a. (2007). Using Active Student-Centred Learning-Based Instructional Design to Develop Faculty and Improve Course Design, Delivery, and Evaluation. Issues in Accounting Education, 22:1, 105-118.

Muianga, X. J., Barbutiu, S. M., & Hansson, H. (2019). Teachers' perspectives on professional development in the use of SCL approaches and ICT: A quantitative case study of Eduardo Mondlane University, Mozambique. International Journal of Education and Development using Information and Communication Technology (IJEDICT) Vol. 15, Issue 2, 79-97.

Parasuraman, S., Purohit, Y., Godshalk, V., & Beutell, N. (1996). Work and Family Variables, Entrepreneurial Career Success, and Psychological Well-Being. J. Vocat. Behav. 48, 275-300.

Pellert, A. ( 2009). Organisational Development and Promoting Change: the Deeper Dimensions of the Bologna Process'. In EUA Bologna Handbook: Making Bologna Work, C.1.7-1 (pp. 1-20).

Rother, E. T. (2007). Systematic literature review X narrative review. acta paulista de enfermagem, v-vi.

Sablonnière, R. d., Taylor, D. M., & Sadykova, N. (2009). Challenges of applying a student-centered approach to learning in the context of education in Kyrgyzstan. International Journal of Educational Development, 1-7.

Schweisfurth, M., & Elliott, J. (2019). When 'best practice' meets the pedagogical nexus: recontextualisation, reframing and resilience. Comparative Education 55(1), 1-8.

Seibert, S., Crant, J., & Kraimer, M. (1999). Proactive personality and career success. J. Appl. Psychol. 84, 416-427.

Spangler, W. (1992). Validity of questionnaire and TAT measures of need for achievement: Two meta-analyses. Psychol. Bull. 112, 140–154.

Stoffle, C., & Cuillier, C. (2010). Student Centred Service and Support: A Case Study of Arizona Libraries Information Commons. Journal of Library Administration, 50, 117-134.

Tsui, L. (2002). Fostering Critical Thinking through Effective Pedagogy: Evidence from Four Institutional Case Studies. The Journal of Higher Education, 73:6, 740-763.

Weimer, M. (2002). Learner-Centered Teaching: Five Key Changes to Practice. San Francisco: Jossey-Bass.

Wulf, C. (2017). "From Teaching to Learning": Characteristics and Challenges of a Student-Centered Learning Culture. In H. A. Mieg, Inquiry-Based Learning – Undergraduate Research; The German Multidisciplinary Experience (pp. 47-55). SpringerOpen.

გოგსაძე, გ. (2015). სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა. თბილისი: https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/studentze-orinetirebuli.pdf.

# THE INFLUENCE OF THE SCIENTIFIC SUPERVISOR ON THE QUALITY OF THE PH. D. DISSERTATION

**Tamar Tkhelidze**

Master of Education Sciences

*East European University*

## Abstract

Along with the development of higher education, it is becoming increasingly important to improve the quality of teaching at the doctoral level. The aim of this study was to study the influence of the scientific supervisor on the quality of the dissertation. The research was carried out with a triangulation approach. At the first stage, the legal acts of Georgian higher educational institutions were studied, such as: Doctorate Regulations, Dissertation Council Regulations, etc. In the second stage, qualitative research was carried out. In-depth interviews were conducted with scientific supervisors and faculty representatives.

The results of the study revealed that the involvement of the scientific supervisor in the content part of the thesis, the friendly relationship with the student and the support of the faculty have a positive effect on the quality of the thesis. However, the main determinant of the quality of a dissertation is the skills of the student himself. Accordingly, based on the results of the research, we have developed recommendations that will be of interest to scientific supervisors and doctoral students. Also, the results of the research will help higher educational institutions to improve the quality of teaching at the doctoral level.

***Keywords:*** *PhD, supervisor, Thesis*

# THE INFLUENCE OF THE SCIENTIFIC SUPERVISOR ON THE QUALITY OF THE PH. D. DISSERTATION

**Tamar Tkhelidze**

Master of Education Sciences

*East European University*

## Introduction

Relevance of the topic: In today's dynamic and rapidly changing world, education is an integral part of modern life. Therefore, issues related to the field of education need constant research and updating. The subject of our research is the study of the influence of the scientific supervisor on the quality of the dissertation. The system of higher education in Georgia consists of three main levels: bachelor's, master's and doctorate (Law of Georgia on Higher Education). Each of them has its own specifics and specific criteria that must be met by a graduate after being awarded a higher education degree.

Studies at the doctoral level include both research and theoretical components. Along with this, the process of working on the dissertation and the result that the doctoral student should achieve after completing his studies are extremely important, which undoubtedly has a great influence on the scientific supervisor. 2016, 11). It is natural that the defense of the thesis is the most important prerequisite for awarding an academic degree to a specific person, and the scientific supervisor has the greatest role in this process. It is the scientific supervisor who helps the doctoral student to become a researcher and a good scientist.

The analysis of Georgian and foreign scientific articles reveals that scientists from many countries are interested in studying the mentioned issue. Researches conducted in Georgia, which concern doctoral education and its specifics, do not include a full description of the role of a scientific supervisor in the process of creating a dissertation, which emphasizes the novelty and relevance of the work. Taking all this into account, it should be said that the main problems that arise in the relationship between a scientific supervisor and a doctoral student have been identified in our research.

### Literature review

The functioning of doctoral programs in Georgia is based on the principles of Salzburg, which is one of the important guiding documents of the European educational space. The Salzburg Principles state that „a key component of doctoral education is the development of knowledge through original research. (Salzburg Principles, 2005, p.1).

The accreditation standard of higher education programs makes it clear that the scientific supervisor should be involved in all stages of the thesis creation process. To give instructions to the student and help him choose the right direction.

There are several studies on doctoral education in the Georgian educational space: in the work of Irine Darchia "Doctoral education in Georgia in the context of the unified European educational space", the research of Ketevan Gurchiani, Tamar Bregvadze, Simon Janashia, Mariam Dalakishvili, Nino Rcheulishvili, Ketevan Tsotniashvili: "Promoting the improvement of the quality of doctoral studies in Georgia". Irine Darchia's work mainly describes the problems and important issues related to doctoral education, and also focuses on the indicators and reasons for the suspension of the status at the doctoral level: "Within the framework of doctoral educational programs, the scarcity of services supporting the professional development of doctoral students, scientific and research activities (including the insufficient involvement of scientific supervisors) and

research Limitation of the environment, etc." (Darchia, p. 12). The research conducted on the promotion of the improvement of the quality of doctoral studies in Georgia identifies various problems, among them it occupies an important place Hourly load of professors. There are many cases when the working rate of professors significantly exceeds the norms stipulated by the standard. Students often mention this problem when communicating with scientific supervisors (Gurchiani K, Bregvadze T, Janashia S, 2014).

The most important prerequisite for effective study at the doctoral level is the correct selection of the scientific supervisor. "Mentoring in an academic context is a process that helps the student to become an independent professional researcher and scholar in his field, able to adapt to different research arenas, be it university or industry" (Pearson, Brew, 2002:135). Therefore, maintaining effective communication with the scientific supervisor is an important prerequisite for successfully completing the doctoral degree (Zhao, Golde & McCormick, 2007). The attitude of scientific supervisors significantly determines both the success and failure of doctoral students (Lee, 2008, 268).

In the work "Research Quality and Organizational Factors: An Investigation of the Relationship", Gulbrandsen singles out several factors determining the quality of a dissertation: originality, rigor, scientific relevance, practical/social usefulness. (Gulbrandsen, 2000)

Amjad Almusaid's research aimed to examine the role of the supervisor in the development of doctoral students' skills. Research shows that the scientific work of students who had two supervisors was of a higher quality. (Almusaid, 2020) The same opinion is confirmed by Yves and Rowley's research. Few of the students in the study had two active supervisors, and students who had two supervisors made more progress on their thesis and were satisfied with their supervision (Ives, Rowley, 2005).

Tritsina Vilkina's research covers several aspects of scientific supervisor selection. Analyzing the results, the author emphasizes that students rarely choose a female supervisor, they believe that the supervisor's gender affects the quality of the dissertation, and they prefer male supervisors. (Vilkina, 2007)

The literature surrounding the research issue confirms that many factors have an impact on the quality of the dissertation. However, it should be emphasized that the quality of the dissertation work is largely determined by the originality of the issue and the selection of appropriate methods for the research. As early as 1993, Hamlin indicated in a study that originality and sound methods are the highest-ranking elements of research quality (Hemlin, 1993). In his research, Soumana identifies the main factors that have the greatest influence on the creation of a quality dissertation: student characteristics, funding, research obstacles, psychological state, scientific supervisor (Soumana, A. O., & Uddin, M. R. 2017, 90). At the same time, it is very important to involve the faculty in the process of interaction between the scientific supervisor and the doctorate. Faculty must control all major ongoing processes (Maher, Thompson, 2004, 403). Gyuris notes that academic writing skills and critical thinking are essential research skills for doctoral students (Gyuris, 2018). Based on the reviewed scientific literature, it should be noted that the most important role in the process of working on the dissertation is assigned to the doctoral candidate himself.

Thus, based on the above analysis, the aim of the research is to study the influence of the scientific supervisor on the quality of the dissertation. Based on the analysis of scientific literature, research hypotheses were formed:

- A friendly relationship with the scientific supervisor improves the quality of the thesis;
- The involvement of the scientific supervisor while working on the content part of the dissertation has a positive effect on the quality of the dissertation work;
- Faculty support has a positive effect on the quality of the dissertation;
- The presence of a co-supervisor improves the quality of the thesis;
- The gender of scientific supervisors determines the quality of the thesis;
- The ability of the doctoral student limits the quality of the dissertation.

**Research methodology**

For the in-depth study of the factors determining the quality of the dissertation, a qualitative research method was selected. In the second stage, 15 face-to-face interviews were conducted. Interviewed 10 scientific workers and 5 faculty representatives working in different fields and universities. The so-called "snow team" was used for the selection of respondents. Before the interview, each respondent signed a written confidentiality agreement defined by research ethics.

The theoretical population for the quantitative study was defined as the number of PhD graduates since 2011. According to the data of the National Statistical Service of Georgia, the total number of doctoral graduates since 2011 is 5030. Accordingly, with a 95% confidence level and a confidence interval of +/–4, the sample size will be 599. The data will be processed with the software SPSS 26 and SPSS- through The main source of data collection is the information obtained from the survey.

Primary data was collected with the help of a structured questionnaire, 80 doctoral graduates and 40 doctoral students participated in the quantitative study. During the development of the questionnaire, the following thematic blocks were distinguished: the involvement of the scientific supervisor in the content part of the dissertation; support of the scientific supervisor; general satisfaction with the scientific supervisor; assessment of doctoral student/graduate student's skills; Involvement of the structural unit of the university in the process of creating a dissertation; Evaluation of the quality of the dissertation.

In the study, we used a Likert scale to measure the variables of the scientific supervisor. Accordingly, the range of the Likert scale will be 1 – 5 : 1 = strongly disagree; 2 = I do not agree; 3 = neutral; 4 = I agree; 5 = I completely agree.

***Table 1:* Structure of the questionnaire**

| Factors | | Elements | Scale |
|---|---|---|---|
| **Involvement of the scientific supervisor in the content part of the thesis** | involvement | 22 | **Likert scale** |
| **Scientific of the head Support** | Support | 16 | |
| **Scientific with the head general satisfaction** | satisfaction | 7 | |
| **of a doctoral student / graduate student skills Rate** | skills | 8 | |
| **University structural unit involvement dissertation of the paper will create in the process** | Structural unit involvement | 5 | |
| **dissertation of the paper quality Rate** | quality | 9 | |

The data analysis method involved editing, coding and summarizing the data into manageable summaries. To ensure ease of analysis, questionnaires were coded according to each study variable to ensure accuracy during analysis. Analyzes were performed using the Statistical Package for the Social Sciences (SPSS). Computed data were analyzed using descriptive statistics, including frequencies, means, and percentages. Multiple linear regression analysis using the empirical model below was used to draw inferences between dependent variables.

The variables used in the empirical model and the relationship between them are shown in Chart 1:

$$DQ_{it} = \beta_0 + \beta_1 DT_{it} + \beta_2 DC_{it} + \beta_3 SS_{it} + \beta_4 SK_{it} + \beta_5 US_{ti} + \beta_6 GE_{it} + \beta_7 CS_{it} + \varepsilon_{it}$$

*Scheme 1: Conceptual framework of researc*




### Research Results

The results obtained during the qualitative research allowed us to see how the scientific supervisor is selected in the Georgian reality, mainly what approach students apply. The interview with scientific supervisors clearly showed that the majority of doctoral students do not have relevant experience and readiness for scientific activities. Their interests are based solely on obtaining a PhD academic degree and not on research activities. The representatives of the faculty note that they do an analysis of the academic staff's hourly workload every year, but the results are often not taken into account, which means that the workload of scientific supervisors exceeds the amount of time allowed. During the analysis of the results of the qualitative research, a number of other problems were identified, which have a significant impact on the quality of the dissertation.

In the context of hypothesis testing, we employed quantitative research methodologies, specifically employing a multi-factor regression equation. In Table 1, we present the mean and standard deviation values for the variables encompassed within our model. The table reveals that the quality of dissertations, satisfaction levels with scientific supervision, and graduates' capabilities received assessments with scores exceeding the average, while the standard deviations ranged from 0.84 to 1.5.

*Table 2: **Descriptive statistics of the model***

| | № | Minimum | Maximum | Mean | Std. Deviation |
|---|---|---|---|---|---|
| **DT** | 81 | 1.00 | 5.00 | 3.3185 | 1.51221 |
| **DC** | 81 | 1.00 | 5.00 | 3.2892 | 1.37729 |
| **SS** | 81 | 1.13 | 5.00 | 3.5525 | 1.25307 |
| **SET** | 81 | 1.00 | 5.00 | 3.7549 | 1.10662 |
| **SK** | 81 | 1.75 | 5.13 | 3.7917 | .84049 |
| **US** | 81 | 1.00 | 6.00 | 3.3741 | 1.03535 |
| **DQ** | 81 | 2.00 | 5.00 | 3.7562 | 1.03605 |

Table 3 presents the outcomes of the regression analysis, with the quality of completed dissertation serving as the dependent variable. The table indicates that several factors, namely supervisor's technical support, scientific supervisor's support, graduates' skills, and university administration's support, exert a positive influence on thesis quality. Notably, among these variables, the skills possessed by the graduate emerge as a statistically significant factor that significantly enhances thesis quality.

*Table 3: **Results of the regression equation (dependent variable: degree of doctoral dissertation)***

| | | Unstandardized Coefficients | | Standardized Coefficients | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **Model** | | **B** | **Std. Error** | **Beta** | **t** | **Sig.** |
| | (Constant) | 0,761 | 0,569 | | 1,337 | 0,186 |
| | DT | 0,148 | 0,116 | 0,214 | 1,277 | 0,206 |
| | DC | -0,139 | 0,137 | -0,183 | -1,017 | 0,313 |
| | SS | 0,177 | 0,155 | 0,214 | 1,141 | 0,258 |
| | **SK** | **0,713** | **0,132** | **0,582** | **5,394** | **0,000** |
| | US | 0,055 | 0,065 | 0,056 | 0,852 | 0,397 |
| | GE | -0,002 | 0,161 | -0,001 | -0,011 | 0,991 |
| | CS | -0,361 | 0,137 | -0,175 | -2,631 | **0,010** |
| | R Square | 0,737 | | | | |
| | Adjusted R Square | 0,711 | | | | |

The engagement of the scientific supervisor in the substantive aspects of the dissertation, the gender of the scientific supervisor, and the presence of a co-supervisor exhibit a negative association with the dissertation's quality performance. It is worth noting that these variables do not reach statistical significance. Notably, the coefficient of determination stands at 0.73, implying that the independent variables account for 73% of the variance observed in the dependent variable.

*Table 4. Results of the regression equation (dependent variable: satisfaction with supervisor)*

| Coefficients[a] | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Model | | Unstandardized Coefficients | | Standardized Coefficients | | |
| | | B | Std. Error | Beta | t | Sig. |
| | (Constant) | 1,356 | 0,479 | | 2,831 | 0,006 |
| | DT | 0,140 | 0,097 | 0,192 | 1,438 | 0,155 |
| | DC | -0,015 | 0,115 | -0,018 | -0,128 | 0,899 |
| | **SS** | **0,575** | **0,131** | **0,655** | **4,401** | **0,000** |
| | SK | 0,141 | 0,111 | 0,109 | 1,268 | 0,209 |
| | US | -0,079 | 0,055 | -0,076 | -1,447 | 0,152 |
| | **GE** | **-0,253** | **0,135** | **-0,101** | **-1,868** | **0,066** |
| | CS | 0,079 | 0,115 | 0,036 | 0,683 | 0,497 |
| | R Square | 0,834 | | | | |
| | Adjusted R Square | 0,817 | | | | |

Table 4 presents an examination of the impact of the academic supervisor on graduate satisfaction. The table underscores that the influence stemming from scientific supervisor support and the gender of the scientific supervisor significantly affect the satisfaction levels of graduate students. Notably, supervisor support demonstrates a positive effect on satisfaction, while gender, particularly having a female supervisor, exhibits a negative influence on satisfaction. In contrast, the remaining variables do not reach statistical significance. The coefficient of determination, indicated as 0.83 in the table, signifies that the independent variables account for 83% of the variance observed in the dependent variable.

## Conclusion and recommendations

Based on the analysis and judgment of the results of the research, we can formulate the main conclusions and recommendations that were determined by the obtained results. From the hypotheses we developed, only the skills of the doctoral student turned out to be a statistically significant variable, and the hypothesis: "The skill of the doctoral student determines the quality of the dissertation" was confirmed. The analysis of the results of the quantitative research also revealed that the friendly attitude towards the scientific supervisor, the involvement of the scientific supervisor in the content and technical part of the thesis, the support of the faculty, the gender of the scientific supervisor, and the presence of a co-supervisor have a positive influence on the quality of the dissertation. Nevertheless, none of them is a statistically significant variable, therefore the hypotheses were not confirmed: "A friendly relationship with the scientific supervisor improves the quality of the dissertation"; "The involvement of the scientific supervisor while working on the content part of the dissertation has a positive effect on the quality of the dissertation work"; "Faculty support has a positive effect on the quality of the dissertation"; "The gender of the scientific leaders determines the quality of the thesis"; "The presence of a co-supervisor improves the quality of the thesis".

**In the form of recommendations.** Along with tightening the prerequisites for admission, it is important that the faculty takes care of increasing the competence of scientific supervisors. As a result, the activation of the mentioned issue will give us the fact that those students who actually have scientific interests will be admitted to the doctoral program. The number of doctoral students under the supervision of scientific supervisors will also decrease. Scientific supervisors and doctoral students will devote the necessary time and resources to work on the thesis. Concurrence of these issues will improve the quality of doctoral theses completed in the Georgian higher educational space.

## REFERENCES


Darchia, I. Doctoral education in Georgia in the context of a single "European educational space", Tbilisi.

Gurchiani, K., Bregvadze, T., Janashia, S., Dalakishvili, M., Rcheulishvili, N., Tsotniashvili, K., (2014). Promoting Quality Improvement in Doctoral Studies in Georgia, Tempus, Research Report Salzburg Principles, 2005.

National Center for the Development of the Quality of Education "Manual for the Evaluation of Standards for the Accreditation of Higher Education Programs".

National Center for Education Quality Development "Standards of Accreditation of Higher Education Programs".

Law of Georgia on Higher Education https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=102

Ali, P and Watson, P and Dhingra, K (2016) Postgraduate research students' and their supervisors' attitudes towards supervision. International Journal of Doctoral Studies, 11, 227-241.

Almusaid A, (2020), "The role of the supervisor on developing phd students skills". International conference of humanitis,social and education sciences.

Gulbrandsen, M. 2000. Research Quality and Organisational Factors: An Investigation of the Relationship. Trondheim: Norwegian University of Science and Technology.

Gyuris, E. (2018). Evaluating the effectiveness of postgraduate research skills training and its alignment with the Research Skill Development framework. Journal of University Teaching & Learning Practice, 15(4), 5.

Hemlin, S. 1993. "Scientific Quality in the Eyes of the Scientist. A Questionnaire Study". Scientometrics 27: 3-18.

Ives, G. & Rowley, G. (2005). Supervisor selection or allocation and continuity of supervision: Ph.D. students' progress and outcomes, Studies in Higher Education Journal Vol. 30.

Lee, A. 2008. "How Are Doctoral Students Supervised? Concepts of Doctoral Research Supervision". Studies in Higher Education 33 (3): 267-281. doi:10.1080/03075070802049202.

Maher, M. A., Ford, M. E., & Thompson, C. M. (2004). Degree progress of women doctoral students: Factors that constrain, facilitate, and differentiate. The Review of Higher Education, 27(3), 385-408.

Pearson, M., & Brew, A. (2002). Research traning and supervision development. Studies in Higher Education, 27(2), 135-150.

Soumana, A. O., & Uddin, M. R. (2017). Factors Influencing the Degree Progress of International PhD Students from Africa: An Exploratory Study. Üniversitepark Bülten, 6(1), 79-94.

Vilkinas, T, (2007) An Exploratory Study of the Supervision of Ph.D./Research Students' Theses, Innovative Higher Education 32(5):297-311, University of South Australia.

Zhao, C-M., Golde, C.M. & McCormick, A.C. (2007). More than a signature: How advisor choice and advisor behaviour affect doctoral student satisfaction. Journal of Further and Higher Education, 31, 263-281.

# სამეცნიერო ხელმძღვანელის გავლენა სადისერტაციო ნაშრომის ხარისხზე

**თამარ თხელიძე**

*განათლების მეცნიერებების მაგისტრი*

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## ანოტაცია

უმაღლესი განათლების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სადოქტორო საფეხურზე სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა შეესწავლა სამეცნიერო ხელმძღვანელის გავლენა სადისერტაციო ნაშრომის ხარისხზე. კვლევა განხორციელდა ტრიანგულაციური მიდგომით. პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისეთი სამართლებრივი აქტები, როგორებიცაა: დოქტორანტურის დებულება, სადისერტაციო საბჭოს დებულება და სხვ. მეორე ეტაპზე განხორციელდა თვისებრივი კვლევა. სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა სამეცნიერო ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩართულობას დისერტაციის შინაარსობრივ ნაწილში, სტუდენტთან მეგობრულ ურთიერთობას და ფაკულტეტის მხარდაჭერას დადებითი გავლენა აქვს დისერტაციის ხარისხზე. თუმცა, სადისერტაციო ნაშრომის ხარისხის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის თავად სტუდენტის უნარები.

შესაბამისად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც საინტერესო იქნება სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და დოქტორანტებისთვის. ასევე, კვლევის შედეგები დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სადოქტორო საფეხურზე სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

საკვანძო სიტყვები: *დოქტორანტურა, სამეცნიერო ხელმძღვანელი, დისერტაცია*

# სამეცნიერო ხელმძღვანელის გავლენა სადისერტაციო ნაშრომის ხარისხზე

**თამარ თხელიძე**

*განათლების მეცნიერებების მაგისტრი*

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** დღევანდელ დინამიურ და სწრაფ ცვლილებად სამყაროში განათლება თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, განათლების სფეროსთან დაკავშირებული საკითხები მუდმივ კვლევასა და განახლებას საჭიროებს. ჩვენი კვლევის საკითხს წარმოდგენს სამეცნიერო ხელმძღვანელის გავლენის შესწავლა სადისერტაციო ნაშრომის ხარისხზე. საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა სამი ძირითადი საფეხურისგან შედგება: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ). თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი სპეციფიკა და კონკრეტული კრიტერიუმები, რომელსაც უმაღლესი განათლების ხარისხის მინიჭების შემდეგ უნდა აკმაყოფილებდეს კურსდამთავრებული.

სადოქტორო საფეხურზე სწავლა მოიცავს როგორც კვლევით, ისე თეორიულ კომპონენტებს. ამასთან ერთად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესი და ის შედეგი, რასაც დოქტორანტმა სწავლის დასრულების შემდეგომ უნდა მიაღწიოს, რაზეც უდავოდ დიდი გავლენა აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელს „დოქტორანტურის მოგზაურობაში დოქტორანტებსა და მათ ხელმძღვანელებს შორის პოზიტიური და ეფექტური ურთიერთობა მათი წარმატების უმთავრესი წინაპირობაა“ (Ali et al., 2016, 11). ბუნებრივია, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, კონკრეტული პიროვნებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, ამ პროცესში კი უდიდესი როლი გააჩნია სამეცნიერო ხელმძღვანელს. სწორედ სამეცნიერო ხელმძღვანელი ეხმარება დოქტორანტს გახდეს მკვლევარი და კარგი მეცნიერი.

ქართული თუ უცხოური სამეცნიერო სტატიების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული საკითხის შესწავლით არაერთი ქვეყნის მეცნიერია დაინტერესებული. საქართველოში ჩატარებული კვლევები, რომლებიც სადოქტორო განათლებას და მის სპეციფიკას შეეხება, არ მოიცავს სამეცნიერო ხელმძღვანელის როლის სრულფასოვან აღწერას სადისერტაციო ნაშრომის შექმნის პროცესში, რაც ხაზს უსვამს ნაშრომის სიახლესა და აქტუალობას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ურთიერთობისას იჩენს თავს.

### ლიტერატურის მიმოხილვა

სადოქტორო პროგრამების ფუნქციონირება საქართველოში ეყრდნობა ზალცბურგის პრინციპებს, რომლიც ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტია. ზალცბურგის პრინციპები ცხადყოფს, რომ „სადოქტორო განათლების მთავარი კომპონენტი არის ცოდნის განვითარება ორიგინალური კვლევის საშუალებით“ (ზალცბურგის პრინციპები, 2005, გვ. 1).

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტი ცხადყოფს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩართული უნდა იყოს დისერტაციის შექმნის პროცესის ყველა ეტაპზე. მითითებები მისცეს სტუდენტს და დაეხმაროს სწორი მიმართულების არჩევაში (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო, 2023, გვ.40).

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოიძებნება რამდენიმე კვლევა სადოქტორო განათლების შესახებ: ირინე დარჩიას ნაშრომში „სადოქტორო განათლება საქართველოში ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის კონტექსტში“,ქეთევან გურჩიანის, თამარ ბრეგვაძის, სიმონ ჯანაშიას, მარიამ დალაქიშვილის, ნინო რჩეულიშვილის, ქეთევან ცოტნიაშვილის კვლევა: „სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში. ირინე დარჩიას ნაშრომში ძირითადად აღწერილია სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები და მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე ყურადღება გამახვილებულია სადოქტორო საფეხურზე სტატუსის შეჩერების მაჩვენებლებსა და მიზეზებზე: „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დოქტორანტების პროფესიული განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი სერვისების სიმწირე (მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელების არასაკმარისი ჩართულობა) და კვლევითი გარემოს შეზღუდულობა და სხვ.“ (დარჩია, გვ.12). საქართველოში სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის შესახებ ჩატარებული კვლევა გამოყოფს სხვადასხვა სახის პრობლემებს, მათ შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პროფესორთა საათობრივი დატვირთვა. არაერთი შემთხვევა არსებობს, როდესაც პროფესორთა სამუშაო განაკვეთი მნიშვნელოვნად აღემატება სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს. სტუდენტები ხშირად ასახელებენ ამ პრობლემას სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ურთიერთობისას. (გურჩიანი ქ., ბრეგვაძე თ., ჯანაშია ს., 2014).

დოქტორანტურის საფეხურზე ეფექტიანი სწავლის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელის სწორად შერჩევა. „აკადემიურ კონტექსტში ხელმძღვანელობა არის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტს გახდეს დამოუკიდებელი პროფესიონალი მკვლევარი და მეცნიერი თავის სფეროში, რომელსაც შეუძლია მოერგოს სხვადასხვა კვლევით ასპარეზს, იქნება ეს უნივერსიტეტი თუ ინდუსტრია“. (Pearson,Brew, 2002:135). შესაბამისად, სამეცნიერო ხელმძღვანელთან ეფექტიანი კომუნიკაციის შენარჩუნება, სადოქტორო საფეხურს წარმატებით დასრულების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.(Zhao, Golde & McCormick, 2007). სამეცნიერო ხელმძღვანელების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს როგორც დოქტორანტთა წარმატებას, ისე წარუმატებლობას (Lee, 2008, 268).

გულბრანდსენი ნაშრომში „Research Quality and Organisational Factors: An Investigation of the Relationship“ გამოყოფს სადისერტაციო ნაშრომის ხარისხის განმსაზღვრელ რამდენიმე ფაქტორს: ორიგინალურობა, სიმყარე, სამეცნიერო შესაბამისობა, რაქტიკული/საზოგადოებრივი სარგებლიანობა (Gulbrandsen, 2000).

ამჯად ალმუსაიდის კვლევა, მიზნად ისახავდა შეესწავლა ხელმძღვანელის როლი დოქტორანტთა უნარების განვითარებაში. კვლევა ცხადყოფს, რომ იმ სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაც ორი ხელმძღვანელი ჰყავდათ, უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. (Almusaid, 2020) ამავე მოსაზრებას ადასტურებს ივს და როულის კვლევა. კვლევაში მონაწილე სტუდენტთაგან რამდენიმეს ჰყავდა ორი აქტიური ხელმძღვანელი, იმ სტუდენტებმა, რომლებსაც ორი ხელმძღვანელი ჰყავდათ უფრო მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს თავიანთ თეზისზე მუშაობისას და კმაყოფილი იყვნენ მათი ზედამხედველობით (Ives, Rowley, 2005).

ტრიცინა ვილკინას კვლევა სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევის არაერთ ასპექტის მოიცავს. შედეგებისას ანალიზისას, ავტორი ხაზს უსვამს, რომ სტუდენტები იშვიათად ირჩევენ მდედრობითი სქესის ხელმძღვანელს, მათ მიაჩნიათ, რომ ხელმძღვანელის სქესი გავლენას ახდენს სადისერტაციო ნაშრომის ხარისხზე, უპირატესობას კი მამრობითი სქესის ხელმძღვანელებს ანიჭებენ. (Vilkina, 2007).

საკვლევი საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა ადასტურებს, რომ სადისერტაციო ნაშრომის ხარისხზე არაერთ ფაქტორს აქვს გავლენა. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სადისერტაციო ნაშრომის ხარისხს დიდწილად განსაზღვრავს საკითხის ორიგინალურობა და კვლევისთვის შესაბამისი მეთოდების შერჩევა. ჰემლინი ჯერ კიდევ 1993 წელს ჩატარებულ კვლევაში მიუთითებს, რომ ორიგინალურობა და სწორი მეთოდები კვლევის ხარისხის ყველაზე მაღალი რანგის ელემენტებია (Hemlin, 1993). სოუმანი საკუთარ კვლევაში გამოყოფს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებსაც ყველაზე დიდი გავლენა აქვს ხარისხიანი დისერტაციის შექმნაზე: სტუდენტის თვისებები, დაფინანსება, კვლევის დაბრკოლებები, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სამეცნიერო ხელმძღვანელი (Soumana, A. O., & Uddin, M. R.2017, 90). ამასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია

ფაკულტეტის ჩართულობა სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორატის ურთიერთის პროცესში. ფაკულტეტმა უნდა გააკონტროლოს ყველა ძირითადი მიმდინარე პროცესი (Maher, Thompson, 2004, 403). გრიუი აღნიშნავს, რომ აკადემიური წერის უნარი და კრიტიკული აზროვნება აუცილებელი კვლევის უნარებია დოქტორანტებისთვის. (Gyuris,2018). განხილულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან როლი თავად დოქტორანტს ენიჭება.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე კვლევის მიზანია შევისწავლოთ სამეცნიერო ხელმძღვანელის გავლენა სადისერტაციო ნაშრომის ხარისხზე. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა კვლევის **ჰიპოთეზები**:

- სამეცნიერო ხელმძღვანელთან მეგობრული დამოკიდებულება აუმჯობესებს დისერტაციის ხარისხს;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩართულობა დისერტაციის შინაარსობრივ ნაწილზე მუშაობისას, დადებითად აისახება სადისერტაციო ნაშრომის ხარისხზე;
- ფაკულტეტის მხარდაჭერა დადებითად აისახება დისერტაციის ხარისხზე;
- თანახელმძღვანელის არსებობა აუმჯობესებს დისერტაციის ხარისხს;
- სამეცნიერო ხელმძღვანელების სქესი განსაზღვრავს დისერტაციის ხარისხს;
- დოქტორანტის უნარი განსაზღვრავს დისერტაციის ხარისხს.

### კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომის ხარისხის განმაპირობებელი ფაქტორების სიღრმისეული შესწავლისთვის შერჩეულ იქნა კვლევის **თვისებრივი მეთოდი**. მეორე ეტაპზე ჩატარდა 15 პირისპირ ინტერვიუ. გამოიკითხა განსხვავებულ დარგებსა და უნივერსიტეტებში მოღვაწე 10 სამეცნიერო ხელმღვანელი და ფაკულტეტის 5 წარმომადგენელთან. რესპონდენტთა შერჩევისთვის გამოყენებულ იქნა ე.წ. „თოვლის გუნდის“ მეთოდი. ინტერვიუს დაწყებამდე თითოეულ რესპონდენტთან გაფორმდა კვლევის ეთიკით განსაზღვრული წერილობითი შეთანხმება კონფიდენციალურობის თაობაზე.

**რაოდენობრივი კვლევისთვის** თეორიული პოპულაცია განისაზღვრა 2011 წლიდან დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა რაოდენობით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2011 წლიდან დღემდე მოყოლებული დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა შეადგენს 5030. შესაბამისად 95%-იანი ნდობის დონით და ნდობის ინტერვალი +/– 4-ით შერჩევის ზომა იქნება 599. მონაცემების დამუშავება განხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის SPSS 26-ით და SPSS-ს მეშვეობით. მონაცემების შეგროვების ძირითადი წყაროა გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია.

პირველადი მონაცემები შეგროვდა სტრუქტურირებული კითხვარის დახმარებით, რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო სადოქტორო საფეხურის 80-მა კურსდამთავრებულმა და 40-მა დოქტორანტმა. კითხვარის შემუშავებისას გამოიყო შემდეგი თემატური ბლოკები: სამეცნიერო ხელძღვანელის ჩართულობა სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივ ნაწილში; სამეცნიერო ხელმძღვანელის მხარდაჭერა; სამეცნიერო ხელმძღვანელით ზოგადი კმაყოფილება; დოქტორანტის/კურსდამთავრებულის უნარების შეფასება; უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ჩართულობა სადისერტაციო ნაშრომის შექმნის პროცესში; სადისერტაციო ნაშრომის ხარისხის შეფასება.

კვლევაში სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლადების გასაზომად გამოვიყენეთ ლიკერტის სკალა. შესაბამისად, ლიკერტის სკალის დიაპაზონი იქნება 1 – 5: 1 = კატეგორიულად არ ვეთანხმები; 2 = არ ვეთანხმები; 3 = ნეიტრალური; 4 = ვეთანხმები; 5 = სრულიად ვეთანხმები (იხ. ცხრილი 1).

*ცხრილი 1: კითხვარის სტრუქტურა*

| ფაქტორები | | ელემენტები | სკალა |
|---|---|---|---|
| **სამეცნიერო ხელძღვანელის ჩართულობა სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივ ნაწილში** | ჩართულობა | 22 | **ლიკერტის სკალა** |
| **სამეცნიერო ხელმძღვანელის მხარდაჭერა** | მხარდაჭერა | 16 | |
| **სამეცნიერო ხელმძღვანელით ზოგადი კმაყოფილება** | კმაყოფილება | 7 | |
| **დოქტორანტის / კურსდამთავრებულის უნარების შეფასება** | უნარები | 8 | |
| **უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ჩართულობა სადისერტაციო ნაშრომის შექმნის პროცესში** | სტრუქტურული ერთეული ჩართულობა | 5 | |
| **სადისერტაციო ნაშრომის ხარისხის შეფასება** | ხარისხი | 9 | |

მონაცემთა ანალიზის მეთოდი მოიცავდა მონაცემთა რედაქტირებას, კოდირებას და შეჯამებას მართვად შეჯამებებად. მარტივი ანალიზის უზრუნველსაყოფად, კითხვარები დაშიფრული იყო კვლევის თითოეული ცვლადის მიხედვით, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სიზუსტე ანალიზის დროს. ანალიზი ჩატარდა სოციალური მეცნიერებების სტატისტიკური პაკეტის (SPSS). გამოთვლილი მონაცემები გაანალიზდა აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით, სიხშირეების, საშუალო და პროცენტების ჩათვლით. დამოკიდებულებს შორის დასკვნების გამოსატანად გამოყენებული იქნა მრავალჯერადი წრფივი რეგრესიის ანალიზი ქვემოთ მოცემული ემპირიული მოდელის საშუალებით.

ემპირიულ მოდელში გამოყენებული ცვლადები და მათ შორის დამოკიდებულება მოცემულია სქემა 1-ში.

$$DQ_{it} = \beta_0 + \beta_1 DT_{it} + \beta_2 DC_{it} + \beta_3 SS_{it} + \beta_4 SK_{it} + \beta_5 US_{ti} + \beta_6 GE_{it} + \beta_7 CS_{it} + \varepsilon_{it}$$

*სქემა 1: კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო*



## კვლევის შედეგები

**თვისებრივი კვლევისას** მიღებულმა შედეგებმა საშუალება მოგვცა, დაგვენახა როგორ ხდება ქართულ რეალობაში სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევა, ძირითადად რა მიდგომას მიმართავენ სტუდენტები. სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ინტერვიუმ ნათლად წარმოაჩინა, რომ დოქტორანტთა უდიდეს ნაწილს არ აქვს შესაბამისი გამოცდილება და მზაობა სამეცნიერო საქმიანობისთვის. მათი ინტერესები ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მიღება და არა კვლევით საქმიანობას. ფაკულტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ყოველწლიურად აკეთებენ აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის ანალიზს, თუმცა შედეგებს ხშირად არ ითვალისწინებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელების დატვირთვა აღემატება დაშვებული დროის რაოდენობას. თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა კიდევ არაერთი პრობლემა, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დისერტაციის ხარისხზე.

ჰიპოთეზების ტესტირებისათვის გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები, კერძოდ მრავალფაქტორიან რეგრესული განტოლება. ცხრილი 1 გვიჩვენებს მოდელში შემავალი ცვლადების საშუალოს და სტანდარტულ გადახრას. ცხრილიდან ჩანს, რომ დისერტაციის ხარისხის, სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილების დონე და კურსდამთავრებულთა უნარი საშუალოზე მაღალი ქულით არის შეფასებული, ხოლო სტანდარტული გადახრა მერყეობს 0,84-სა და 1,5-ის დიაპაზონში.

*ცხრილი 2: მოდელის აღწერილობითი სტატისტიკა*

| | № | მინიმუმი | მაქსიმუმი | მნიშვნელობა | სტანდარტული გადახრა |
|---|---|---|---|---|---|
| **DT** | 81 | 1.00 | 5.00 | 3.3185 | 1.51221 |
| **DC** | 81 | 1.00 | 5.00 | 3.2892 | 1.37729 |
| **SS** | 81 | 1.13 | 5.00 | 3.5525 | 1.25307 |
| **SET** | 81 | 1.00 | 5.00 | 3.7549 | 1.10662 |
| **SK** | 81 | 1.75 | 5.13 | 3.7917 | .84049 |
| **US** | 81 | 1.00 | 6.00 | 3.3741 | 1.03535 |
| **DQ** | 81 | 2.00 | 5.00 | 3.7562 | 1.03605 |

ცხრილი 2-ში მოცემულია რეგრესული განტოლების შედეგები, რომელშიც დამოკიდებული ცვლადია შესრულებული დისერტაციის ხარისხი. ცხრილიდან ჩანს, რომ ხელმძღვანელის ტექნიკური მხარდაჭერა, სამეცნიერო ხელმძღვანელის მხარდაჭერა, კურსდამთავრებულთა უნარები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა დადებით გავლენას ახდენს დისერტაციის ხარისხზე, თუმცა ამ ცვლადებს შორის კურსდამთავრებულის უნარები სტატისტიკურად მნიშნელოვანი ცვლადია, რომელიც დადებით გავლენას ახდენს დისერტაციის ხარისხზე.

*ცხრილი 3: რეგრესული განტოლების შედეგები (დამოკიდებული ცვლადი: სადოქტორო დისერტაციის ხარისხი)*

| | | არასტანდარტული კოეფიციენტები | | სტანდარტული კოეფიციენტები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **Model** | | **B** | **Std. Error** | **Beta** | **t** | **Sig.** |
| | (Constant) | 0,761 | 0,569 | | 1,337 | 0,186 |
| | DT | 0,148 | 0,116 | 0,214 | 1,277 | 0,206 |
| | DC | -0,139 | 0,137 | -0,183 | -1,017 | 0,313 |
| | SS | 0,177 | 0,155 | 0,214 | 1,141 | 0,258 |
| | **SK** | **0,713** | **0,132** | **0,582** | **5,394** | **0,000** |
| | US | 0,055 | 0,065 | 0,056 | 0,852 | 0,397 |
| | GE | -0,002 | 0,161 | -0,001 | -0,011 | 0,991 |
| | CS | -0,361 | 0,137 | -0,175 | -2,631 | **0,010** |
| | R Square | 0,737 | | | | |
| | Adjusted R Square | 0,711 | | | | |

სამეცნიერო ხელძღვანელის ჩართულობა სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივ ნაწილში, სამეცნიერო ხელმძღვანელის სქესი, თანახელმძღვანელის არსებობა უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფება დისერტაციის ხარისხიან შესრულებასთან, თუმცა აღნიშნული ცვლადები არ არის სტატისტიკურად მნიშნელოვანი. დეტერმინაციის კოეფიციენტი არის 0,73 რაც ნიშნავს, რომ დამოკიდებული ცვლადების ვარიაცია 73%-ით ხსნის დამოკიდებული ცვლადის ვარიაციას.

*ცხრილი 4: რეგრესიის განტოლების შედეგები (დამოკიდებული ცვლადი: ხელმძღვანელით კმაყოფილება)*

| კოეფიციენტები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მოდელი** | | **არასტანდარტული კოეფიციენტები** | | **სტანდარტული კოეფიციენტები** | | |
| | | **B** | **Std. Error** | **Beta** | **t** | **Sig.** |
| | (Constant) | 1,356 | 0,479 | | 2,831 | 0,006 |
| | DT | 0,140 | 0,097 | 0,192 | 1,438 | 0,155 |
| | DC | -0,015 | 0,115 | -0,018 | -0,128 | 0,899 |
| | **SS** | **0,575** | **0,131** | **0,655** | **4,401** | **0,000** |
| | SK | 0,141 | 0,111 | 0,109 | 1,268 | 0,209 |
| | US | -0,079 | 0,055 | -0,076 | -1,447 | 0,152 |
| | **GE** | **-0,253** | **0,135** | **-0,101** | **-1,868** | **0,066** |
| | CS | 0,079 | 0,115 | 0,036 | 0,683 | 0,497 |
| | R Square | 0,834 | | | | |
| | Adjusted R Square | 0,817 | | | | |

ცხრილი 2 გვიჩვენებს სამეცნიერო ხელმძღვანელის გავლენას კურსდამთავრებულთა კმაყოფილებაზე. ცხრილიდან ჩანს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელის მხარდაჭერის და სამეცნიერო ხელმძღვანელის სქესის გავლენა კურსდამთავრებულთა კმაყოფილებაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. თუმცა, ხელმძღვანელის მხარდაჭერა დადებით გავლენას ახდენს კმაყოფილებაზე, მაშინ როდესაც სქესი, კერძოდ კი მდედრობითი სქესის სამეცნიერო ხელმძღვანელი, უარყოფით გავლენას ახდენს კმაყოფილებაზე. დანარჩენი ცვლადები არ არის სტატიკურად მნიშვნელოვანი. ცხრილში მოცემული დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,83 გვიჩვენებს, რომ დამოკიდებული ცვლადების ვარიაცია 83%-ით ხსნიან დამოკიდებული ცვლადის ვარიაციას.

### დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზისა და განსჯის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მიღებულმა შედეგებმა განაპირობა. ჩვენ მიერ შემუშავებული ჰიპოთეზებიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი აღმოჩნდა მხოლოდ დოქტორანტის უნარები და დადასტურდა ჰიპოთეზა: **„დოქტორანტის უნარი განსაზღრავს დისერტაციის ხარისხს“**. რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზმა ასევე ცხადყო, რომ დისერტაციის შესრულების ხარისხზე დადებითი გავლენა აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელთან მეგობრულ დამოკიდებულებას, სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩართულობას დისერტაციის შინაარსობრივ და ტექნიკურ ნაწილში, ფაკულტეტის მხარდაჭერას, სამეცნიერო ხელმძღვანელის სქესს, თანახელმძღვანელის არსებობას. მიუხედავად ამისა, არცერთი მათგანი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი, შესაბამისად არ დადასტურდა ჰიპოთეზები: **„სამეცნიერო ხელმძღვანელთან მეგობრული დამოკიდებულება აუმჯობესებს დისერტაციის ხარისხს“; „სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩართულობა დისერტაციის შინაარსობრივ ნაწილზე მუშაობისას, დადებითად აისახება სადისერტაციო ნაშრომის ხარისხზე“; „ფაკულტეტის მხარდაჭერა დადებითად აისახება დისერტაციის ხარისხზე“; „სამეცნიერო ხელმძღვანელების სქესი განსაზღვრავს დისერტაციის ხარისხს“; „თანახელმძღვანელის არსებობა აუმჯობესებს დისერტაციის ხარისხს“**.

**რეკომენდაციების** სახით შეიძლება ითქვას, სადოქტორო პროგრამებზე მიღების წინაპირობების გამკაცრებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტმა იზრუნოს სამეცნიერო ხელმძღვანელების კომპეტენციის გაზრდაზე. აღნიშნული საკითხის გააქტიურება შედეგად მოგვცემს იმას, რომ დოქტორანტურაზე ჩააბარებენ ის სტუდენტები, რომლებსაც რეალურად აქვთ მეცნიერული ინტერესები. შემცირდება სამეცნიერო ხელმძღვანელების დაქვემდებარებაში მყოფი დოქტორანტების რაოდენობაც. სამეცნიერო ხელმძღვანელები და დოქტორანტები საჭირო დროს და რესურსს დაუთმობენ დისერტაციაზე მუშაობას. ამ საკითხების თანხვედრა კი გააუმჯობესებს ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში შესრულებული სადოქტორო დისერტაციების ხარისხს.

## გამოყენებული ლიტერატურა


დარჩია, ი. სადოქტორო განათლება საქართველოში ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის კონტექსტში“, თბილისი.

გურჩიანი, ქ, ბრეგვაძე, თ., ჯანაშია, ს., დალაქიშვილი, მ., რჩეულიშვილი, ნ., ცოტნიაშვილი, ქ., (2014). სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში, ტემპუსი, კვლევის ანგარიში ზალცბურგის პრინციპები, 2005.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი „უმაღლესი საგანმანათლებ-ლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო“.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=102

Ali, P and Watson, P and Dhingra, K (2016) Postgraduate research students' and their supervisors' atti-tudes towards supervision. International Journal of Doctoral Studies, 11, 227-241.

Almusaid A, (2020), "The role of the supervisor on developing phd students skills". International confer-ence of humanitis,social and education sciences.

Gulbrandsen, M. 2000. Research Quality and Organisational Factors: An Investigation of the Relationship. Trondheim: Norwegian University of Science and Technology.

Gyuris, E. (2018). Evaluating the effectiveness of postgraduate research skills training and its alignment with the Research Skill Development framework. Journal of University Teaching & Learning Practice, 15(4), 5.

Hemlin, S. 1993. „Scientific Quality in the Eyes of the Scientist. A Questionnaire Study. Scientometrics 27: 3-18.

Ives, G. & Rowley, G. (2005). Supervisor selection or allocation and continuity of supervision: Ph.D. stu-dents' progress and outcomes, Studies in Higher Education Journal Vol. 30.

Lee, A. 2008. How Are Doctoral Students Supervised? Concepts of Doctoral Research Supervision. Studies in Higher Education 33 (3): 267-281. doi:10.1080/03075070802049202.

Maher, M. A., Ford, M. E., & Thompson, C. M. (2004). Degree progress of women doctoral students: Fac-tors that constrain, facilitate, and differentiate. The Review of Higher Education, 27(3), 385-408.

Pearson, M., & Brew, A. (2002). Research traning and supervision development. Studies in Higher Educa-tion, 27(2), 135-150.

Soumana, A. O., & Uddin, M. R. (2017). Factors Influencing the Degree Progress of International PhD Stu-dents from Africa: An Exploratory Study. Üniversitepark Bülten, 6(1), 79-94.

Vilkinas, T, (2007) An Exploratory Study of the Supervision of Ph.D./Research Students' Theses, Innovative Higher Education 32(5):297-311, University of South Australia.

Zhao, C-M., Golde, C.M. & McCormick, A.C. (2007). More than a signature: How advisor choice and advisor behaviour affect doctoral student satisfaction. Journal of Further and Higher Education, 31, 263-281.

# IMPROVING THE QUALITY OF EARLY EDUCATION SERVICES IN GEORGIA (DIAGNOSTIC SELF-ASSESSMENT PROCESS OF PRIVATE KINDERGARTENS AND PROFESSIONAL DEVELOPMENT NEEDS OF TEACHING STAFF)

**Ketevan Aptarashvili[1], Eka Luashvili[2]**

[1]Associate professor, [2]Assistant professor

*East European University*

**Abstract**

Improving the quality of early childhood education services in Georgia is hampered by many challenges. The most important challenge in this direction is the educational staff, who must be well trained, supported in the direction of professional development and highly qualified to be able to introduce child-centered approaches and methodologies that would effectively support child development and well-being, as well as implement the necessary changes for quality improvement. To support professional development, practical training and retraining, pre-school education programs should be available for early childhood educators (at the current stage, a total of 5 educational institutions across Georgia have been accredited on these trainings/accreditation is in progress).

External quality assurance is also an important process in improving the quality of early education services in Georgia. It is worth noting that in this direction in 2023, the process of supporting the diagnostic self-assessment of kindergartens started in Georgia, the study of which is an important innovation.

Therefore, using secondary data analysis, as well as quantitative and qualitative research methods, the process of diagnostic self-assessment of private kindergartens aimed at improving the quality of early education services in Georgia is studied and challenges are identified; The existing needs for the professional development of the teaching staff were identified as well.

***Keywords:*** *Early and preschool education, external quality*

# IMPROVING THE QUALITY OF EARLY EDUCATION SERVICES IN GEORGIA (DIAGNOSTIC SELF-ASSESSMENT PROCESS OF PRIVATE KINDERGARTENS AND PROFESSIONAL DEVELOPMENT NEEDS OF TEACHING STAFF)

**Ketevan Aptarashvili[1], Eka Luashvili[2]**

[1]Associate professor, [2]Assistant professor

*East European University*

## Introduction

Preschool education is the most important stage in a child's development and contributes to the readiness for school and later life. In order to improve the quality of early education services, it is necessary to create a supportive environment and conditions in which parents, family, educational institutions, the state and society will jointly participate.

International organizations such as the United Nations Children's Fund (UNICEF), the United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO), the Organization for Economic Co-operation and Development (OECD) and others pay special attention to analyzing early education policies in different countries and looking for research-based ways to improve systems. In this regard, it is worth noting the standards established by the member countries of the Economic Cooperation and Development Organization, the fulfillment of which is considered as an indicator of the status of the quality and availability of preschool education by the countries.

It should be noted that the national rate of children's participation in the preschool education system (69.5%) in Georgia is much lower than in Europe (95%). This percentage is even lower among ethnic minority groups, children with disabilities, socially vulnerable and rural families. In addition, the large number of children in classes, the scarcity of educational or entertainment resources, the low qualifications of educators have a negative impact on the quality of preschool education (Unicef).

In 2016, the law of Georgia **"On Early and Preschool Education and Education"** was developed to solve this problem, which included important innovations to improve the quality of preschool education and access to it throughout Georgia. One of the main innovations of this law is the development of mandatory national standards and the introduction of a standards-based authorization system for all private and public preschool education institutions. In 2023, a temporary rule was approved, "On the authorization of early childhood education and/or preschool and education institutions, as well as the suspension and termination of the institution's authorization", which establishes the authorization standards, the conditions for their fulfillment and the procedures for monitoring, as well as defines the institution's every year by mandatorily carrying out self-assessment processes. According to the mentioned rule, the objectives of the institution's self-assessment are to assess the compliance of the institution's conditions with the authorization standards and to promote the institution's continuous development through the use of evidence-based decision-making mechanisms (Article 3).

In Georgia, interesting steps were taken in relation to early childhood educators and state standards, and in October 2017, the following state standards related to preschool education were approved: the state standard of early and preschool education; professional standard of early childhood educators; According to the professional standard of the early childhood educators, the following requirement has been defined for the education of an educator-teacher to be employed in early and preschool education and education institutions from September 1, 2024: the teacher must either have a bachelor's academic degree in the field of preschool education and education, or at least a bachelor's degree or an academic degree equivalent to it in the direction of education, humanitarian sciences, psychology, art and have passed the training of teachers organized

by the municipality on the basis of training-modules for the professional development of teachers developed by the Ministry of Education and Science of Georgia (Article 4);

The adoption **of the Law of Georgia on Early and Preschool Education and the Development of National Standards** for Early and Preschool Education were very important milestones in terms of improving the quality and accessibility of preschool education services in Georgia. Thus, based on the above, **the purpose of the article** is to study the diagnostic self-assessment process of kindergartens aimed at improving the quality of early education services in Georgia and the professional development needs of educational staff.

**Based on the goal, the following research questions were identified:**

- Studying the results of diagnostic self-assessment of private kindergartens and identifying challenges;
- Identifying existing problems for the professional development of educational staff and researching the need to develop undergraduate educational programs.

Based on the research objective and issues, a content analysis of the diagnostic self-assessment of 94 private kindergartens was carried out, at the same time a quantitative study was conducted, the target group of which was nurseries and associations of nurseries.

**Research part – diagnostic self-assessment of private kindergartens**

In order to promote the process of self-assessment of kindergartens, the LEPL the National Center for Educational Quality Enhancement in 2023 carried out a diagnostic self-assessment of kindergartens, in which 58 specialists were involved. For 2047 kindergartens registered in the self-assessment process (including 310 – private kindergartens, 1737 – public kindergartens), the implementation of diagnostic self-assessment was the legal basis for the implementation of activities (EQE). In addition, the 7th goal of the 2023 action plan of LEPL the National Center for Educational Quality Enhancement is noteworthy, which concerns the existence of effective external mechanisms for early and preschool education and education quality assurance, and considers the implementation of the following activities for the research topic of the article: piloting the institution's self-assessment electronic platform, implementing the institution's self-assessment process and developing a methodology for analyzing the results of the self-assessment; The budget of the sub-programme for the support of kindergarten diagnostic self-assessment for the mentioned activities is 621,000 GEL (EQE).

According to the form and implementation rule of self-evaluation of early education and/or preschool education institutions, the process of self-evaluation of preschool education institutions includes the involvement of the following parties: a) administration of the institution; b) educational staff; c) technical staff; d) parents/legal representatives; e) a representative of the relevant structural unit of the municipality's town hall and representatives of kindergarten associations (in the case of a public institution). The parties involved in the self-assessment fill out a self-assessment questionnaire, which includes the following information: a) description of the institution's compliance with the authorization standards/components/criteria; b) Evidence confirming compliance; c) other information, for the purposes of implementing a systematic assessment of the quality of early and preschool education and education system (Article 4).

Based on the above, it is interesting to analyze the process of diagnostic self-assessment of private kindergartens, which has not yet been implemented and is a **novelty of the article**. The article provides a content analysis of self-assessment of 94 private kindergartens, covering all regions of Georgia, namely: a general overview of the results of self-assessment, the main findings of work with private kindergartens in relation to authorization standards, and a summary of work with private kindergartens.

From the analysis of self-assessments of private kindergartens, the following positive context and problems can be seen:

- **Positive context:** 1) Private kindergartens positively assess the need for kindergarten reform and express gratitude for support; 2) have a high willingness to ensure the implementation of authorization standards; 3) are not inclined to conveyor approaches and try to make a successful positioning with their own individual offers;

- **Identified challenges:** 1) the problem of understanding the content of the authorization standards and, even more, of determining the mechanisms of its implementation; 2) lack of experience working on documents; 3) low culture of business communication; 4) shortage of personnel with appropriate competence and experience; 5) little experience of cooperation with interested parties; 6) financial instability.

The analysis of self-assessments of private kindergartens in relation to the authorization standards reveals that there are significant challenges in terms of compatibility with all four authorization standards. The experience of planning, implementing and evaluating processes in accordance with pre-developed procedures is very scarce or almost non-existent; The results of the self-assessment provide the basis for saying that in private kindergartens, only a few of the four standards meet the requirements of the requirements.

More specifically, in relation to the **first standard** (mission and strategic development), the data analysis shows that the majority of private kindergartens do not have a written and shared mission, vision and values. In addition, there is no document on the methodology for developing the mission, vision and values. The challenge for kindergartens is to develop strategic and action plans, since they do not have experience in developing strategic documents. Accordingly, neither the methodology of their development is defined in written form, nor the similar practice.

The **second standard** of authorization examines curriculum planning, implementation, and its evaluation and development. The analysis of self-assessments of private kindergartens according to the second standard showed that they do not have the practice of having curriculum planning and development methodology in written form, they carry out the educational process using existing curricula and/or with the methodology developed by themselves; In the direction of curriculum evaluation and development, the majority of private kindergartens implement only certain elements of this component in practice, although it does not have a written form and does not take place regularly.

The **third standard** of authorization (family and community involvement) examines the planning, implementation and evaluation of cooperation. The analysis of self-assessments shows that in kindergartens there is a practice of cooperation with the child's parents/legal representatives, although cooperation with the community is a challenge. In addition, kindergartens do not have a predetermined methodology for cooperation with parents. Regarding the implementation and evaluation of cooperation, there is a practice of communicating with the child's parents/legal representatives and informing them about various issues related to the child's development, although similar communication with the community is not carried out. There is also no evaluation of the existing cooperation by kindergartens and care for development based on it.

Regarding the analysis of self-assessments in connection with the **4$^{th}$ standard** (support of upbringing and educational process), the following challenges were identified: the staff in private kindergartens needs both qualitative and quantitative growth. In kindergartens, there is no practice of having staff development support mechanisms and there is no internal quality assurance system, regulations/evidence related to process management. In addition, the regulations/evidences governing the legal relationship with staff and children are not perfect. Financial planning and management policies/documents are in some cases not implemented or not developed at all, and the infrastructure requires significant interventions.

Thus, the results of the presented research showed that the process of supporting diagnostic self-assessment of kindergartens was necessary, since private kindergartens did not have the experience of conducting similar processes, and the analysis of self-assessment showed very important challenges. In the wake of the implementation of authorization standards, it is important for the Center to continue providing active support based on the identified needs (eg trainings on document development, informational meetings to properly organize the infrastructure, etc.). Strengthening of external quality assessment processes (authorization of kindergartens, self-assessment, monitoring) will significantly contribute to the improvement of the quality of early education services in Georgia.

### Research part – professional development needs of educational staff

According to the data of 2023, there are 2027 pre-school and education institutions (EQE) in Georgia, and both the number of public pre-school and education institutions and the number of employees in them are

increasing (see diagram 1). Unfortunately, there is still no open data on how many early childhood educators work in preschools and education institutions, what is their compliance with the standard, although the above-mentioned diagnostic self-assessment process in kindergartens will make complete statistical information available to professional circles in the near future. In addition to the above, the authorization process may include the need to replace some of the pre-service teachers employed until September 1, 2024 with new staff, as the qualifications of some of them may not meet the requirements of the professional standard of pre-service teachers. In addition, authorization is granted to the preschool and education institution for a period of 4 years. Accordingly, those institutions where after the next 4 years teachers of retirement age may voluntarily leave the workplace, it will be necessary to fill the deficit, which will be provided by preschool educational bachelor programs.

Some of the findings and statistics from a study conducted by UNICEF in 2018 are interesting. The authors of the study (Ian Peters, Hester Hulpia) emphasize the abundance of children in the group in preschool and educational institutions, which has a significant negative impact on the quality of the educational process. Thus, in order to improve the quality and working conditions for staff, to reduce the number of children in each group in the city, there is a need for more groups and early childhood educators. According to the same study, pre-school institutions are facing a significant problem, since most of the staff do not have qualifications, or have such qualifications that are not related to early education and upbringing of children. According to the data obtained from 57 municipalities, 44% of early childhood educators do not have qualifications. In addition, 50% of principals do not have education related to early childhood education and training. The study showed that 13 municipalities do not have any early childhood educators with a bachelor's degree in early childhood care and education. A problem for many municipalities is the lack of specialized support staff (specialized teachers, psychologists, etc.) with relevant qualifications. In the recommendation part of the same study, it is directly indicated that new programs should be created in the field of preschool education at the level of higher education and the professional standard of the educator should be the basis of the reform of university education and further professional development.

Thus, it is very interesting at the current stage what the situation is in terms of the needs of creating higher education programs of preschool education, whether there is a shortage of qualified educational personnel in preschool education institutions. In order to study the mentioned issues, a quantitative survey was conducted and an online questionnaire was sent to 370 institutions, of which 303 were private kindergartens, and 67 were associations of municipal kindergartens that manage pre-school and education institutions in their municipality. 35 associations of kindergartens, which manage a total of 734 preschools, took part in the survey. Accordingly, the results of the survey reflect **information about 1036 kindergartens**. All types of institutions of all regions and settlements took part in the survey.

In total, 1253 groups operate in kindergartens participating in the survey, in which 31369 children receive preschool education services. Unlike private kindergartens, municipal kindergartens maintain a waiting list. If for any reason an already enrolled child does not go to kindergarten, a child is replaced from the existing waiting list.

Associations of kindergartens, when asked whether there is unmet demand (whether there are more applicants for enrollment in their kindergartens than the kindergarten can accept), gave a positive answer (55.6%). At the same time, it turns out that there are approximately 230 children on the waiting list in the surveyed municipal kindergartens, although we may assume that the unmet demand is much higher, because part of the kindergartens avoided the mentioned question and the reason may be the lack of data for them.

The results of the research showed that there is a shortage of all types of qualified personnel in preschool institutions. However, special teachers (58.8%), speech therapists (56%), child psychologists (39.7%) and early childhood educators (37.7%) were named most often. In addition, to the question of how many staff the institutions need to add, it was found out that there is a shortage of approximately 381 early childhood educators, 161 teachers, 133 special educators, 120 speech therapists, etc. in the municipal kindergartens/private kindergartens of the surveyed institutions. Obviously, these data cannot be extrapolated to the whole of Georgia, and it is not possible to estimate the number of personnel shortages at the moment, but the shortage of personnel in the field of preschool education is visible.

In addition to the shortage of staff, it was interesting to find out how qualified the employees of preschool and education institutions are according to the interviewees. As can be seen in **diagram 2**, most of the respondents give an average assessment to the qualifications of the staff. Very negative and very positive evaluations are significantly less. It was found that only 27% of early childhood educator working in the surveyed institutions have a bachelor's degree or an equivalent academic degree in the field of preschool education and education.

The respondents evaluated on a 5-point scale how difficult it is in their opinion to find a qualified staff for the position of early childhood educator at the level of the country, region, municipality. In all three cases, the respondents believe that it is very difficult to find such a staff, although they perceive the greatest difficulty in finding a qualified staff at the municipality level – 1.94 (in the country as a whole 2.11, in the region 2.1).

The results of the research show that the forecast of the respondents for the next 3 years is as follows: 61.5% believe that it will be necessary to add an early childhood educator, and 21.2% believe that it may be necessary to replace the existing staff with a new one. The majority of associations of kindergartens state that in the next 3 years, the construction of a new kindergarten or the rehabilitation/expansion of the existing one is planned in their municipality. According to the responses of the association of kindergartens, 91 kindergartens should be built (subject to capital rehabilitation) in their municipality during the next 3 years. According to available information, the new kindergartens will be designed for 255 groups in total, which means that access to preschool education will increase and institutions will need to hire new staff. According to the existing state standards, from September 1, 2024, preschool institutions will not be able to employ a person who does not have a formal education of a preschool education specialist as an early childhood educator.

The results regarding the distribution of early childhood educators by age groups are interesting. As a whole, a quarter of educators working in the surveyed institutions are over 56 years old, which means that at least some of them will reach retirement age in the next few years and the institutions will have to find new staff.

The overwhelming majority of respondents (93.2%) agree that there is a need to have a higher education program that will train early childhood education and education specialists.

In conclusion, it can be said that the process of diagnostic self-assessment of pre-school and educational institutions showed serious challenges in connection with all standards of authorization. The content analysis of self-assessments of private kindergartens revealed that it was very important to strengthen external quality mechanisms and support kindergartens for improving the quality of early education services in Georgia. Both secondary data analysis and survey results show that pre-school and early childhood education institutions need significant support for professional developmen. At the same time, there is a shortage of qualified personnel, and the authorization process, as well as the development of the private sector and, accordingly, the growing competition in the field give grounds for saying that the demand for qualified early childhood educators will increase. Therefore, it is necessary to develop higher education programs that ensure the training of educators in accordance with national and international standards, in the wake of the implementation of the mentioned higher education programs, to strengthen the role of universities and increase their contribution to support the reform of early and preschool education, to implement practical trainings, connections and promotion of exchange programs, cooperation on joint research projects with European universities that provide high quality education.

## REFERENCES


Early childhood education (ECE) diagnostic study in Georgia (2022) https://www.unicef.org/georgia

Self-evaluation form of early education and/or pre-school education institution and implementation procedure https://www.eqe.ge/res/

Peters, I., Hulpia, H., (2018). Research on the quality of pre-school education in Georgia (brief overview), UNICEF https://www.unicef.org/georgia/media/1231/file

Parliament of Georgia (08.06.2016) Law of Georgia "On Early and Preschool Education and Education"

Resolution of the Government of Georgia 76 (21.02.2023) on the approval of the temporary rule for the authorization of the early education and/or preschool education institution, as well as the suspension and termination of the authorization of the institution https://matsne.gov.ge/ka/document/view/5727272?publication=0

Resolution of the Government of Georgia No. 488 (30.10.2017) on approval of state standards for early and preschool education and education https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798?publication=0

Resolution of the Government of Georgia No. 478 (27.10.2017) on the approval of the teacher's professional standard: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404?publication=0

2023 action plan of the 2021-2025 strategy of LEPL the National Center for Educational Quality Enhancement https://eqe.ge/res/NewFolder/

Web-page of LEPL the National Center for Educational Quality Enhancement: https://eqe.ge/ka/page/parent/1015/tvitshefasebis-gankhorcieleba

LEPL the National Center for Educational Quality Enhancement, Early and Preschool Education and Educational Institutions https://eqe.ge/ka/page/static/1050/adreuli-da-skolamdeli-aghzrdisa-da-ganatlebis-datsesebulebebi

## Annexes:




*Figure 1. Data on public preschool education and educational institutions*




*Diagram 2. Evaluation of staff qualifications*

# ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში (კერძო ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების პროცესი და საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებები)

**ქეთევან აფთარაშვილი[1], ეკა ლუაშვილი[2]**

[1]ასოცირებული პროფესორი, [2]ასისტენტ-პროფესორი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## ანოტაცია

ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას საქართველოში ბევრი გამოწვევა აფერხებს. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ამ მიმართულებით არის საგანმანათლებლო პერსონალი, რომელიც უნდა იყოს კარგად მომზადებული, მხარდაჭერილი პროფესიული განვითარების მიმართულებით და მაღალკვალიფიციური, რათა შეძლოს ბავშვზე ორიენტირებული მიდგომებისა და მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც ეფექტიანად დაეხმარებოდა ბავშვის განვითარებასა და კეთილდღეობას, ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო ცვლილებების განხორციელებას. პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აღმზრდელ-პედაგოგებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომზადებისა და გადამზადების პრაქტიკული ტრენინგები, უმაღლესი სკოლამდელი განათლების პროგრამები (რომლებიც მიმდინარე ეტაპისთვის საქართველოს მასშტაბით სულ 5 საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს აკრედიტებული/მიმდინარეობს აკრედიტაცია).

საქართველოში ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაში ასევე მნიშვნელოვანი პროცესია გარე ხარისხის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ მიმართულებით 2023 წელს დაიწყო ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების მხარდაჭერის პროცესი, რომლის შესწავლაც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეორეული მონაცემების ანალიზის, ასევე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით შესწავლილია საქართველოში ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მიმართული კერძო ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების პროცესი და იდენტიფიცირებულია გამოწვევები; ასევე, გამოიკვეთა საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის არსებული საჭიროებები.

***საკვანძო სიტყვები:*** *ადრეული და სკოლამდელი აღზრდა, სკოლამდელი განათლება, გარე ხარისხი*

# ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში (კერძო ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების პროცესი და საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებები)

**ქეთევან აფთარაშვილი[1], ეკა ლუაშვილი[2]**

[1]ასოცირებული პროფესორი, [2]ასისტენტ-პროფესორი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## შესავალი

სკოლამდელი განათლება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში და ხელს უწყობს სკოლისა თუ შემდგომი ცხოვრებისთვის მზაობას. ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭიროა ხელშემწყობი გარემოსა და პირობების შექმნა, რომელშიც ერთობლივად მიიღებენ მონაწილეობას მშობლები, ოჯახი, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სახელმწიფო და საზოგადოება.

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და სხვა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ქვეყანაში ადრეული განათლების პოლიტიკის ანალიზსა და სისტემების გასაუმჯობესებლად კვლევაზე დაფუძნებული გზების ძიებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილება ქვეყნების მიერ სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის სტატუსის ინდიკატორადაა მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი განათლების სიტემაში ბავშვების ჩართულობის ეროვნული მაჩვენებელი (69,5%) საქართველოში ევროპულთან შედარებით ბევრად დაბალია (95%). ეს პროცენტი კიდევ უფრო დაბალია ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებში და სოციალურად დაუცველი და სოფლად მცხოვრები ოჯახების ბავშვებში. გარდა ამისა, კლასებში ბავშვების დიდი რაოდენობა, საგანმანათლებლო თუ გასართობი რესურსების სიმწირე, აღმზრდელების დაბალი კვალიფიკაცია უარყოფით ზეგავლენას ახდენს სკოლამდელი განათლების ხარისხზე (Unicef).

აღნიშნულიდან გამოსავლისთვის, 2016 წელს შემუშავდა საქართველოს კანონი **„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“**, რომელშიც შევიდა მნიშვნელოვანი სიახლეები საქართველოს მასშტაბით სკოლამდელი განათლების ხარისხისა და მასზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით. ამ კანონის ერთ-ერთი მთავარი სიახლეა სავალდებულო ეროვნული სტანდარტების შემუშავება და სტანდარტებზე დაფუძნებული ავტორიზაციის სისტემის შემოღება ყველა კერძო და საჯარო სკოლამდელი განათლების დაწესებულებისთვის. 2023 წელს დამტკიცდა დროებითი წესი „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ“, რომელიც ადგენს როგორც ავტორიზაციის სტანდარტებს, მათი დაკმაყოფილების პირობებსა და მონიტორინგის განხორციელების პროცედურებს, ასევე განსაზღვრავს დაწესებულების მიერ ყოველწლიურად სავალდებულოდ **თვითშეფასების** განხორციელების პროცესებს. აღნიშნული წესის თანახმად, დაწესებულების თვითშეფასების მიზნებია დაწესებულების პირობების შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან და დაწესებულების უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების გამოყენების გზით (მუხლი 3).

საინტერესო ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში აღმზრდელ-პედაგოგთან და სახელმწიფო სტანდარტებთან დაკავშირებით და 2017 წლის ოქტომბერში დაამტკიცა სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტები: ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი; აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი; აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში 2024 წლის 1 სექტემბრიდან დასასაქმებელი აღმზრდელ-პედაგოგის განათლების შესახებ განისაზღვრა შემდეგი მოთხოვნა, რომ ან უნდა ფლობდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს, ან სულ მცირე ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს განათლების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ფსიქოლოგიის, ხელოვნების მიმართულებით და გავლილი ჰქონდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება (მუხლი 4).

**ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიღება** და ადრეული და სკოლამდელი განათლების **ეროვნული სტანდარტების შემუშავება** ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპები იყო საქართველოში სკოლამდელი განათლების სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, **სტატიის მიზანს** წარმოადგენს საქართველოში ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მიმართული ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების პროცესისა და საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების შესწავლა.

**მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი საკითხები:**

- კერძო ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების შედეგების შესწავლა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის არსებული პრობლემების გამოკვეთა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საჭიროების კვლევა.

საკვლევი მიზნიდან და საკითხებიდან გამომდინარე განხორციელდა 94 კერძო ბაღის დიაგნოსტიკური თვითშეფასების კონტენტ-ანალიზი, ამავდროულად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის სამიზნე ჯგუფიც იყო ბაგა-ბაღები და ბაგა-ბაღების გაერთიანებები.

### კვლევითი ნაწილი – კერძო ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასება

ბაღების თვითშეფასების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2023 წელს განახორციელა ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასება, რომელშიც ჩართული იყო 58 სპეციალისტი. თვითშეფასების პროცესში რეგისტრირებული 2047 ბაღისთვის (მათ შორის 310 – კერძო ბაღი, 1737 – საჯარო ბაღი) დიაგნოსტიკური თვითშეფასების განხორციელება წარმოადგენდა საქმიანობის განხორციელების კანონიერ საფუძველს (EQE). ამასთანავე, საყურადღებოა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის სამოქმედო გეგმის მე-7 მიზანი, რომელიც შეეხება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი გარე მექანიზმების არსებობას და რომელიც მოიაზრებს სტატიის საკვლევი თემისთვის შემდეგი აქტივობების განხორციელებას: დაწესებულების თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმის პილოტირებას, დაწესებულების თვითშეფასების პროცესის განხორციელებასა და თვითშეფასების შედეგების ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება; აღნიშნული აქტივობებისთვის ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ბიუჯეტი ჯამში შეადგენს 621,000 ლარს (EQE).

„ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თვითშეფასების ფორმა და განხორციელების წესის“ თანახმად, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების თვითშეფასების პროცესი მოიცავს შემდეგი მხარეების ჩართულობას: ა) დაწესებულების ადმინისტრაცია; ბ) საგანმანათლებლო პერსონალი; გ) ტექნიკური პერსონალი; დ) მშობლ(ებ)ი/კანონიერი წარმომადგენლ(ებ)ი; ე) მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი და ბაღების გაერთიანებების

წარმომადგენლები (საჯარო დაწესებულების შემთხვევაში). თვითშეფასებაში ჩართული მხარეები ავსებენ თვითშეფასების კითხვარს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: ა) დაწესებულების შესაბამისობის აღწერა ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან/კრიტერიუმებთან მიმართებით; ბ) შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები; გ) სხვა ინფორმაცია, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ხარისხის სისტემური შეფასების განხორციელების მიზნებისათვის (მუხლი 4).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა კერძო ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების პროცესის ანალიზი, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა და **სტატიის სიახლეს წარმოადგენს**. სტატიაში მოცემულია 94 კერძო ბაღის, რომელიც მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს, თვითშეფასების კონტენტ-ანალიზი, კერძოდ: თვითშეფასების შედეგების ზოგადი მიმოხილვა, კერძო ბაღებთან მუშაობის ძირითადი მიგნებები ავტორიზაციის სტანდარტებთან ბმაში და კერძო ბაღებთან მუშაობის შეჯამება.

კერძო ბაღების თვითშეფასებების ანალიზიდან იკვეთება შემდეგი პოზიტიური კონტექსტი და გამოწვევები:

- **პოზიტიური კონტექსტი:** 1) კერძო ბაღები პოზიტიურად აფასებენ ბაღების რეფორმის საჭიროებას და გამოხატავენ მადლიერებას მხარდაჭერისათვის; 2) აქვთ მაღალი მზაობა უზრუნველყონ ავტორიზაციის სტანდარტების იმპლემენტაცია; 3) არ არიან მიდრეკილნი კონვეირული მიდგომებისაკენ და ცდილობენ საკუთარი ინდივიდუალური შეთავაზებებით მოახდინონ წარმატებული პოზიციონირება
- **იდენტიფიცირებული გამოწვევები:** 1) ავტორიზაციის სტანდარტების შინაარსის გაგების და კიდევ უფრო მეტად მისი იმპლემენტაციის მექანიზმების განსაზღვრის პრობლემა; 2) დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილების არქონა; 3) საქმიანი კომუნიკაციის დაბალი კულტურა; 4) შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პერსონალის დეფიციტი; 5) დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მწირი გამოცდილება; 6) ფინანსური არამდგრადობა.

ავტორიზაციის სტანდარტებთან ბმაში კერძო ბაღების თვითშეფასებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან თავსებადობის კუთხით; წინასწარ შემუშავებული პროცედურების შესაბამისად პროცესების დაგეგმვის, განხორცილებისა და შეფასების გამოცდილება ძალიან მწირია ან თითქმის არ ფიქსირდება; თვითშეფასების შედეგები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ კერძო ბაღებში ოთხი სტანდარტიდან მხოლოდ რამდენიმე კომპონენტის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკა ფიქსირდება.

უფრო კონკრეტულად კი **პირველ სტანდარტთან** (მისია და სტრატეგიული განვითარება) ბმაში მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ კერძო ბაღების უმრავლესობას არ აქვს წერილობითი ფორმით შემუშავებული და გაზიარებული მისია, ხედვა და ღირებულებები. ამასთანავე, არ არის დოკუმენტი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ. ბაღების გამოწვევაა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, ვინაიდან მათ არ აქვთ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების გამოცდილება, შესაბამისად მათი შემუშავების არც მეთოდოლოგიაა წერილობითი სახით განსაზღვრული და არც მსგავსი პრაქტიკა ფიქსირდება.

ავტორიზაციის **მეორე სტანდარტი** ამოწმებს კურიკულუმის დაგეგმვას, განხორციელებასა და მის შეფასება, განვითარებას. მეორე სტანდარტის მიხედვით კერძო ბაღების თვითშეფასებების ანალიზმა აჩვენა, რომ მათ არ აქვთ კურუკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის წერილობითი ფორმით არსებობის პრაქტიკა, საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებენ არსებული კურუკულუმების გამოყენებით ან/და თავად შემუშავებული მეთოდოლოგიით; კურუკულუმის შეფასებისა და განვითარების მიმართულებით კერძო ბაღების უმრავლესობა პრაქტიკაში ახორციელებს ამ კომპონენტის მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს, თუმცა მას არ აქვს წერილობითი ფორმა და არ ხდება რეგულარულად.

ავტორიზაციის **მესამე სტანდარტი** (ოჯახის და თემის ჩართულობა) ამოწმებს თანამშრომლობის დაგეგმვას, მის განხორციელებასა და შეფასებას. თვითშეფასებების ანალიზით იკვეთება, რომ ბაღებში არსებობს პრაქტიკა ბავშვის მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობის, თუმცა გამოწვევაა თემთან თანამშრომლობა. ამასთანავე, ბაღებს არ

აქვთ მშობლებთან თანამშრომლობის წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგია. რაც შეეხება თანამშრომლობის განხორციელებასა და შეფასებას, არსებობს პრაქტიკა ბავშვის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციისა და მათი ინფორმირების, ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, თუმცა არ ხორციელდება თემთან მსგავსი კომუნიკაცია. ასევე არ ხდება ბაღების მიერ არსებული თანამშრომლობის შეფასება და მასზე დაფუძნებით განვითარებაზე ზრუნვა.

რაც შეეხება **მე-4 სტანდარტთან** (სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა) ბმაში თვითშეფასებების ანალიზს, იდენტიფიცირდა შემდეგი გამოწვევები: კერძო ბაღებში არსებული პერსონალი საჭიროებს როგორც ხარისხობრივ, ასევე რაოდენობრივ ზრდას. ბაღებში არ არის პრაქტიკა პერსონალის განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების არსებობის და არ არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, პროცესების მართვასთან დაკავშირებული რეგულაციები/მტკიცებულებები. ამასთანავე, არ არის სრულყოფილი პერსონალთან და ბავშვებთან სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი რეგულაციები/მტკიცებულებები, ფინანსური დაგეგმვისა და მართვის პოლიტიკის/დოკუმენტი რიგ შემთხვევაში არ არის დანერგილი ან საერთოდ არ არის შემუშავებული, ხოლო ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროებს მნიშვნელოვან ინტერვენციებს.

ამდენად, წარმოდგენილი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბაღების სადიაგნოსტიკო თვითშეფასების მხარდაჭერის პროცესი აუცილებელი იყო, ვინაიდან კერძო ბაღებს მსგავსი პროცესების წარმოების გამოცდილება არ ჰქონდათ და თვითშეფასების ანალიზმაც აჩვენა მეტად მნიშვნელოვანი გამოწვევები. ავტორიზაციის სტანდარტების იმპლემენტაციის კვალდაკვალ მნიშვნელოვანია ცენტრმა განაგრძოს აქტიური მხარდაჭერა იდენტიფიცირებული საჭიროებიდან გამომდინარე (მაგ., ტრენინგები დოკუმენტების შემუშავების შესახებ, საინფორმაციო შეხვედრები ინფრასტრუქტურის სათანადოდ მოწყობის მიზნით და ა.შ.). გარე ხარისხის შეფასების პროცესების გაძლიერება (ბაღების ავტორიზაცია, თვითშეფასება, მონიტორინგი) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში.

### კვლევითი ნაწილი – საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებები

საქართველოში 2023 წლის მონაცემებით, 2027 სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებაა (EQE) და მზარდია როგორც საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა, ისე მათში დასაქმებულთა რაოდენობა (იხ. დიაგრამა 1). სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს ღია მონაცემები იმის თაობაზე, თუ რამდენი აღმზრდელ პედაგოგი მუშაობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში, როგორია მათი შესაბამისობა სტანდარტთან მიმართებაში, თუმცა ზემოთ აღნიშნული ბაღებში მიმდინარე სადიაგნოსტიკო თვითშეფასების პროცესი სრულ სტატისტიკურ ინფორმაციას პროფესიული წრეებისთვის ხელმისაწვდომს ახლო მომავალში გახდის. აღნიშნულის გარდა, ავტორიზაციის პროცესში შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს 2024 წლის 1 სექტემბრამდე დასაქმებული აღმზრდელ პედაგოგების ნაწილის ჩანაცვლების აუცილებლობაც ახალი კადრებით, რადგან მათი ნაწილის კვალიფიკაცია შესაძლოა არ შეესაბამებოდეს აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. ამასთანავე, ავტორიზაცია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებას 4 წლის ვადით ენიჭება, შესაბამისად, ის დაწესებულებები, სადაც მომავალი 4 წლის შემდეგ საპენსიო ასაკის მქონე აღმზრდელ-პედაგოგებმა შესაძლოა ნებაყოფლობით დატოვონ სამუშაო ადგილი, საჭირო იქნება დეფიციტის შევსება, რასაც უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამები.

საინტერესოა ზოგიერთი დასკვნა და სტატისტიკა 2018 წელს UNICEF-ის მიერ ჩატარებული კვლევიდან. კვლევის ავტორები (იან პიტერსი, ჰესტერ ჰულპია) ხაზს უსვამენ სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში, ჯგუფში ბავშვების სიმრავლეს, რაც მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. ამდენად, ხარისხისა და პერსონალისთვის სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, ქალაქად, თითოეულ ჯგუფში ბავშვების რაოდენობის შესამცირებლად, მეტი ჯგუფისა და აღმზრდელის საჭიროება იკვეთება. ამავე კვლევის მიხედვით, სკოლამდელი დაწესებულებები მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას, ვინაიდან

პერსონალის დიდ ნაწილს არ აქვს კვალიფიკაცია, ან აქვს ისეთი კვალიფიკაცია, რომელიც ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებას არ უკავშირდება. 57 მუნიციპალიტეტიდან მოპოვებული მონაცემების თანახმად, აღმზრდელთა 44%-ს არ აქვს კვალიფიკაცია. ამასთან, დირექტორთა 50% არ ფლობს ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ განათლებას. კვლევამ აჩვენა, რომ 13 მუნიციპალიტეტს არ ჰყავს ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებაში ბაკალავრის ხარისხის მქონე არცერთი აღმზრდელი. მრავალი მუნიციპალიტეტისთვის პრობლემაა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალიზებული დამხმარე პერსონალის (სპეც. პედაგოგები, ფსიქოლოგები და სხვ.) ნაკლებობაც. ამავე კვლევის რეკომენდაციულ ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ სკოლამდელი განათლების სფეროში უმაღლესი განათლების დონეზე უნდა შეიქმნას ახალი პროგრამები და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი საუნივერსიტეტო განათლების და შემდგომი პროფესიული განვითარების რეფორმის საფუძველი უნდა იყოს.

ამდენად, მეტად საინტერესოა მიმდინარე ეტაპისთვის რა ვითარებაა სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების პროგრამების შექმნის საჭიროებების კუთხით, არსებობს თუ არა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვალიფიციური საგანმანათლებლო კადრების დეფიციტი. აღნიშნული საკითხების შესასწავლად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა და ონლაინ კითხვარი დაეგზავნა 370 დაწესებულებას, მათგან 303 იყო კერძო საბავშვო ბაღი, ხოლო 67 მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება, რომლებიც მართავენ თავიანთ მუნიციპალიტეტში არსებულ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 35-მა ბაგა ბაღების გაერთიანებამ, რომლიც ჯამში მართავს 734 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას. შესაბამისად გამოკითხვის შედეგები **ასახავს 1036 ბაღის შესახებ ინფორმაციას**. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა რეგიონის და დასახლების ყველა ტიპის დაწესებულებამ.

გამოკითხულ ბაღებში მთლიანობაში ფუნქციონირებს 1253 ჯგუფი, რომელშიც 31369 ბავშვი იღებს სკოლამდელი განათლების სერვისს. კერძო ბაღებისგან განსხვავებით მუნიციპალურ ბაღები აწარმოებენ მომლოდინეთა სიას. თუ რაიმე მიზეზით უკვე ჩარიცხული ბავშვი არ დადის ბაღში, არსებული მომლოდინეთა სიიდან ხდება ბავშვის ჩანაცვლება.

ბაგა ბაღების გაერთიანებებმა კითხვაზე არსებობს თუ არა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა (იმაზე მეტი მსურველი არის თუ არა მათ ბაღებში ჩარიცხვაზე ვიდრე საბავშვო ბაღს შეუძლია მიიღოს), დადებითი პასუხი იქნა გაცემული (55.6%). ამავდროულად, ირკვევა, რომ გამოკითხულ მუნიციპალურ ბაღებში მომლოდინეთა სიაში დაახლეობით 230 ბავშვია, თუმცა დიდი ალბათობით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა გაცილებით მეტია, რადგან ბაღების ნაწილმა აღნიშნულ კითხვას თავი აარიდა და მიზეზი შესაძლოა მათთვის მონაცემების არარსებობაა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებობს ყველა ტიპის კვალიფიციურ კადრის დეფიციტი. თუმცა ყველაზე ხშირად დასახელდა სპეც. პედაგოგი (58.8%), ლოგოპედი (56%), ბავშვის ფსიქოლოგი (39.7%) და აღმზრდელ-პედაგოგი (37.7%). ამასთან, კითხვაზე, თუ რამდენი კადრის დამატება სჭირდებათ დაწესებულებებს, გამოირკვა, რომ გამოკითხული დაწესებულებების მუნიციპალიტეტის ბაღებში/კერძო ბაღებში არსებობს დაახლოებით 381 აღმზრდელ-პედაგოგის დეფიციტი, 161 აღმზრდელის, 133 სპეც. პედაგოგის, 120 ლოგოპედის და ა.შ. ცხადია, ამ მონაცემების ექსტრაპოლირება მთელს საქართველოზე ვერ მოხერხდება და ვერ შეფასდება სულ რამდენი კადრის დეფიციტი არსებობს ამ მომენტისთვის, მაგრამ სკოლამდელი განათლების სფეროში კადრის დეფიციტი თვალსაჩინოა.

კადრის დეფიციტის გარდა საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად კვალიფიციურია გამოკითხულთა აზრით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თანამშრომლები. როგორც **დიაგრამა 2-ზე** ჩანს, უმეტესად რესპონდენტები საშუალო შეფასებას აძლევენ კადრის კვალიფიკაციას. ძალიან უარყოფითი და ძალიან დადებითი შეფასებები მნიშვნელოვნად მცირეა. ასევე, აღმოჩნდა, რომ გამოკითხული დაწესებულებებში მომუშავე აღმზრდელ-პედაგოგებს მხოლოდ 27% ფლობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.

რესპონდენტებმა 5-ბალიან შკალაზე შეაფასეს, თუ რამდენად რთულია მათი აზრით აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე კვალიფიციური კადრის მოძებნა ქვეყნის, რეგიონის, მუნიციპალი-

ტეტის დონეზე. სამივე შემთხვევაში რესპონდენტები თვლიან, რომ ძალიან რთულია ასეთი კადრის მოძიება, თუმცა ყველაზე მეტ სირთულედ აღიქვამენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვალიფიციური კადრის მოძიებას – 1.94 (მთლიანად ქვეყანაში 2.11, რეგიონში 2.1).

კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ რესპონდენტების პროგნოზი მომავალი 3 წლის განმავლობაში შემდეგია: 61,5% თვლის, რომ დასჭირდება აღმზრდელ პედაგოგის დამატება, 21,2% კი თვლის რომ შესაძლოა დასჭირდეს არსებული კადრის ახლით ჩანაცვლება. ბაგა ბაღების გაერთიანებების უმრავლესობა აცხადებს, რომ მომავალი 3 წლის განმავლობაში მათ მუნიციპალიტეტში იგეგმება ახალი ბაღის მშენებლობა ან არსებულის რეაბილიტაცია/გაფართოება. ბაგა ბაღების გაერთიანების პასუხების მიხედვით, მომავალი 3 წლის განმავლობაში მათ მუნიციპალიტეტში უნდა აშენდეს (ჩაუტარდეს კაპიტალური რეაბილიტაცია) 91 ბაღს. არსებული ინფორმაციით ახალი ბაღები მთლიანობაში გათვლილი იქნება 255 ჯგუფზე. რაც ნიშნავს, რომ სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა გაიზრდება და დაწესებულებებს დასჭირდებათ ახალი კადრის აყვანა. არსებული სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით კი 2024 წლის პირველი სექტემბრიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ვერ დაასაქმებენ აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე ადამიანს, რომელსაც არ ექნება სკოლამდელი განათლების სპეციალისტის ფორმალური განათლება.

საინტერესოა შედეგებია აღმზრდელ-პედაგოგთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განაწილების კუთხით. მთლიანობაში გამოკითხული დაწესებულებში მომუშავე აღმზრდელ-პედაგოგთან მეოთხედი 56 წელს ზემოთაა, რაც ნიშნავს, რომ მათი ნაწილი მაინც მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიაღწევს და დაწესებულებებს მოუწევთ ახალი კადრის მოძებნა.

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (93,2%) თანხმდება იმაზე, რომ საჭიროა არსებობდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოამზადებს ადრეული აღზრდისა და განათლების სპეციალისტებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დიაგნოსტიკურმა თვითშეფასების პროცესმა აჩვენა სერიოზული გამოწვევები ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან ბმაში, კერძო ბაღების თვითშეფასებების კონტენტ-ანალიზით გამოვლინდა, რომ მეტად მნიშვნელოვანი იყო საქართველოში ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისთვის გარე ხარისხის მექანიზმების გაძლიერება და ბაღების მხარდაჭერა. როგორც მეორადი მონაცემების ანალიზი, ისე გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებები საჭიროებს მნიშვნელოვან მხარდაჭერას პროფესიული განვითარებისთვის, ამავდროულად არსებობს კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ხოლო ავტორიზაციის პროცესი, ასევე კერძო სექტორის განვითარება და შესაბამისად მზარდი კონკურენცია სფეროში იძლევა იმისი თქმის საფუძველს, რომ კვალიფიციურ აღმზრდელ-პედაგოგებზე მოთხოვნა გაიზრდება. ამდენად საჭიროა, შემუშავდეს უმაღლესი განათლების პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს აღმზრდელების მომზადებს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების კვალდაკვალ გაძლიერდეს უნივერსიტეტების როლი და გაიზარდოს კონტრიბუცია ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმის მხარდასაჭერად, განხორციელდეს პრაქტიკული ტრენინგები, კავშირები და გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა, ერთობლივ კვლევით პროექტებზე თანმშრომლობა ევროპის უნივერსიტეტებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის განათლებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების (ECE) დიაგნოსტიკური კვლევა საქართველოში (2022) https://www.unicef.org/georgia

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თვითშეფასების ფორმა და განხორციელების წესი https://www.eqe.ge/res/

პიტერსი, ი., ჰულპია, ჰ., (2018). საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა (მოკლე მიმოხილვა), გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF https://www.unicef.org/georgia/media/1231/file

საქართველოს პარლამენტი (08.06.2016). საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

საქართველოს მთავრობის დადგენილება 76 (21.02.2023). ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5727272?publication=0

საქართველოს მთავრობის დადგენილება №488 (30.10.2017). ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798?publication=0

საქართველოს მთავრობის დადგენილება №478 (27.10.2017). აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404?publication=0

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმა https://eqe.ge/res/NewFolder/

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი: https://eqe.ge/ka/page/parent/1015/tvitshefasebis-gankhorcieleba

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები https://eqe.ge/ka/page/static/1050/adreuli-da-skolamdeli-aghzrdisa-da-ganatlebis-datsesebulebebi

**დანართები:**




*დიაგრამა 1. მონაცემები საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესახებ*




*დიაგრამა 2. კადრის კვალიფიკაციის შეფასება*

**Publisher:** East European University (EEU)
Layout and printing by „APG“ Academic Press of Georgia (APG)

**გამომცემელი:** აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
კრებული დაკაბადონდა და დაიბეჭდა
საქართველოს აკადემიურ გამომცემლობა „საგა“-სთან თანამშრომლობით

ISSN 2667-9019